

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
აკად. გ. ჭერემლის სახელმგბის
აღმოსავლეთა ფორუმის ინსტიტუტი

თბილისის აზიისა და აფრიკის ინსტიტუტი

“ირანული სამყაროს”

(საფრანგეთის სამეცნიერო კვლევის ნაციონალური ცენტრი, პარიზი)
მონაწილეობით

ACADEMIE DES SCIENCES DE GEORGIE
INSTITUT D'ETUDES ORIENTALES G. TSERETELI

INSTITUT D'ASIE ET D'AFRIQUE
DE TBILISSI

avec le concours de
Monde Iranien
Centre National de la Recherche Scientifique
Paris

ირიე ნაჭყვაბია

ნარავევები
საფრანგეთ-ირანის დიპლომატიური
ურთიერთობის ისტორიიდან
(XIX საუკუნის დასაწყისი)

თბილისი
2002

წინამდებარე ნაშრომში წარმოდგენილია ორი ნარკევეზი. პირველი ეხება ფინკენშტეინში (4.05.1807) საფრანგეთსა და ირანს შორის დადგებულ სამოქავშირეო ხელშეკრულებას. რომლის მესამე და მეოთხე მუხლების თანახმად, ნააოლეონი ირანის შპპს, ფათ-ალის, საქართველოს დაბრუნებას პპირდებოდა. ნარკევეზი ურანგული პირველწყაროების საუჟღელზეა წარმოდგენილი, თუ რა ინფორმაცია პქანდა საფრანგეთის იმპერატორს შპპისათვის „დაპრებული“ საქართველოს შესახებ. მეორე ნარკევეზი განხილულია თეიმურაზ ბატონიშვილის სახელთან დაკავშირებული „Vocabulario“-ს ავტორობის საკითხი. ნაშრომში ნაჩვენებია, რომ თეიმურაზ ბატონიშვილი ვერ იქნებოდა ამ „Vocabulario“-ს ავტორი, როგორც ეს აქამდე იყო მიჩნეული.

Dans cette œuvre sont exposée deux précis. Le premier concerne le Traité d'Alliance entre la France et la Perse élaboré au camp Impérial de Finkenstein (4.05.1807). D'après les troisième et quatrième articles de ce Traité, Napoléon promettait au Shah de la Perse, Fath-'Aly, la restitution de la Géorgie. D'après les sources françaises sont présentés les renseignements que Napoléon possédait sur la Géorgie "pronuse" au Shah. Dans le deuxième précis nous essayons d'éclaircir le problème de "Vocabulario" et de sa paternité liée au nom du prince géorgien Teïmouraz (Timurat-Mirza). Dans le précis l'auteur a démontré que le prince Teïmouraz ne pouvait pas être l'auteur de ce "Vocabulario", comme c'était considéré jusqu'à présent.

რედაქტორი

Directeur

რეცენზენტები

Critiques

პროფ. გრიგოლ ბერაძე

Professeur Dr. Grigol Beradzé

აკადემიკოსი ედიშერ ხოშტარია-ბროსე
ისტ. მეცნ. ლოქტორი ეთერ ორჯონიქიძე

Académicien Edisher Kchoshtaria-Brosset
Professeur Dr. Eter Ordjonikidzé

კუტრენი ჩემი მასწავლებლების
პროფ. ზურიაშ მართვებისას და
პროფ. რევაზ იაკობის
ნათელ ხსოვნას.

ՇՈՇԵԹԺՁԱ

Եակոլլեօննու աղմոսավլուրո პռլութիւնու արայրու մըցնոյրո դաստիւրուսը ծովալա. ամ Արռօծական գուշակութիւնու նամակութիւնու ամառանձ վրացական նշանու մուշեցագագ, Ցողոյրու և Տայանձու սակուտես չեր կունք ար արու սատանագու նուրուլու մըցնաւունու և Մեծագութ ուժենուր կալեցա մուտեղու.

1983 წական զոյավլուրո 1805-1809 წ. Եակոլլեօննու մույր ուրանու բարգչաւունու մուսուտա սայմանունա. աղնութեալու տեմու մըցնաւունու կո մըցնութեալու սատրանցետու արյունական և ծածկութեալու աղանալունունու գարեց. մատչե մուշանունա սամշալուր 1996-1999 წ. Սատրանցետու սամեցնուրո մուցլունութեանու պատճենու գորու մոցաւու. ամ կալեցա մըցնութեալու շեղացա երտու նախունու բարմեցարու նամակութիւնու բարմուգունունու.

Սասուամունու մոցալուրու մոցահինու գուլուտագու մագլունա գալա-
ւունութեալու:

Արուցյան մորու յոմարս, սատրանցետու աշխանութարուր մըցնոյ-
րութեատա սախլուս” (MSH) գորութիւնու տանագումուսատցուս:

Արուցյան ծերնար շրկագու, սատրանցետու սամեցնուրո կալեցա նացուանալուրո լունքու (CNRS) գայրուտանութեալու սամեցնուրո չգույս - “օրանուրու սամցարուս” (“Monde Iranien”, Unité mixte de Recherche 7528, Paris) գորութիւնու, բարեգութեալունու մանծունու մըցնուրուր մուշանունա գանսայատրութեալու ելամշեցունուսատցուս և յմե-

დითხ დახმარებისათვის; “ირანული სამყაროს” (“Monde Iranien”) მთელ შემაღენლობას ჩვენ შიმართ გამოწენილი ყურადღებისათვის; პროფესორ უან კალმარს (პარიზი) ფრიად სასარგებლო კონსულტაციებისათვის;

საფრანგეთის ნაციონალური და საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს პარიზის არქივების თანამშრომლებს დახმარებისათვის;

დოქტორ ჯორჯო როტას (ვენეციის უნივერსიტეტი) რჩევებისა და მასალების მოწოდებისათვის;

ბატონ გრიგოლ ბერაძეს, რომელმაც იტვირთა წინამდებარე ნაშრომის რედაქტორობა;

ქალბატონ ლია ქათამაძეს წიგნის დაკაბადონებისათვის.

AVANT-PROPOS

De nombreux chercheurs continuent encore aujourd'hui à s'intéresser à la politique de Napoléon. Malgré l'abondance des ouvrages consacrés à cette question, il faut reconnaître qu'un nombre considérable de sujets n'ont toujours pas été abordés de façon systématique et en profondeur. Depuis 1983, j'ai consacré mes recherches aux missions diplomatiques envoyées en Perse par Napoléon dans les années 1805-1809. Ce type d'étude est impossible sans la consultation et l'analyse méthodique des ouvrages et des sources des bibliothèques et archives de France.

Cette possibilité m'a été offerte dans le cadre de missions d'étude en France entre 1996 et 1999. Ce livre est le résultat de ces travaux, mais ne présente qu'une partie des documents analysés au cours de ces années, notamment en France.

A cette occasion, j'ai le plaisir de remercier très chaleureusement:

Mr. le professeur Maurice Aymard, administrateur de la Maison des Sciences de l'Homme à Paris pour l'intérêt qu'il a porté à mes travaux et le soutien qu'il m'a apporté;

Mr. Bernard Hourcade, directeur du " Monde Iranien " (Unité mixte de recherche, CNRS, Sorbonne Nouvelle, Inalco, EPHE) pour son assistance toute particulière et son aide efficace au cours

des années de travail à Paris, ainsi qu'à l'ensemble des membres de cette équipe de recherche que je tiens à remercier chaleureusement pour leur sollicitude à mon égard;

Mr. Jean Calmard (Paris) pour ses conseils extrêmement utiles;

le personnel des Archives Nationales et Archives du Ministère des Affaires étrangères à Paris pour leur attention;

le docteur Giorgio Rota (l'Université de Venise) pour ses consultations et son aide;

Mr. Grigol Béradzé, directeur de l'Institut d'Études Orientales G. Tsérételi de l'Académie des Sciences de Géorgie, d'avoir pris en charge la rédaction du présent ouvrage;

Mme. Lia Katamadzé d'avoir mis en page ce livre.



ნაპოლეონის დიდი აღმოსავლური პროექტი. ნაპოლეონისათვის
აზიის მხრიდან ინდოეთში ინგლისის სამფლობელობზე თავდასხმა და
იქიდან ინგლისელთა გამეცება ახალ პოლიტიკურ კონცეფციას არ წა-
რმოადგენდა; ეს გეგმა უკვე ეგვიპტის ლაშქრობისას (1798-1799 წწ.)
იშვა: ჯერ კიდევ 1798 წლის 5 აპრილს გენერალმა ბონაპარტმა თავ-
დაცეს სამინისტროს ბიბლიოთეკიდან ინგლისელი მაიორის, რენელის
მიერ შედგენილი ბენგალის ატლასი და მდ. განვის რუკები მოითხო-
ვა. როდესაც პირველი კონსული გახდა (1799 წ.), მან კვლავ დაიწყო
ფიქრი ეგვიპტეში დასახული მიზნის განხორციელებაზე – მისი რწმე-
ნით, მნიშვნელოვან საქმეთა კეთება მხოლოდ აღმოსავლეთში შეიძლე-
ბოდა!. რადგან საფრანგეთის ფლოტი აბუკირში² განადგურდა, ზღვაზე
კი ინგლისელები ბატონობდნენ, საფრანგეთისათვის საზღვაო გზით

¹ გენერალ ფან-ბატისტ დოუმას გადმოცემით, ბონაპარტი უკვე 1797 წლიდან საგანგე-
ბოდ დაინტერესდა მექანიკურის ისტორიით. არქივით, სახელმწიფოს მოწყობის წე-
სით, მსოფლიოში უდიდესი გაელვის მქონე დიპლომატითა და ფართო ვაჭრობით.
„უძრავი მასალის შესწავლაშ და შესაძლებლობასთა ანტივიურობადან გამომდინარე
დასკენერება, სრულიად მოკეთ მონარქიის – ბრძოლაში ზღვის შეკლის – გამჭრანა
ვინება. ამ შესა (ბრძლის შემდეგ) ზღვაში მოუკავშირო იგი საფრანგეთის ტას ხე-
დავება და იქ ქმნილ აფრინგეთის საზღვაო უჯდომებების, თავისი პრივიუის მოვარ-
სა და უკუკუ მზანს 1803 წ. ანგლიერის საუკუმურ ჯარის მეთურმ მორტიერ ად
გარაზე მიძლიოთული დამინიჭის მიზან დავ XIX-ასიების წარმოგენილი, უკვე სუ-
მოდ დაიწყებული „Mémoires“-ის კრიტიკული მინის უზემლივი მინის და პარეკლ კონსულ
გაუც შეცნა“. Général J.-B. Dumas, Un Fourrier de Napoléon vers l'Inde. Les papiers du
Lieutenant Général Trézel, Paris, 1915, pp. 21-22, 33. აქევე აღნიშნავთ, რომ ნაპოლეონის
პირველ კონსულად ყოფნის დროს, მისი სურაილის თანახმად, დე ფლასანმა დაწერა
უუნდამენტური ნაშრომი საფრანგეთის დიპლომატიური საბუთების შესახებ (Histoire
général et raisonnée de la diplomatic Française, ou de la politique de la France, Depuis la
fondation de la Monarchie, jusqu'à la fin de règne de Louis XVI, avec des tables
chronologiques de tous les traités conclus par la France. Par M. de Flassan, seconde édition,
corrigée et augmentée. I-VI, Paris, 1811).

² ბრძოლა 1798 წ. 1-2 აგვისტოს ინგლისისა და საფრანგეთის ფლოტებს შორის
მდ. ნილოსის შესართავთან. აბუკირის ჭერიში. საფრანგეთის ფლოტი სრულიად განა-
დგურდა, ინგლისის ფლოტი კი ზღვაზე გაბატონდა.

ლაშქრობაზე ფიქრიც კი წარმოუდგენელი იყო³. ბონაპარტის “გამომ-გონებლურმა გენიამ” სწორედ მაშინ შეიმუშავა ინდოეთშე თავდასასხ-მელად სრულიად ახალი გეგმა, ისეთი, როგორიც მანამდე არც ერთ ევროპელ ერს არ გამოუყენებია: პინდუკუშის მაღლობებიდან ინდოეთი ჩრდილო-დასავლეთით ევროპას თურქესტანის სტეპებით უერთდება; ამგვარად, ევროპიდან სახმელეთო გზით მოსულ ჯარს ინდოეთში ამ მხრიდან შეეძლო შეჭრა. ბონაპარტი ამას მიხვდა. მისი მდივანი, ლუი-ანტუან ბურიენი წერს, რომ ნაპოლეონი არ კარგავდა დროს და რუ-

³ უკე 1798 წელს. პირამიდებთან გამარჯვების შემდეგ, ბონაპარტი აღმოსავლეთის ზღურბლთან ძრიირით ურანგული იმპიზიციის შექმნასთან იყო ახლო და ინგლისელთა ინდოეთიდან გასაკრებად იმპერატორ პავლესთან, მასკატის იმამთან და ტიპუ-საბათან კაშმირის დადგაბაზე ფიქრობდა. მაგრამ ინგლისის ოსტ-ინდიეთის კომპანიამ საპასუხოდ სირაზე გაელით გამართა აქლემის ფოსტა. რომელიც ინგლისს ინდიოთის უკიოთ აკაეშირებდა. С.И. Сыромятников, Персидский заливъ во всемирной истории, // Сборник Средне-Азиатского отдела, стоящее подъ Августейшим покровительством Его Императорскаго Высочества Великаго Князя Михаила Николаевича, Общество востоковедения, Выпуск I, СПб., 1907, с. 20.

ჯერ კიდევ ეგვიპტეში ყოფნის დროს, ბონაპარტი საზღვაო გზით – მალაბარის ან კირომანდელის სანაიროებიდან – ერაუდობდა ინგლისელებზე ინდოეთში თავდასხმას. მის სამხედრო გეგმებს, ქვეითთა და არტილერიის წარმატებით, ინდოეთის ოკანე უძა გადაეკეთათ და ინგლისელთა დაუბრნებელ მტერს, მასურის სულთანს, ტაუ-საბის შეერთებოდნენ, რომელსაც ბონაპარტმა ჯერ კიდევ კაიროდან გაუგზავნა წერილი. საფრანგეთის გეგმას დევანის [ზეგანის] თითქმის ყელება მთავარი უჰერდა მხარს. გადამწყეტი მოელენების მოლოდინში, პაიდარაბადის ნიზამმა 14 000 კაციანი ლაშქარი მააშხაცა ურანგი იფიცირების მეშევრობით. რომელთა შორის უნ რაიმინიკ* იმყოფებოდა. ლაშქარი კარგად იყო აღჭურევილი და დისციპლინირებული. მარატების უძლიერეს სინდის დინასტიას ევროპულ გაიღაზე გაწვრთნილი 30 000 ქეეითი და 18 000 ცხენოსანი ქავდა; მეორე ძლიერმა მაპარატებმა მმართველმა, პოლქარმა, 100 000 კაციანი ლაშქარი შეკვრა. მაგრამ ინდოელ მთავრებს მოლოდინი გაუცემულდა, რადგან საფრანგეთის ჯარი არ გამოჩნდა; ამით ისარგებლებს ინგლისელებმა და გაანადგურეს ისნი. ტიპუ-საბი სერინგაპატამას ციხე-ხიმაგრის კედელთან მოკლეს, ნიზამი იძულებული გახდა ჯარი დაშალა, ხოლო სინდი და პოლქარი ინგლისელებს დაქმორჩილნენ. Rouir, La rivalité Anglo-Russe au XIXe siècle en Asie, Paris, 1908, p. 88.

* ეს რაიმონი, არტილერიის ოფიცირი, დიდხანს იმსახურა ინდოეთში, შემდეგ ბაღდადის ფაშის, სულიემანის სამსახურში ჩადგა. 1808 წელს იგი აბას მირზას სამსახურში იყო (Archives du Ministère des Affaires étrangères, Mémoires et Documents, Persse, vol. 8, fol. 254 (შემდეგში – MD, Persse). ეს რაიმონმა დაწერა დეტალური ანგარიში ბაღდადის საფაშო შესახებ: "Mémoire sur le résident du Bagdad", Archives du Ministère des Affaires étrangères, Correspondances Politiques, Persse, vol. 8, doc. 165, fol. 399r-416v (შემდეგში – CP, Persse).

წინამდებარე სტატიაში წარმოდგენილი ყელა საარქივო დოკუმენტი წევნ მიერ არის მოძიებული პარიზში, საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივში.

სეთის იმპერატორის, პავლე I-ის დაყოლიებას ცდილობდა ამ დიდი ჩანაფიქრის განსახორციელებლად⁴.

ბონაპარტისა და პავლე I-ის მოღაპარაკებები მეტად გასაიდუმლოებული იყო. საფრანგეთის 35 000-იან კორპუსს რუსეთის სამხრეთ ნაწილზე უნდა გაევლო ასტრახანამდე, შემდეგ რუსული ხომალდებით კასპიის ზღვით ასთარაბადამდე უნდა მისულიყო და იქ რიცხობრივად იმავე რაოდენობის რუსულ ჯარს შეერთებოდა, გაერთიანებული ჯარი კი პერათისა და ყანდაპარის გავლით სამხრეთ აკლანეთისა და ინდის შესართავისაკენ გაემართებოდა; იმავე დროს, მეორე რუსული ჯარი ორენბურგიდან ხივისა და ბუხარის გავლით აკლანეთის ჩრდილოეთით, მდ. ინდის სათავეებისაკენ უნდა წასულიყო⁵.

საფრანგეთ-რუსეთის შეთანხმების მიუხედავად, იმპერატორმა პავლე I-მა ამ მძიმე ამოცანის გადაჭრა დამოუკიდებლად მოინდომა მხოლოდ კაზაკების მეშვეობით. 1801 წლის 12 იანვარს მან, მისთვის დამახასიათებელი “სიფიცინა და მოუთმებლობით”, რამდენიმე რესკრიპტი გაუგზავნა დონის კაზაკთა ატამანს, კავალერიის გენერალს ვასილი პეტრეს ძე ორლოვს. მას ორენბურგისაკენ დაძვრა და ბუხარისა და ხივის გავლით მდ. ინდისაკენ წასვლა უძრავა. ამასთან, იმპერატორი გენერალ ორლოვს აკალებდა, რომ მის მზეერავებს სავალი გზები მოემზადებინათ და შეესწავლათ. სანაცვლოდ რუსეთის იმპერატორი შემდეგს პპირდებოდა თავის ჯარისკაცებს: ‘*Все богатство Индии будемъ наше за сию экспедицію на градою*’: ეს ექსპედიცია ნაჩეარევად იყო წამოწყებული – რუსებს არ პქონდათ შეკრებილი აუცილებელი ცნობები იმ მხარეთა შესახებ, რომლებზეც კაზაკებს უნდა გაევლოთ; წინასწარ არ შეუთანხმდნენ აზიელ მმართველებს და არც საკვები, ტვირთი, ლაზარეთები და მარშრუტები მოამზადეს. შედეგი შესაბამისი იყო – გრაფი ორლოვი იტყობინებოდა: “*туже же съсъздади съзидателъни възстановленіи Бурбоновъ, том II, часть II, СПб., 1834, с. 251.*

⁴ Записки Г. Буренна, государственного министра о Наполеоне, директории, консультстве, империи и восстановлении Бурбоновъ, том II, часть II, СПб., 1834, с. 251.

⁵ Rouig, *op. cit.*, p. 89.

⁶ *ibid.*, p. 89.

ძელი. რაც უბედურ დონელებს განსაკუთრებით ორენბურგის შემდევ გადადგილებისას მოელით”.

საგულისხმოა, რომ პავლე I-ის ამიერკავკასიური პოლიტიკა სწორედ იმ პერიოდში გააქტიურდა, რასაც ირანელი აეტორი, მაპმუდ აფშარიც. აღნიშნავს⁷. პეტერბურგის მთავრობა სასწრაფოდ შეუდგა საქართველოს რესეფთან შეერთების აქტის გაფორმებას⁸ და 1801 წლის 18 იანვარს პეტერბურგში გამოქვეყნდა პავლე I-ის მანიფესტი¹⁰.

ინგლისის პოლიტიკური წრეები მიხედნენ, რომ მათ ინტერესებს ინდოეთში საფრთხე ემუქრებოდა და ამ მიზნით 1800 წლის ნოემბერში ირანთან კავშირის დადგება გადაწყვეტის. რათა თავიდან აეცილებინათ ფრანგების შეჭრა ინდოეთში ირანის გავლით ან მისი დახმარებით. მათ 1801 წელს თეირანის კარზე კაპიტანი ჯონ მალკოლმი გაგზავნეს. მას მრავალრიცხოვანი და ბრწყინვალე ამაღლა ახლდა და

⁷ Н. К. Шильдер, Император Павел Первый, историко-биографический очеркъ, СПб., 1901, с. 417, 419-420.

⁸ Dr. Afschar, La politique européenne en Perse. Quelques pages de l'histoire diplomatique, Berlin, "Iranschähr", 1921, p. 169.

⁹ О. П. Маркова, Восстание в Кахетии 1812 г., М., 1951, с. 245.

¹⁰ საქართველოს ისტორიის ნაკრებები. ტ. IV. საქართველო XVI საუკუნის დასაწყისიდან XIX საუკუნის 30-იან წლებამდე, თბილისი, 1973, გვ. 815. ამ საკითხზე იხ.: Г. В. Хачапуриძე, К истории Грузии первой половины XIX века, Тбилиси, 1950, с. 5-118; ა. ბერძიანიშვილი, ეროვნული საკითხი საქართველოში 1801-1921, თბილისი, 1980, გვ. 5.

რესეფის შორის მიმავალი პოლიტიკა საქართველოს რესეფთან მიერთების შიშენელობის გამო. ნათლად ასახა რესი მეცნიერის – ქიმიკის, ფიზიკოსისა და მინერალოგის, ლონდონის სამეცნი საზოგადოების წერის, გრაფ აპოლო აპოლოს ძე მესინ ჰუშვიძის – რაპორტში. მან 1800 წ. წარუდგინა იმპერატორ პავლე I ეს ღოუმენტი, რამაც, ანონიმი აეტორის დასენით, “რესეფის ამინისტრობის წარუდგინა მისი (საქართველოს – ი. ბ.) ანგასის საკითხი გადაწყვეტი”. გრაფ მესინ-ჰუშვიძი აღნიშნავდა: “1. მიერთებული იქნება ფიზიკით თვალისას შრისთან მიხორანი და ნეიტრალური ქვეყნა; 2. განახტიურული იქნება კავკასიონის ბაზი მოსახლეობის ხალხების ჩაუკიდება; 3. გათხოვდა ფრანგი ასამური ასამის სამართლის და ინდოეთის სამართლი; 4. მორტასონი უსაბმელების შემთხვევაში, რესეფი ამართლის მხრიდან მიმდევად გახდება როგორც ასამის სამართლის, ისე თურქეთისათვის; 5. ქართლ-კახეთის მიერთებული გამოიწვევებ იძრიდოსა და სამეცნიეროს ანგასის იძრიდოსათვის”; М. Х. [? – ი. ბ.], Вступление Грузии в состав Российской Империи, // Юридический вестник, Москва, 1891, с. 329. ამავ საკითხზე ზურაბ ავალიშვილი წერდა: ‘Можно положительно утверждать, что донесения Мусин-Пушкина, подкрепляя и восполнняя просьбу грузинских уполномоченных, побудили Павла решиться на присоединение Грузии’; З. Авалов, Присоединение Грузии к России, СПб., 1901, с. 258.

ფათპ-ალი შაჰს¹¹ მეტად ძვირფასი საჩუქრები მიართვა¹². ინგლისელთა ასეთი ხაზგასმელი ხელგაშლილობა მოწმობს, რომ მათ კარგად პქონდათ შესწავლილი აღმოსავლელებთან ურთიერთობის ყოველი ნიუანსი. ეს უკურადღებოდ არ დარჩენია აღმოსავლეთში 1705 წლიდან მოღვაწე რუსოთა მესამე თაობის წარმომაღვენელს, საფრანგეთის რეზიდენტს ბაღდადში, უოზეფ რუსოს¹³. ინგლისელთა ამგვარ ნაბიჯზე მისი სამართლიანი შენიშვნის თანახმად, “აღმოსავლელთა კარგზე არაფერო არ იწევედა იხეთ მატივისცემას, როგორც დიალოგმატიურ წარმომაღვენლობათა დიდებულება და ძრწყინვალება”¹⁴.

ჯონ მალკოლმის მისიის მიზანი ირანის შაპისაგან სპარსეთის ფურეში ხელსაყრელი მდებარეობის მქონე რამდენიმე ნავსაღვურის გადაცემის მოთხოვნა იყო, სადაც ოსტ-ინდოეთის კომპანიას კანტორის

¹¹ ფათპ-ალი შაჰი (1771-1834) – ირანის შაჰი (1797-1834), ყაჯართა დინასტიის დამარსებლის, აღა-მაჟად ხანის (1794-1797) ძმისშეილი. იხ.: M. Bāmdād, Sharh-e hāl-e rejāl-e Irān dar qarn-e 12 va 13 va 14 hejri, ta'līf-e Mehdi-ye Bāmdād, vol. 3, Tehrān, 1347/1968 – 1351/1972, pp. 65-70.

¹² ჯ. მალკოლმის ელჩიობას ირანის კარზე ოსტ-ინდოეთის კომპანიის არმიის ფოფილი ურანგი ფულიცი, უან რამზი, ასე გაძლიერებულს: “მოიხილ მალკოლმი უკანას გავ მაუნებ ეჭაო-ალი მასის კარზე... მალკოლმი ჩაიგანა ძერისას ასტურები, რომელთა მორის უყ ასი ასას რეგას ზე (და ხლოებით 250 000 – 300 000 ჯოანი) უფრო ძირდ დირუქული არასევე უდიდესობით ძრილობანტი. მისი ამაღლის მემადგენლობას უყ მისი ადრიუტანტი, უძრავოს თვეუკერძო, ძოვანი, უზიმი, სასატო დაუკა – 50 ინდივიდი ცენტრალური, რომელთაც უკრძალეთ კასტონი მეთავრობას და 50 ხევამი მათვე უკრძალების ოფიციას მეთავრობით. (...) მისი წარდგენის მეორე ღიღებები, მოიხილ მალკოლმი კომპანიის სახელით მის უდიდეს ულუსობას მიხსოვს განსაზღვრული ასტურები მასით კა: ასახან, მას არ მის კარის დიდებულებით დაუიწევას, რომელთაც თავისუანთო რანგის საკარისის ასტურები მოღებები”. CP, Persse, vol. 8, doc. 165, fol. 401v-402v.

¹³ უან-ბატისტ-ლუი-ფაქ (ფრანგული) რუსო, ბარონი, (1780-1831) – ცნობილი ფრანგი აღმოსავლეთმცოდნე. საფრანგეთის “დამწერლობისა და სიტყვეერების” აკადემიის (“l'Académie des Inscriptions et Belles-Lettres”) წევრი, ბაღდადში საფრანგეთის კომერციულ ურთიერთობათა კომისიის, ფან-ფრანსუა რუსოს კაფ. 1803-1831 წწ. ფრანგულ რუსო იყო საფრანგეთის გნივრალური კონსული ბაღდადში, აღმოსავალი და ტრიპოლიში (J.-B. Jaques Rousseau, Voyage de Bagdad à Alep (1808), publié d'après le manuscrit inédit de l'auteur, par Louis Poinsot, Paris, 1899, p. iv-xv; H. Dehérain, La vie de Pierre Rustin, orientaliste et diplomate, Paris, 1929-1930, vol. II, p. 26-27; A. Debidour, Le général Fabvier, sa vie militaire et politique, Paris, 1904, p. 27). იგი მეტად მნიშვნელოვანი ნაშრომების ატორია; მათ შორის გამოვყოფთ მის მიერ ირანშე 1806-1807 წწ. დაწერილ გამოკლევას: “Tableau de la Perse moderne, ou mémoires géographique, historique et politique sur la situation actuelle de cet Empire”, MD, Persse, vol. 6, doc. 19.

¹⁴ MD, Persse, vol. 6, doc. 19, fol. 139v.

დაარსება სურდა. ამას გარდა, ინგლისის ელჩი ცდილობდა შაპის და-ყოლიებას ომზე ყანდაპარის აკლამელებთან, “რომელთა ძალა და ამბი-ცური გევმები ძენვალის ინგლისურ სამფლობელოთა მიმართ ინგლი-სელებს მეტად აწუხედიათ”. კაპიტან მალკოლმის საჩუქრების, მუდმი-ვი დაუინებული თხოვნისა და დაპირებების მიუხედავად, რომ კომპანია ფათ-ალი შაპის რუსებთან მოლაპარაკებებში და მათი ჯარის საქართ-ველოდან გაყვანაში დაეხმარებოდა, ირანის შაპი ჯიუტად არ თანხმ-დებოდა არც ერთ წინადაღებაზე¹⁵. ამ ელჩის შედეგად ირანსა და ინგლისს შორის ამ უკანასკნელისათვის მეტად სასარგებლო სავაჭრო ხელშეკრულება დაიდო. უნ-ფრანსეული რუსოს კომენტარით კი ირანში ჯონ მალკოლმის ვიზიტის ერთადერთი შედეგი “უხეად მოსყიდვის გზით სასახეთის გაელენიან სენიორებს შორის რამდენიმე ერთგული მომხრის შეძენა იყო”¹⁶. შემდეგ აღმოჩნდა, რომ ირანში საფრანგეთის პოლიტიკისათვის ინგლისელთა ეს ნაბიჯი საბედისწერო გამოდგა.

ირან-ინგლისის ამგვარ ურთიერთობათა ფონზე, 1801 წლის მარტ-ში გენერალი ორლოვი კოლგაზე გადავიდა და ორენბურგისაკენ დაიძ-რა. მაგრამ 1801 წლის 11 მარტს პავლე I-ის მკვლელობის გამო დაწყებული მსვლელობა შეჩერდა. თუმცა ბონაპარტისა და რუსეთის იმპერატორის ერთობლივი გეგმა¹⁷ ვერ განხორციელდა, მასში პირვე-ლად დაისახა ინდოეთზე ჩრდილო-დასავლეთიდან თავდასხმის შესაძ-ლებლობა, რამაც გამოკვეთა აკლანეთის უმნიშვნელოვანესი როლი: აღნიშნული მიმართულებით ლაშქრობისას, სამსედრო კორპუსი, რომე-ლიც ასტრახანიდან ასთარაბაღში გადავიდოდა ან ორენბურგიდან ბუ-

¹⁵ *ibid.*, fol. 137r-137v.

¹⁶ *ibid.*, fol. 136v.

¹⁷ Rouir. *op. cit.*, p. 91. უნდა აღინიშნოს, რომ XIX ს-ში ინდოეთში ლაშქრობაზე მეტად საყურადღებო ნაშრომი გამოაქვეყნა ინდოეთის კომპანიის ოფიცერმა, ჯონ მაკლონალდ კინეირმა, რომელმაც საგანგებოდ შეისწავლა და მცირე აზიის ტერიტორიაზე კი თავად გაიარა ქსენოფონტის მიერ “ანაბასის”-ში აღწერილი მარშრუტი. იხ.: John Macdonald Kinneir, Captain in the Service of the Honorable East India Companie. Journey in Asia Minor, Armenia and Koordistan in the Years 1813 and 1814. With Remarks on the Marches of Alexander and Retreat of the Ten Thousand, London, 1818, Dissertation on the Invasion of India, pp. 511-539.

ხარისაკენ დაიძრებოდა, აუცილებლად ავღანეთის მთიანი მასივის პი-რისპირ აღმოჩნდებოდა¹⁸.

პავლე I-ის მკელელობის შემდეგ ნაპოლეონის მიერ მოფიქრებულ ახალ კომბინაციაში აეღანეთის დიდი მნიშვნელობა შენარჩუნდა რო-გორც ინდოეთში შეჭრის, ისე მისი სამხრეთ-დასაკლეთიდან დაცვის თვალსაზრისით, მაგრამ ბონაპარტის მთელი ყურადღება უკვე ახალი სტრატეგიული პარტნიორებისაკენ – ოსმალეთისა და ირანისაკენ – მიიმართა. აეღანეთ-ირანის ტერიტორიული სიახლოების გათვალისწინებით კი ირანს სამხედრო პლაცარმის ფუნქცია მიენიჭა¹⁹. ამგვარად, ეს ქვეყანა პირველი კონსულის ინტერესთა სფეროში მოექცა და მყა-რად ჩაერთო მის დიდ აღმოსაკლურ პროექტში²⁰.

უან-ფრანსუა რუსოს გეგმა. იმ დროისათვის საფრანგეთსა და ირანს შორის უკვე დიდი ხნის შეწყვეტილი იყო როგორც დიპლომა-ტიური, ისე სავაჭრო ურთიერთობები. 1803 წლის ოქტომბერში ნაპო-ლეონმა ბაღდადსა და ალეპოში საფრანგეთის კომერციულ ურთიერ-თობათა კომისრებს, უან-ფრანსუა რუსოსა²¹ და აღესანდრო-ლუიჯი დე

¹⁸ Rouir, *op. cit.*, p. 91.

¹⁹ ნაცოლენი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ირანს. როგორც საფრანგეთის “შეუკვე-ძელი მტრის” წინააღმდეგ სამოქმედო საყრდენ ბაზასა და კრითადერთ ჟუნქს, რაღაც სწორედ იქიდან იყო შესაძლებელი “ინგლოსის აქტოლების ქუსლის”; ინდოეთისათვის, სასიედოლო კრიოლობის მიყენება. M. II. Павлович (Мих. Вельтманъ), Великие же-лезно-дорожные и морские пути бывшаго, СПб., 1913, с. 95.

²⁰ MD, Persc, vol. 8, fol. 234r.

²¹ უან-ფრანსუა რუსო (1738-1808) – ფრანგულ რუსოს მამა, ბაღდადში საფრანგეთის კომერციულ ურთიერთობათა კომისარი. უ.-უ. რუსოს მამა, უნივერსიტეტისათვე-იუვე-ლიორი უაკ რუსო – უან-უაკ რუსოს ბიძა – ჯერ კიდევ 1705 წ. გაქვეა ირანში ლუი XIV-ის საერთოს. იქ დარჩა საცხოვრებლად და ისუამანში დასახლდა. იგი შეა-სოლთან-ჰასეინის (1694-1722) კეთილგანწყობით სარგებლობდა. 1756 წლიდან ბასრა-ში დამკიდრდა და ინდოეთის უანგული კომანიის სამსახურში ჩადგა (J.-B. Jaques Rousseau, *op. cit.*, p. viii-x; H. Dehérain, *La vie de Pierre Russin*, vol. II, pp. 26-27). საფრანგეთის საგარეო საქმეთ სამნისტროს არქიტექტონიკური დოკუმენტი-დან ვიდებთ: “(...) ამ დროიდან მოყოლეული ჯა-მამად ბანი (1794-1797) ქუსლ ქუსლ ბანის (1760-1779) ამხანაში იყო, სანამ დამრთომ არ დადგინდ მის კონფი-დურაში... (...) ადა-მამად ბანი მს მჯრად თავისინა კაუზა მიუკლად, მანანანის გუაქნატორიმა კი მის ძალას ანდო; სწორჯე 1768 და 1770 წწ. ბარსში თავისი არი მოვ მაურობის დროს ქუსლ ბანის კაუზე კაუზნ ბ-ნმ რუსო ჯა-მამად ბანი... ქუსლ ბანმ ალეკს მეტებ ნაკავი თურქებს მასნა, საღაუ ძ-ნი რუსო ძალასის ამამინდელ ფაშასთან, სოლეიმანთან იმყოფებოდა”. MD, Persc, vol. 1, fol. 139r-139v.

კორანჩეზს²², ასევე მარშალ ბრიუნს²³ – საფრანგეთის ელჩის კონსტანტინპოლიში – ირანის შესახებ ზუსტი ცნობების შეკრება და საფრანგეთისადმი ირანის კარის განწყობის დაზვერეა დაავალა. უ.-ფ. რუსომ და აღესანდრო დე კორანჩეზმა მისწერეს ირანის გავლენიან პირებს და მათგან დადგებითი პასუხები მიიღეს საფრანგეთ-ირანს შორის ურთიერთობის აღდგენის თაობაზე. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს უ.-ფ. რუსოს ინფორმაცია, რომელიც ირანთან ურთიერთობის დიდი მომხრე იყო. თავისი წარმატებული მცდელობის შედეგები მან საფრანგეთის საგარეო ურთიერთობათა მინისტრს, ტალეირანს²⁴, 1804 წლის 22 ოქტომბრით დათარიღებულ წერილში მოახსენა. უ.-ფ. რუსო წერდა, რომ დაუკავშირდა ირანის გავლენიან პირებს, მათ შორის ისფაპანის შეიხ-ულ-ისლამს – მირზა მორთეზას, რომელმაც მას დაუდასტურა ირანის შაპის კეთილგანწყობა და მზადყოფნა ნაპოლეონთან ურთიერთობის დასაწყებად²⁵. უ.-ფ. რუსოს აღნიშნულ წერილში ირანის იმდროინდელი მღვრმარეობა განხილული არ არის და ვერც იქნებოდა. რადგან თავად იგი იმ პერიოდში ირანში არ ყოფილა. მისი რელაცია ძირითადად აეღანელთა მიმართ ინგლისელთა ზრახებს ეხება; ფრანგი რეზიდენტი ტალეირანს სთავაზობს ინგლისელთა წინააღმდეგ სამშხრივი აღიანსის დამყარებას “საფრანგეთს, საკარსეთს”²⁶ და კანდა-

²² განათლებით მათემატიკოსი აღესანდრო-ლუიჯი დე კორანჩეზი ბონაპარტის ეგვიპტეში ახლდა. შემდეგ იყო გენერალური კონსული აღვირდნი, საღაც დიდი პატივისუმა მოიპოვა. P. Gaffarel, *La politique coloniale en France de 1789 à 1830*, Paris, 1908, pp. 391-392.

²³ გიორგიმარი-ანნ ბრიუნი (1750-1812) – საფრანგეთის ელჩი კონსტანტინპოლიში 1803-1804 წწ., საფრანგეთის მარშალი.

²⁴ შარლ-მორის დე ტალეირან-პერიგორი, ბენევანის თავადი, (1754-1838) – საფრანგეთის სახელმწიფო მოღაწე, დიპლომატი. ნაპოლეონის საგარეო საქმეთა მინისტრი 1797-1807 წწ.

²⁵ CP, Perse, vol. 8, doc. 64, fol. 182r-189v.

²⁶ ირანის ცენტრალური ოღქის, ფარსის (ბერიძელად პარსის) მიხედვით, ევროპასა და აშერიაში Persia-ს უწოდებდნენ; იგ თვითგანვე ცხოვრიდნენ ირანის მირითადი მოსახლეობი – საკარსელება, რომელიც ფარსის ენაზე დაამარაკიდნენ. 1935 წ. ირანის მთავრობამ მსოფლიოს ყველა სახელმწიფოს მიმართა თუთიალური თხოვნით, რომ აშერიაში ქვეყნისათვის ირანი ეწოდებიანთ (Страны и Народы. Зарубежная Азия, M., 1979, c. 117). წყაროების მოხმობისას ჩეკ ეკონომიკურ აეტორთა ტერმინოლოგიას დავიცავ.

კარს შორის". ამ უკანასკნელთან კავშირის დასადებად, რუსოსავე გეგმით, შუამავლობა ირანს უნდა გაეწია. მთავარი აქ ისაა, რომ იგი აყალიბებს თავის დიდი ხნის სანუკარ ოცნებას ინდოეთიდან ინგლისელთა განდევნის შესახებ: პირდაპირ სახავს კამპანიის გეგმას მარშრუტისა და ამ ოპერაციის შესაძლო მონაწილეთა მითითებით. უ.-ფ. რუსო ტალეირანს სწერდა: "დღიდი ბანია, მონსენიორ, რაც ჩვენი მტრებისთვის ძენგალში მათი სამფლობელოების დაკარგვინების გეგმა მაქვს, გეგმა, რომლის განხორციელებაც დამოიდებულია იმ მოლაპარაკებზე, რომლებიც მიხმა საიმპერატორო უდიდებულებობამ შეიძლება დაიწყოს სპარსეთის კართან და ამის მეშვეობით ყანდაპარის მფლებთანაც. ეს გეგმა მეიძღვება გაძედელი მოუჩვენოს მაჯანს, კინც არ იცის საქმის არსი და ძღვომარეობა ისევე. როვორც ამ მხარეებში სხევადასხვა კერძო ინტერესთა დამოკიდებულება. მაგრამ როდესაც იცი ავღანელების უარყოფითი განწყობა ინგლისელებისადმი, ისევე, როვორც მათი ძალა და პრეტენზიები ძენგალზე, განსაკუთრებით კი დაქცერობის უნი, რომელიც მათ გაახელებს, როდესაც ცნობილია, თუ რა საშუალებით და როვორი კერავობით ბოვინობს იქ ჩვენი მტერი და როვორია მათი პოლიტიკა მეზობლებისადმი, მაშინ დარწმუნდები, რომ არ არის ძნელი ინგლისელების სამუდამო განდევნა მათი სამფლობელოებიდან... ეს გეგმა მე მოვახსენ ადრინდელ მინისტრს, მაგრამ ამასობაში საფრანგეთის რეკოლუცია მოხდა და ამ საქმეს გავრძელება არ მოჰყოლია. მიუხედავად ამისა, მე ის [გეგმა] მუდამ მქონდა მხედველობაში. დღეს, როდესაც საფრანგეთი უდიდეს ძალას იკრებს, მისი გამოჩენილი მეთაური კი თავისი ღრმა სიბრძნით მხოლოდ დიდ საქმეებს ირჩევს მათი ბრწყინვალე გამარჯვებით დასავირვებლად, ვძელავ წარუდგინო ეს [გეგმა] მის საიმპერატორო უდიდებულებობას და იგი თავად გადაწყვეტს. ღირს თუ არა მისი განხორციელება". უ.-ფ. რუსო ასევე წერდა, რომ თუკი ნაპოლეონი მოიწონებდა მის გეგმას, იგი თავად გაემგზავრებოდა ირანში. მაგრამ ითხოვდა, რომ "ყველა აღმოსავლურ ენაში განსწავლული და საქმაო დროის მანძილზე დიპლომატიურ სამსახურში მყოფი" მისი 24 წლის ვაჟი, ქოზეფ რუსო ხლებოდა; იგი აგრეთვე ითხოვდა, რომ მას მის-

ცემოდა უპირატესობა კონსტანტინოპოლიში საფრანგეთის ელჩთან შედარებით და მისის წარმატებით შესრულებისათვის ფინანსურად სათანადოდ ყოფილიყო უზრუნველყოფილი²⁷.

შემდეგ წერილში უ-ფ. რუსო კვლავ ადასტურებდა ფათპ-ალი შაპის ნაპოლეონთან მიმოწერის დაწყების სურვილს და აფრთხილებდა, რომ ინგლისელები ცდილობდნენ შაპის დარწმუნებას, თუმც კი უნაყოფოდ, რომ სწორედ საფრანგეთი უბიძგებდა რუსებს ირანის დასაპყრობად²⁸.

ერთი მხრივ, არ არის გამორიცხული, რომ ნაპოლეონი დაინტერესდა უ-ფ. რუსოს გეგმით, რომელიც ზუსტად ეხმიანებოდა მის ზრახვებს; მეორე მხრივ, XIX საუკუნის დასაწყისში შექმნილი საერთაშორისო პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე, მას ოსმალეთთან და ირანთან კავშირის დამყარება სურდა, რათა მის წინააღმდეგ შექმნილ მესამე კოალიციას²⁹ დაპირისპირებოდა.

ეს მოვლენები დაემთხვა საქართველოს შეერთებას რუსეთთან და ამ უკანასკნელის ამიერკავკასიაში დამკეიდრებას, რის შედეგადაც რუსეთის იმპერია ირანის უშუალო მეზობელი გახდა. ერთი მხრივ, ყაჯართა მისწრაფებამ, დაებრუნებინათ ქართლ-კახეთი და თავისი გავლენის ქვეშ პყოლოდათ ამიერკავკასიის მუსლიმური სახანოები, მეორე მხრივ კი ცარიზმის ექსპანსიამ ამიერკავკასიაში, რუსეთსა და ირანს შორის სამხედრო შეჯახება გამოიწვია.

რუსეთ-ირანის პირველი ომი 1804 წლის ივნისში დაიწყო, როდესაც რუსეთის ჯარმა განჯა დაიკავა და განჯის სახანო რუსეთის სამფლობელოს შეუერთა³⁰. ირანის ჯარს მეთაურობდა ფათპ-ალი შაპის მემკეიდრე. აბას მირზა³¹, რომელიც 60 000-იანი ჯარით თავრიზთან

²⁷ CP, Persc, vol. 8, doc. 64, fol. 182r-189v.

²⁸ CP, Persc, vol. 8, doc. 75, fol. 212r.

²⁹ საფრანგეთის წინააღმდეგ შექმნილ მესამე კოალიციაში გაერთიანდნენ რუსეთი, ინგლისი, დანია, შეველთო, აესტრია და პრუსია.

³⁰ ზ. შარაშენიძე, ირანის შინაპოლიტიკური ვითარება და საგარეო ურთიერთობანი XIX საუკუნის დასაწყისში, თბილისი, 1984, გვ. 75.

³¹ აბას მირზა (1788-1833), ირანის ტახტის მემკეიდრე – ნაიბ ოს-სალთანე; 11 წლის ასაკიდან მართავდა მიშენელოვან და მღიდარ პროვინციას – აზერბაიჯანს. იხ.: M. Bāmidād, *op. cit.* t. 2, p. 215-222.

იყო დაბანაკებული³². აბას მირზას ბანაქში იმყოფებოდნენ ირანში გადახევწილი ერეკლე II-ის ვაჟი ალექსანდრე და გიორგი XII-ის ვაჟი თეომერაზი.

1805 წლის ზაფხულში რუსეთის ჯარმა დაამარცხა აბას მირზა: შექის, შირვანისა და ყარაბაღის ხანები რუსეთის მხარეს გადავიდნენ, ხოლო მომდევნო წელს რუსეთის ჯარმა ერევნისა და ნახჭევანის სახანოების გარდა თითქმის მთელი ამიერკავკასია დაიკავა.

ომი ჭიანურდებოდა, რადგან რუსეთი ანტიფრანგულ კოალიციაში შევიდა და კავკასიაში მნიშვნელოვან სამხედრო კონტინგენტს ვეღარ გზაუნიდა³³, ირანს კი რუსეთის ჯარის განდევნის ძალა არ შესწევდა. ირანმა ინგლისელთა – ინდოეთში თავის მეზობელთა – მხარდაჭერის იმედიც დაკარგა: დახმარების სანაცვლოდ მათ ფათპ-ალი შაპს პორტუზის კუნძული. კასპიის ზღვის ნაესადგურები და სპარსეთის ყურეში ნაესადგური ბენდერ-ბუშირი მოსთხოვეს, რაზეც უარი მიიღეს³⁴. განრისებულმა ფათპ-ალი შაპმა ინგლისთან 1800 წელს დადებული ხელშეკრულება გააუქმა და ეჩმიაძინის კათალიკოსის, დაეკითხის, რჩევით ნაპოლეონს მისწერა წერილი³⁵, რომელიც 1804 წლის 17 დეკემბერს კონსტანტინოპოლიში საფრანგეთის საელჩოს მრჩეველს, პიერ რუფენს გადასცა ვინმე სომებმა ოსიპ ვასილევიჩმა. ამ უკანასკნელმა ფრანგებს თავისი თავი ფათპ-ალი შაპის დაახლოებულ პირად წარუდგინა და განაცხადა, რომ შაპი საპასუხო წერილს ელოდა, რათა პარიზში ელჩი გაეგზავნა. მანვე მიაწოდა ფრანგებს ცნობები ირანზე და მის მთავრობაზე³⁶. ფათპ-ალი შაპის წერილი სამი ძირითადი პუნქტისაგან შედგებოდა: 1. აღწერდა ერევანთან ბრძოლას; 2. ნაპოლეონს რუსების წინააღმდეგ ერთობლივ ლაშქრობას სთავაზობდა; 3. სთხოვ-

³² Archives Nationales, A F, IV, 1686, fol. 3, Rapport sur la mission de Monsieur Jaubert en Perse, 1807, 3 mars (შემდეგში Arch. Nat., AF, IV, 1686).

³³ И. Дубровин, Закавказье от 1803-1806 года, СПб., 1866, с. 418.

³⁴ Général J.-B. Dumas, *op. cit.*, p. 31.

³⁵ Alfred de Gardane, Mission du Général Gardane en Perse sous le Premier Empire, Paris, 1868, p. 13.

³⁶ ამედე ფობერი, მოგზაურობა სომხეთსა და სპარსეთში 1805-1806 წლებში. თარგმანი ფრანგულიდან, გამოკლეულია და კომეტარები ი. ნაჟუებიასი, თბილისი, 1997, გვ. 47.

და ფრანგი სამხედროების გაგზავნას თავისი ჯარის ეკროპულ ყაი-დაზე გასაწეროთნელად³⁷. ეს წერილი იმპერატორს 1805 წლის იან-ვარში გადასცეს. ვითარების შეფასების შემდეგ ნაპოლეონმა ირანში საიდუმლო აგენტის გაგზავნა გადაწყვიტა.

ნაპოლეონის მისიები ირანში. მიუხედავად იმისა, რომ უან-ფრანსუა რუსო მეტად აქტიურ მონაწილეობას იღებდა საფრანგეთ-ირანის ურთიერთობათა ნიადაგის მომზადებაში, ნაპოლეონმა ირანში გასაგზავნად არჩევანი შეაჩერა თავის პირად მდივან-თარჯიმანზე, აღმოსავლური ენების მცოდნე 25 წლის ამედე უობერზე³⁸. მისი გამგზავრე-

³⁷ H. DehéRAIN, La vie de Pierre Rustin, vol. II, pp. 28-29.

³⁸ პეტ-ამედე-უმილიენ-პრობ უობერი (1779-1847) – ფრანგი დიპლომატი, აღმოსავლეთმცოდნების და საზოგადო მოღვაწე, 1796 წელს შევიდა პარიზში ახლად გახსნილ „Urgence“ აღმოსავლური ენების სკოლაში, სადაც მან საფუძვლითად შეისწავლა საკარსული, თურქელი და არაბული ენები. მისი პედაგოგი გამოიწვილი ფრანგი აღმოსავლეთმცოდნები – უან-მიშელ ეანტურ და პარადისი, ისააკ სილვესტრ და სასი და ლუი-მატიუ ლანგლე – იყენებ. ა. უობერმა იცოდა ბერძნული, იტალიური და ინგლისური ენები.

1805 წლის 5 ივნისს, ირანში მიმავალი ამედე უობერი და მისი თანამგზავრები ბაიაზეთის ფაშამ, მაცმულმა დააკავა და ბაიაზეთის ციხის ჯურლმულში ჩააღდი. ამ ტყვების შესახებ საზოგადოებამ 1806 წ. 21 მაისს „Moniteur“-ში გამოქვეყნებულია ა. უობერის წერილიდან შეიტყო (Gazette National ou le Moniteur Universel, N141, 21.05.1806). მრავალი გაჭირების შემდეგ ა. უობერი მთლილ 1806 წლის 5 ივნისს ჩაიდა თერანში. ირანის დედაქალაქში იგი მძიმე დაკარგდა, რასაც თავად საწმლაუსაც მასწერდა (CP, Persé, vol. 9, doc. 34, fol. 73r-73v). არ არის გამორიცხული, რომ პრინციპილი განგუბობილი პირები მის მოწამეობასაც ეცდებოდნენ. 1806 წლის 14 ივნისს უობერმა შაპისაგან ეკროპაში დაბრუნების ნებართვა მიღიო.

1818 წ. ა. უობერი პეტროვ როშელიეს დავალეთში გაემგზავრა ქაშ-მირული თხების შესასყიდვის და ამ მეტაურობის დროს თბილისშიც იყო. იგი მთელი სიცოცხლის განმალეობაში ეწერდა აქტიურ პოლიტიკურ მოღვაწეობას. 1829 წ. სატრანგოსის მთავრობის მიერ იმსალეთში წარგზავნილმა ამედე უობერმა დიდად შეუწიო ხელი ადრიანოპოლის ხელშეკრულების დადგას, რითაც რუსეთ-ოსმალეთის 1828-1829 წწ. მიზ დასრულდა. 1830 წ., ამ დიპლომატიური დავალეთით კონსტანტინოპოლიში ყოფნის დროს, იგი დაუსწრებდნად ინჩიეს საურანგეთის „დამწერლობისა და სიტყვიერების“ აკადემიის (l'Académie des Inscriptions et Belles-Lettres) წევრად. რაც გამოჩატილის შემთხვევას წარმოადგენდა. პოლიტიკურ კარიერას ხელი არ შეუმლია ამედე უობერის საბეჭინორო საქმიანობისათვის – მის კალაბრ ეკუთვნის მრავალი მიზენელობანი სამეცნიერო ნაშრომი. ამასთან, იგი მეტად ნაყოფიერ საზოგადოებრივ და პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწერდა – იყო ეკროპისა და აზიის წამყანი საზოგადოებების დამაარსებელი და წევრი, ისააკ სილვესტრ და სასი გარდაუსალების შემსევე (1838) კი „უობალი აღმოსავლური ენების სკოლის“ დირექტორი. მას საკარსული ხელნაწერების მდიდარი კოლექცია აქონდა.

ბიდან ძალიან მაღლე, იმპერატორმა, რომელსაც სასწრაფოდ სურდა ირანის მდგომარეობის დაწვრილებით შეტყობა, თითქმის ანალოგიური მისია გამოცდილ სამხედროსა და გამჭრიას პიროვნებას³⁹. 41 წლის გენერალ რომიეს დაავალა⁴⁰.

ალექსანდრ რომიეს შაპისათვის ნაპოლეონის წერილის გადაცემა, ირანის მდგომარეობის დაწერილებით შესწავლა⁴¹, სამხედრო და ტო-კოგრაფიული ხასიათის მასალის მოპოვება, ირანში ოფიციელის მომ-ზადების დონის დადგენა, რუსების წინააღმდეგ საფორტიფიკაციო ნა-

ამდევ ქობერს მოღებული აქტონდა შემდეგი ჯილდოები: “წითელი არწივის” ორდენი
პრუსიის მეფისაგან (1830), “ლომისა და მზის” ორდენი ირანის მაძისაგან (1835), “ნი-
შანი იუსტიციარი” ოსმალების სულთნისაგან (1838). ლუ-ულილეს მეფისის დროს აგი
საფრანგეთის აკრი (1845) და საპატიო ლუვორის ლუიფერი (1846) გახდა. ამ სკოლ-
თან დაკავშირდებოთ იბ.: Revue Encyclopédique, Russie, t. 34, Paris, 1827, p. 101;
P. Amédée Jaubert, Voyage en Arménie et en Perse, précédé d'une notice sur l'auteur par
M. Sébillot, Paris, 1860, pp. I-XXVII; F. Richard, Quelques collectionneurs français de
manuscrits persans au XIXème siècle, // Luqmān, Annales des Presses Universitaires d'Iran,
Revue semestrielle, Dixième année, numéro 1, Automne-hiver 1993-94, p. 59; Deux siècles
d'histoire de l'École des langues orientales, Paris, 1995, pp. 90-91; ამდევ ქობერი,
მოგზაურობა... კვ. 6-42, 62-72.

³⁹ MD, Persc, vol. 8, fol. 238r.

⁴¹ I. Amini, Napoléon et la Perse. Les relations franco-persanes sous le Premier Empire dans le contexte des rivalités entre la France, l'Angleterre et la Russie, Paris, 1995, p. 79.

გებობების მოწყობის შესაძლებლობა⁴² და რუსულ საზღვრებამდე არაქსის სანაპიროს დაზვერვა ევალებოდა⁴³.

ამედე უობერს ფათპ-ალი შაპისათვის იმპერატორის წერილი უნდა გადაეცა⁴⁴ და ირანში იმდენ ხანს უნდა დარჩენილიყო, რამდენიც ქვეყნის მდგომარეობის შესწავლას დასჭირდებოდა⁴⁵.

მათ მიერ ფათპ-ალი შაპთან დამყარებული ურთიერთობები იქ 1806 წელს გავზანილმა კონსულებმა – უოზეფ უუანენმა⁴⁶, ოგიუსტი დე ბონტამ-ლეფორმა⁴⁷ და ქსავიე დე ლა ბლანშმა⁴⁸ – განაგრძეს; სამაგიეროდ, შაპმა ნაპოლეონთან თავისი ელჩი, მირზა მოპამედ-რეზა ხანი გაგზავნა. როგორც ირანელი მკელევარი მ. აფშარი აღნიშნავს, ირანს

⁴² MD, Perse, vol. 8, fol. 238r.

⁴³ P. Gaffarel, *op. cit.*, pp. 392-393.

⁴⁴ Alfred de Gardane, *op. cit.*, p. 17.

⁴⁵ P. Gaffarel, *op. cit.*, p. 392.

⁴⁶ უოზეფ-მარი უუანენი (1783-1844) – ცნობილი ფრანგი ორიენტალისტი. უ.-მ უუანენი 1806 წ. შემოდგომაზე ჩაიყდა თეირანში ირანის დასაზღვრად და იქ 1809 წ. სექტემბრამდე დარჩა. 1810 წ. იგი ევნაში საფრანგეთის საელჩოს მდივანია. 1812 წ. – ეიცე-ქონსულია მემელშე (აღმ. პრუსია). მეორე რესტაურაციის შემდეგ იგი საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივის პოლიტიკური განყოფლების არქივარიუსია. 1816 წ. მან სამეფო ბიბლიოთეკას გადასცა რამდენმე საარსული ხელნაწერი. 1817 წ. კალაკ კანსტანტინიკოსილშია თარჯიმანად, 1822 წ. არიზში დაარსებული ახალგაზრდა თარჯიმანთა სამეფო სკოლის დირექტორია. უ.-მ უუანენი 1826 წ.-დან კარლოს X-ის პირველ თარჯიმანად დაინიშნა, 1829 წ. აღმოსავლეური ქნების პარეელი მდივანი-თარჯიმანია, 1837 წ. – სარსული ენის ლექტორი Collège de France-ში: იყო გეოგრაფიული საზოგადოების კომისიის წევრი. მის გამოქვეყნებულ ნაშრომთაგან გამოყოფთ რჩს: Status quo d'Orient, revue des événements qui se sont passé en Turquie pendant l'année 1838, 1839, Turqui, 1840, // Dictionnaire de Biographie française sous la direction de M. Prevost, Roman d'Amat et H. Tribout de Morembert, Paris VI, p. 809. F. Richard, *op. cit.*, p. 59.

⁴⁷ ოგიუსტი დე ბონტამ-ლეფორი, ფრანგი ოფიციერი, 1806-1807 წწ. ირანს ტახტის მექეიდრის, აბას მირზას, ჯარს წერთნილა. ირანში საფრანგეთის მისიის სასელის დროს იგი თარჯიმან იგიუსტი დე ნერსასთან ერთად აბას მირზას ბანაქში იმყოფებოდა. მას ეკუთვნის საინტერესო ნაშრომი: Lettres d'un officier français contenant la relation d'un voyage rapidement fait en Turqui et en Perse pendant l'année 1807.

⁴⁸ საფრანგეთის საგარეო ურთიერთობათა მინისტრის, ტალეपორანის ძმისშეილის, ქსავიე დე ლა ბლანშის მისიის მიზანთად მიზანი აბას მირზას მეთაურობით სასარსელების რესეპშე თაედასმის წაქეზბა იყო მპერატორ ალექსანდრეს მდ. ეისლაზე ფრენისას, როცა იგი თავის ჯარს საქართველოსაკენ ვეღარ მიმართავდა. დე ლა ბლანშის მცდელობა ამაო გამოდგა. MD, Perse, vol. 8, fol. 241r-243v.

საფრანგეთთან კავშირი იმისათვის სჭირდებოდა, რომ დაემორჩილებინა საქართველო და მდ. მტკერის მთელი აუზი კავკასიის საზღვრებამდე⁴⁹.

1805-1807 წწ. ურთიერთგადახლართულ საქართაშორისო პოლიტიკურ ვითარებაში, უკვე 1807 წლის დასაწყისში ნაპოლეონმა თავისი უზენაესი ნება ასე დააკონკრეტა: “ჩეგნოვის კულუზე ძნიშვნელოვანია სამხრივი კავშირის დაცება საფრანგეთს, სამარსეთსა და პორტუს შორის, ინდოეთში ვზის გაკვალევა და რუსეთის წინააღმდეგ მომხრეთა მოპოვება”⁵⁰.

1807 წლის 1 მარტით დათარიღებულ, პირადად ნაპოლეონისათვის შედგენილ ხელმოუწერელ რაპორტში, საფრანგეთ-ირანსა და საფრანგეთ-ოსმალეთს შორის კავშირის დაცების ერთ-ერთი მოდელისა და ინდოეთში ლაშქრობის კონტექსტში, უკვე საქართველოც ფიგურირებს: “ეს ქვეყნები (ირანი და ოსმალეთი - ი.ნ.), რომლებსაც მოულით თავისი ძალები რუსეთის საზღვართან ჰყავთ [თავმოყრილი] და ამის მიუხედავად არ შეუძლიათ რუსებისათვის საქართველოსა (აქ და შეძლევ ხაზი კუკელუან ჩვენია - ი.ნ.) და ურუკის პროვინციის წართმევა, კურც ინდოეთში ძრავალიც ბოგანი ჯარის გავ ზავნას შეძლებენ”. ირანთან დასადებ ხელშეკრულებას საიდუმლო კონვენციის ფორმით უნდა დამატებოდა კიდევ სამი ჰუნტი, რომელთაგან პირველი “საქართველოს დამოუკიდებლობას”⁵¹ ეხებოდა. საქართველოში ქართლ-კახეთის სამეფო იგულისხმებოდა⁵².

⁴⁹ Dr. Afschar, *op. cit.*, p. 33.

⁵⁰ MD, Perse, vol. 8, fol. 48v.

⁵¹ CP, Perse, vol. 9, doc. 69, fol. 121r-122v.

⁵² გიორგ-ანტუან ლივიე (ირანში მის მისაზე საგანგებოდ ქვემოთ შევწერდებით) თავის ნაშრომში წერს, რომ ქასითა და შავ ზღვებს შორის მოქაული სამთავროები – სამეგრელო (La Mingrelie), გურია (Le Guriel) და იმერეთი (L’Imirelle) ოსმალეთის იმპერიის მოხარეები იყენენ. კახეთი (La Kackel) და ქართლი (Le Carduel), რომლებსაც ერთი მეუე ჟავდათ, მოხსენიებულია როგორც ირანის მოხარეები და “სპარსეთის საქართველო” – “La Géorgie persane”. *Voyage dans l’Empire Ottoman, l’Egypte et la Perse, fait par ordre du Gouvernement, pendant les six premières années de la République, par G. A. Olivier, t. III, Paris, 1807, p. 404.*

ინგლისელი ოფიცირის, ჯონ მაკლონალდ კინგირის ერთ-ერთი ნაშრომის ნაწილი უშალოდ XIX საუკუნის დასაწყისის ირანს ეხება, დიდი ნაწილი კი მისა მოსაზღვრე პროვინციების, მათ შორის საქართველოს, აღწერას ეთმობა. ჯ. მ. კინგირის თანახმად,

1807 წლის გაზაფხულზე, ევროპაში შაპის ელჩის ჩასვლამდე, ნაპოლეონმა ტალეირანის მოსაზრებისაგან განსხვავებით და ამედე უობერის რჩევის შესაბამისად, რაც ოსმალეთ-ირანს შორის არსებულ წინააღმდეგობებს ითვალისწინებდა, საფრანგეთ-ირანის საგანგებო სამოკავშირეო ხელშეკრულების დადება გადაწყვიტა⁵³. ამიტომ არ არის გამორიცხული, რომ ზემოთ აღნიშნული რაპორტიც ამედე უობერის მოსაზრების საფუძველზე იყოს დაწერილი, რადგან მისი ინფორმაციის თანახმად, ოსმალეთისა და ირანის ელჩებს მეტად ფართო უფლებები პქონდათ მინიჭებული საფრანგეთთან ნაპოლეონისათვის სასურველი ხელშეკრულების დასადებად⁵⁴.

ფათპ-ალი შაპის ელჩი ევროპაში. საფრანგეთ-ირანის ურთიერთობა ფართოდ შექმნებოდა პრესაში: 1807 წლის 13 და 22 იანვრის “Moniteur”-ები იუწყებოდა, რომ ფათპ-ალი შაპის წარგზავნილი მირზა მოპამედ-რეზა ხანი იმპერატორ ნაპოლეონთან ჩასასვლელად პოზენის გზას დაადგა⁵⁵; ხოლო პალედ ეფუნდი, ოსმალეთის პორტას მიერ საფრანგეთის კარზე წარგზავნილი ახალი ელჩი, წინა კვირის დასაწ-

კავასოისადმი. კირძოდ კი საქართველოსადმი ეროვნულთა საგანგებო ინტერესი განვირობებული იყო “რესესის იმპერიის სახურავის სწრაფი გაფართოვანი სასრულის იმპერიის მიმრთველისი”. აღმოსავლეთ საქართველოს ინგლისელი ოფიცერი Georgia-ს სახელწოდებით მოიხსენიებს და მასში ოთხ პროინციას – ქართლს (Cartuel), კახეთს (Kaket), ქაზიქს (Kizik) და სომხითს (Georgian province of Armenia – ანუ ქევმო ქართლი – ი.ნ.) აერთიანებს. დასავლეთ საქართველოს ჯ. მ. კინკირი სამეგრელოს (Mingrelia) უწოდებს და მასში სამ პროვინციას – სამეგრელოს (Mingrelia), იმერეთს (Immerlia) და გურაის (Quira) გამოყენებს (A geographical memoir of the Persian Empire, accompanied by a map, by J. M. Kinneir, London, 1813, pp. 339-347). იბ.: ი. ნაჭერის ჯონ მაკლონბლედ კინკირის ცნობები კახეთის შესახებ, // საქართველოს ისტორიის წერილობითი წერილების შესწავლის საკითხები. რესა. სამეცნ. სესია. მოხსენებათა თეზისები. თბილისი, 1991, გვ. 12-13; ი. ნაჭერის, ჯონ მაკლონბლედ კინკირის ცნობები საქართველოს შესახებ და მისი ფრანგული თარგმანი, // რეკა ერანას ხსნის ხსნებისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია. მოხსენებათა თეზისები. თბილისი, 1994, გვ. 39-40. ეროვნულ ენგბში საქართველოს აღმიშენებლი ტერმინების შესახებ იბ.: გ. გველაშვილი, მ. მგალობლიშვილი, გ. პაიჭაძე, საქართველოს და ქართველების აღმიშენებლი ტერმინები ეროვნულ ენგბში, // საქართველოს და ქართველების აღმიშენებლი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია, თბილისი, 1993, გვ. 294-309.

⁵³ A. P. Խօհանուսի, սկ. սоч., ս. 147.

⁵⁴ CP, Persie, vol. 9, doc. 64, fol. 114r.

⁵⁵ Moniteur, 13.01.1807 (Exterieur, Turquie, Constantinople, 30.11.1806).

ყისში გაემგზავრა იმპერატორ ნაპოლეონის მთავარ შტაბ-ბინაში, საიდანაც იგი ჩავიდოდა პარიზში ადრინდელი ელჩის – მუკიბ ეფენდის შესაცელელად. პალედ ეფენდის ამედე უობერი ახლდა⁵⁶. ფრანგ ემისარს ნაპოლეონთან ოსმალეთის დიდი სენიორის, სულთან სელიმ III-ის, მიერ გაგზავნილი საჩუქრებიც მიკონდა⁵⁷. ამედე უობერს პეტრ-და 1807 წლის იანვრით დათარიღებული მუსტაფა ფაშა ბაირახტარის⁵⁸ ბეჭედდასმული და მის მიერ ხელმოწერილი განკარგულება, რომელშიც ფრანგი ემისარი ბრწყინვალე პორტაში საფრანგეთის წარგზავნილ ოფიცრად იხსენიებოდა. ამ ბრძანების თანახმად, ყველა აიანს⁵⁹, რუშჩუკიდან ოსმალეთის [ევროპულ] საზღვრამდე, ამედე უობერის მიმართ დიდი ყურადღების გამოჩენა და მისთვის დახმარების აღმოჩენა ევალებოდა⁶⁰.

ირანისა და ოსმალეთის “ელჩები, აკრედიტებული მისი უდიდებულებობა იმპერატორისა და მეფის წინაშე”; ვარშავაში 1807 წლის მარტში ჩავიდნენ⁶¹. ევროპაში ჩასული შაპის ელჩი, მირზა მოჰამედ-რეზა ხანი ყოველნაირად ცდილობდა ირანის სანდო და სოლიდურ პარტნიორად წარდგენას; 1807 წლის 2 აპრილს “Moniteur”-ი შემდეგ ინფორმაციას აქვეყნებდა: “შისმა უდიდებულებობა სასარხეთის იმპერატორის ელჩმა, მიელენილმა მის უდიდებულებობა საფრანგეთის იმპერატორსა და იტალიის მეფესთან, ახლახან მიიღო ახალი ამბები თურკიანიდან შაპის ჯარის ბრწყინვალე გამარჯვების შესახებ. (...) სასარხელთა ძალაუფლება ინდოეთში ინგლისელთა სამფლობელოების საზღვრებამდე კრუელდება; საქართველოში ჯეროვნად უერ დამკვიდრებულ

⁵⁶ Moniteur, 22.02.1807 (Exterieur, Turquie, Constantinople, 10.01.1807).

⁵⁷ Moniteur, 27.01.1807 (Exterieur, Turquie, Constantinople, 13.01.1807).

⁵⁸ მუსტაფა ფაშა ბაირახტარი (1765-1808) – სელიმ III-ის რეუსორმების მომხრე-თურქეთის სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე. რუშჩუკის (დღეს ქ. რუსე მდ. დუნაიზე) დამოუკიდებელი ფაშა. ლორ კუპროს, *Расцвет и упадок Османской Империи*, Под редакцией докт. ист. наук М. С. Мелиера, Москва, с. 450, с. 468.

⁵⁹ აიანი – სახელმწიფო მოხელე ოსმალეთის იმპერატორი; ეს ტერმინი აგრეთვე წარჩინებულთა მიმართაც გამოიყენებოდა. იხ.: M. Z. Pakalın, *Osmanlı Tarih deyimleri ve Terimleri Sözlüğü*, İstanbul, 1946, p. 120.

⁶⁰ P. Amédée Jaubert, *Éléments de la Grammaire Turke*, Paris, 1833, Traduction du Bouïouri, pl. n. 5, p. 897.

⁶¹ Moniteur, 23.03.1807 (Exterieur, Pologne, Varsovie, 1.03.1807).

რუსებს ყოველი მხრიდან თავს ესხმიან. იმპერიის ყველა პროვინციას შორის სრული თანხმობა სუვერენი და სასარსეთს თავისი მტრების წინა-აღმდევ ატალ-ახალი ძალების მიმართუა შეუძლია.⁶²

1805 წელს ირანის შაპთან დაწყებული კონტაქტების გასაგრძე-ლებლად, გენერალ გარდანს⁶³, იმპერატორის ადიუტანტს, რომელიც იმ დროს მთავარი ჯარის გენერალურ შტაბში იმყოფებოდა, ირანში დიპლომატიური და სამხედრო მისიის ხელმძღვანელობა დაევალა. თავდაპირველად ნაპოლეონი მის მინდობას კვლავ ამედე უობერი-სათვის ფიქრობდა⁶⁴, მაგრამ მან თავისი არჩევანი გენერალ გარდანზე შეაჩერა, რაც ფათ-ალი შაპისადმი 1808 წლის 20 აპრილს მიწერილ წერილშიცაა განმარტებული: “გარდანის წინაპრები უკვე მონაწილეობ-დნებ ამ ორი იმპერიის დაახლოებაში. ისიც მათ კუალს მიკვება. ივი წელი არჩევანის ღირსას ჩევერდამი თავისი ერთგულებისა და თავისი პირადი სამხედრო დამსახურებების გამო”.⁶⁵ 1807 წლის 12 აპრილს ტალეირანისადმი მიწერილ დეპეშაში განმარტებული იყო გენერალ გარდანის ირანში გაგზავნის მიზეზი და მისიის მიზნები: “ზ-ნო პრინ-ცო დე ბენევან, გენერალ გარდანს, ჩემს ადიუტანტს, ხურს სპარსეთში გამზგვრება. ივი შეიღომებილია პიროვნებისა, კინც 1715 წლის ხელ-შეკრულება დადო. ამ დავალუებას ივი წინაპართა დანამარტებად მიიჩ-

⁶² Moniteur, 2.04.1807 (Exterieur, Pologne, Varsovie, 16.03.1807).

⁶³ კლოდ-მატიე დე გარდანი, გრაფი (1766-1818) – ჯარში 14 წლისა შევიდა, რევოლუციამდე უმცროსი ფფიცერი იყო; მისი კარიერა 1792 წ. დაიწყო: 1796 წ. იგი ჰოლანდიია, 1799 წ. – ბრიტანიის გენერალი, 1804 წ. ნაპოლეონის პარაგვაუსის მეთაურია, 1805 წ. – მისი ადიუტანტი. გარდანი მონაწილეობა აუსტრიალიის, ინისა და ეგვიპტის ბრძოლებში. 1807 წ. მონაწილეობა ფინენშტერში ფათ-ალი შაპის მიერ ნაკრძლენთან წარგზაუნილ ეტანან, მირზა მოქამედ-რეზა ხანთან გამართულ მოლაპარაკებებში. ირანიდან თვითნებურად დაბრუნების შემდეგ შერისხელ იქნა. 1809-1811 წწ. მსახურიბდა ესპანეთში, 1814 წ. ბურბონებს მიემხრო, ასი დღის განმაელობაში კვლავ ნაპოლეონთან იყო, 1815 წ. სექტემბერში კი საბოლოოდ გადასხვლა სამხრეთ საფრანგეთში (N. Broc, Dictionnaire illustré des explorateurs et grands voyageurs français du XIXe siècle, II, Asie, avec la collaboration de Gérard Siary, Paris, 1992, p. 204). ამ დაკავშირის გენერალ გარდანისათვის მინდობა შემთხვევით არ იყო: “სოლომან-უსებინის (სეფიანთა დინასტიის უკანასნელი შაპი, 1694-1722 წწ.) ძევისძინის ფაზ მის კარზე მრავალი კუბოელი აკეტი იყო... საფრანგეთიდან ეს აკეტი ჭურალ გარდანი იყო”... MD, Perse, vol. 6, doc. 19, fol. 135v.

P. Gaffarel, op. cit., p. 398.

⁶⁵ ibid., p. 399.

ნერს და მონდომებითაა აღსავსე. (...) მე მსურს. რომ კენერალი გარდანი სპარსეთში / იულისამდე ჩაიდეს" ... აღნიშნული დეპეშის პირველი პუნქტი ინდოეთში ლაშქრობასა და ირანის მიერ ინგლისელებთან კავშირის გაწყვეტას ეხება, მეორე პუნქტში კი არაპირდაპირ იკვეთება საქართველოს ადგილი: "სპარსეთში საფრანგეთი თავის ბუნებრივ მოკავშირედ უნდა განიხილოს რუსეთთან ირანის მტრული დამოკიდებულების გამო; ამ მტრობის მხარდასაჭერად სპარსელთა ძალის ხმელა უნდა წარიმართოს მათი (სპარსელების) საჯარისო ნაწილების, არტილერიისა და ფორტიფიციაციების ყოველმხრივ გასაუმჯობესებლად, რათა საერთო მტრებისთვის უფრო საშიში გახდეს"⁶⁶.

1807 წლის 19 აპრილის "Moniteur"-ი აღეპოდან და კონსტანტინოპოლიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე იუწყებოდა, რომ ფათპ-ალი შაპი მეტად აქტიური კაცი იყო, რომელსაც მშენივრად ესმოდა საქმის არსი⁶⁷. ირანიდან მიღებული 'სასიამოვნო ახალი ამბების' თანახმად კი შაპის ვაჟმა, აბას მირზამ, რუსები საკმაოდ დიდი ტერიტორიიდან განდევნა⁶⁸. ფრანგულ პრესაში დიდ ყურადღება ეთმობოდა ნაპოლეონის მიერ ირანის ელჩისადმი გამოხატულ ყურადღებასაც: "სპარსეთის ელჩი 26 აპრილს ჩაიდა ფინქენშტეინის სასახლეში. მან დაიკავა ძაღენის პრინცის აარტამენტები... (...) მეორე დღეს იმპერატორმა მას დაათვალიერებინა თავისი გვარდიის ინფანტერიის 20 ძატალიონი და მათ სხვადასხვა მანევრები გააკეთებინა, რომლებზეც ამ ელჩს არავითარი წარმოდგენა არ პქონდა. 29-ში იმპერატორმა ივი ძაღში მიიწევა და მას დიდხანს ესაუბრა სპარსელ ლიტერატურასა და მის ძელ ისტორიაზე. ელჩი მეტად განათლებული კაცია... 1 მაისს სპარსეთის ელჩს წილად ხვდა აატიკი, ხლებოდა იმპერატორს, რომელმაც მის წინაშე სხვადასხვა მანევრები გააკეთებინა ცხენოსანი

⁶⁶ Rapport sur la Perse à Monsieur le Général Comte Gardane par M. Trézel, ingénieur-géographe, 14 août 1808 – 28 février 1811, Manuscrit (შემდეგში – Trézel, Rapport sur la Perse).

⁶⁷ Moniteur, 19.04.1807 (Exterieur, Syrie, Alep, 1.01.1807).

⁶⁸ Moniteur, 19.04.1807 (Exterieur, Turquie, Constantinople, 7.03.1807).

გევარზოის 30 ესტადორის 30 მსუბუქი საარტილერიო დანაღვარით. ამ მანევრებმა კლჩი მეტად დააინტერესდა⁶⁹.

საფრანგეთ-ირანის ურთიერთობაზე “Moniteur”-ში დაბეჭდილი ინფორმაცია ძირითადად ოსმალეთიდან და ევროპიდან მიღებული ცნობების საფუძველზე შექმნებოდა, მეტად გაზვიადებული იყო, ხშირად არ შეესაბამებოდა სიმართლეს და ძირითადად ფრანგი მკითხველისათვის ირანის – საფრანგეთის პოტენციური მოკავშირის – დადებითად წარმოჩენას ემსახურებოდა.

საქართველო ფინკენშტეინის ხელშეკრულებაში. ირანის ელჩისა და ფრანგებს შორის გამართული მოლაპარაკებების შედეგად 1807 წლის 4 მაისს აღმოსავლეთ პრუსიაში, ფინკენშტეინის საიმპერატორო ბანაკში, დაიდო საფრანგეთ-ირანის სამოკავშირეო ხელშეკრულება, რომელსაც ხელს აწერდნენ საფრანგეთის სახელმწიფო მდივანი, პუგო-ბერნარ მარე და ირანის ელჩი საფრანგეთში მირზა მოპამედრეზა ხანი⁷⁰. აღვნიშნავთ, რომ ამ ხელშეკრულების შედგენაში ამედე ჟობერი აქტიურ მონაწილეობას იღებდა⁷¹.

1809-1811 წწ. ირანში ინგლისის საელჩოს მდივანი, ჯეიმს მორიერი ამ ხელშეკრულების შესახებ შემდეგს წერს: “1809 წ. 6 აპრილს ჩეენ კიყავით მირზა შაფისთან. მან გვაჩენა ფინკენშტეინში 1807 წ. მაისში საფრანგეთთან დადებული ხელშეკრულება, ხელმოწერილი და რატიფიცირებული ბონასარტის მიერ. ეს დოკუმენტი, დაწერილი თხელ პერგამენტზე ჩინებული ფრანგული ხელით, იდო შავი ხავერდის ბედები, რომლის ყოველი კუთხე უჩვეულოდ და ნატიფად იყო მორთული ფრთავაშლილი არწივით; მის ცენტრში, ოქრომკედით ნაქარგ გვირვევინში, ვამოსახული იყო ინიციალი N. დიდი სახელმწიფო ძეგლის ღუშტანი ხელშეკრულება ხალასი ოქროს კუთხი იდო. (...) მე გადაუწერ ეს დოკუმენტი...”⁷²

⁶⁹ Moniteur, 12.05.1807 (Intérieur, Paris, 11.05.1807).

⁷⁰ Alfred de Gardane, *op. cit.*, pp. 71-80.

⁷¹ CP, Perse, vol. 9, doc. 95, fol. 165r; Claude-François de Méneval, *Mémoires pour servir à l'histoire de Napoléon Ier depuis 1802 jusqu'à 1815*, t. II, Paris, 1894, p. 94.

⁷² James Morier, *A Journey Through Persia, Armenia, and Asia Minor, to Constantinople, in the Years 1808 and 1809*, London, 1812, p. 216.

უინკენშტეინის ხელშეკრულება მოხსენიებულია ყველა იმ ავტორის მიერ, ვინც კი XIX საუკუნის პირებით მეოთხედის საფრანგეთ-ირანის, რუსეთ-ირანისა და საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობის საკითხებს შეკებია⁷³. ამ ნაშრომებს შორის გამოვყოფთ ჯ. ვათეიშვილის

⁷³ მ. ეფრემიძე, ნაპოლეონის აგნტურა საქართველოში, // ქრ. „ლიახვი“, გორი, 1963, გვ. 136; ნ. ქორთვა, საქართველო 1806-1812 წლების რუსეთ-თურქეთის ომში, თბილისი, 1964, გვ. 145-150; ნ. ბერძინიშვილი, საქართველოს ისტორიის ხაյտნები, ტ. II, თბილისი, 1965, გვ. 359; გ. კალურაძე, საფრანგეთ-საქართველოს ისტორიული და კულტურული ურთიერთობიდან, // „მანომი“, № 1, თბილისი, 1971, გვ. 115; საქართველოს ისტორიის ნარკევები, ტ. IV, გვ. 861-862; ი. ტაბაღლა, საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობის ისტორიიდან (XVIII ს. მიწურულა - XIX ს. დასწყისი), თბილისი, 1974, გვ. 17-19; ლ. შენგელაძე, ამიტერქაუკასა და ირან-რუსეთის ურთიერთობა XIX საუკუნის პირები მესამედში, თბილისი, 1979, გვ. 31-32; ზ. შარაშენძე, დასახ. ნაშრ., 1984, გვ. 80-86; ნ. ტერ-ოგანოვი, ირანის რეგულარული არმია და უცხოური სამხერო მისიები, თბილისი, 1984, გვ. 15; ი. არდაშელა, ნაპოლეონ I პოლიტიკა ირანის მიმართ 1802-1807 წწ. და საქართველო, // საქართველო და ეკრანის ქეყნები, ტ. V, თბილისი, 1991, გვ. 86-93; ი. ტაბაღლა, საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობა 1917-1921 წლებში და საქართველო საფრანგეთის არქევება და წიგნსაცავებში, ტ. I, თბილისი, 1996, გვ. 322; ამედე ჭობერი, მოგზაურობა... გვ. 7; გ. ომაბაშვილი, საქართველოს საკითხო XIX ს-ის საქართველოს ურთიერთობებში. I. საქართველო რუსეთ-თურქეთის პოლიტიკურ და დიპლომატიურ გვევაზე XIX ს-ის I მესამედში, // ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკევები, ნაწ. II, მთავარი რედაქტორი რ. მტრეველი, თბილისი, 1998, გვ. 305-315; ა. მენთეშაშვილი, საქართველოს ურთიერთობების და დიპლომატიის ისტორია, წიგნი II, 1799-1918, თბილისი, 2000, გვ. 111-121; Alfred de Gardane, *op. cit.*, p. 25; C.-F. de Méneval, *op. cit.*, t. II, p. 94-95; Ed. Driault, La politique orientale de Napoléon – Les missions de Sébastiani et de Gardane, 1806-1809, Paris, 1904, pp. 170-186; A. Debidoü, *op. cit.*, 1904, p. 25; P. Gaffarel, *op. cit.*, p. 392; Ed. Driault, La question d'Orient depuis ses origines jusqu'à nos jours, Paris, 1912, pp. 86-87; Général J.-B. Dumas, *op. cit.*, p. 31; Dr. Afshar, *op. cit.*, p. 34-36; H. Dehéraïn, La vie de Pierre Russin, vol. II, London, 1928, pp. 28-29; H. Dehéraïn, L'œuvre scientifique française en Syrie et en Perse, // Histoire des colonies Français et de l'expansion de la France dans le monde, t. III, Paris, 1931, pp. 557-558; W. Haas, Iran, New York, 1946, p. 273; V. J. Puryear, Napoleon and Dardanelles, Berkeley and Los Angeles, 1951, pp. 163-167, 207; D. M. Lang, The Last Years of the Georgian Monarchy 1658-1832, New-York, 1957, pp. 260-261; P. Sykes, A History of Persia, v. II, London, 1958, p. 304; A. K. S. Lambton, Fath-'Ali Shāh, The Encyclopædia of Islam, New Edition, vol. II, Fasciculus 33, London, 1963, p. 839; R. M. Savory, Iran, V, History, (b), Turkomans to Present Day, // The Encyclopædia of Islam, New Edition, vol. IV, Leiden-London, 1971, p. 38; Ch. de Voogd, Les Français en Perse (1805-1809). // Studia Iranica, Paris, 1981, 10/2, pp. 250-261; Mirza Abul Hassan Khan, A Persian at the Court of King George, 1809-10. The Journal of Mirza Abul Hassan Khan. Translated and edited by Margaret Morris Cloake, Introduction by Denis Wright, London, 1988, pp. 15-16; F. Kazemzadeh, Iranian Relations with Russia and the Soviet Union, to 1921, // The Cambridge History of Iran, Vol. 7, From Nadir Shah to the Islamic Republic, II, Cambridge University Press, 1991, p. 333;

მონოგრაფიას, რომელშიც ავტორმა აღნიშნული ხელშეკრულების 1807 წლის 10 მაისით დათარიღებული ფრანგულ ენაზე შედგენილი ხელნაწერი. მისი ნაბეჭდი ვარიანტი და რუსული თარგმანი გამოსცა⁷⁴.

ამ 16 მუხლიანი ხელშეკრულებიდან ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მესამე და მეოთხე მუხლები:

“მუხლი 3

მისი უდიდებულებებია საფრანგეთის იმპერატორი იტალიის მეფე საქართველოს მისი უდიდებულებების სასარჩევის იმპერატორის ჯანმიერ კუთვნილებად ცენტობს.

R. Greaves, Iranien Relations with Great Britain and British India, 1798-1921, // The Cambridge History of Iran, Vol. 7, From Nadir Shah to the Islamic Republic, II, Cambridge University Press, 1991, p. 381; M. H. Kāvusi ‘Erāqī, H. Ahmadī, Asnādī az ravābet-e Irān va Farānse dar doure-ye Fath’Alī Shāh Qajār (1798-1834), Tehran, 1376/1997, pp. 27-28, 41; I. Amini, op. cit., 1995, pp. 121-122; I. Anūni, Napolcon and Persia, // Iran, The British Institute of Persian Studies, vol. XXXVII, London, 1999, p. 113; J. Calmard, Gardane mission, // Encyclopædia Iranica, vol. X, 1999, p. 293; Ghaffārī Abulhasan, Tahlil-e tārīkhī-ye nabardhā-ye Farānse va Rusiye dar zāmān-e Napoleon-e Bonapārt, Fashnāme-ye Tārīkh-e Ravābet-e Khārejī, vol. I, no. 1. Tehran 1378/1999, pp. 123-128; India, Minto and the Marquess of Hastings, // Encyclopædia Britannica, Vol. 12, Chicago-London-Toronto, pp. 167; Persia, Franco-British Rivalry in Persia. Struggle for Georgia, // Encyclopædia Britannica, Vol. 17, Chicago-London-Toronto, pp. 576-577; П. А. Риттих, Политико-исторический очерк Персии, СПб., 1896, с. 226; З. Авалов, ук. соч., сс. 265-266; История XIX века, под. ред. проф-ов Лавинса и Рамбо, т. 2. М., 1938, сс. 438-439; А. Д. Миллер, Мустафа паша Байрактар, М.-Л., 1947, с. 150; Г. В. Хачапуриძэ, ук. соч., с. 50; О. П. Маркова, ук. соч., сс. 219-233; М. С. Иванов, Очерк истории Ирана, М., 1952, с. 131; А. Р. Ноанисиан, ук. соч., сс. 89-139; Всемирная история, т. VI, ответственный редактор Н. А. Смирнов, Москва, 1959, сс. 102-104; З. Т. Григорян, Присоединение восточной Армении к России в начале XIX века, Москва, 1959, с. 79; С. В. Шостакович, Дипломатическая деятельность А. С. Грибоедова, Москва, 1960, с. 15; М. А. Игамбердис, Иран в международных отношениях первой трети XIX века, Самарканд, 1961, сс. 76-85; Ф. Абдуллаев, Из истории русско-иранских отношений и английской политики в Иране, Ташкент, 1971, с. 42; История Ирана, Москва, Издательство МГУ, 1977, сс. 225-228; И. М. Табагуа, Франко-персидские отношения и Грузия (конец XVII – начало XIX вв.), // Проблемы истории стран Европы, II, Тбилиси, 1978, сс. 154-161; Н. А. Кузнецова, Иран в первой половине XIX века, М., 1983, с. 35; В. Донаძэ, Планы Наполеона Бонапарта в отношении Грузии (на рубеже XVIII-XIX веков), // Труды Тбилисского Университета, история, искусствоведение, этнография, т. 246, Тбилиси, 1984, с. 112; О. В. Ардашвили, Грузия в восточной политике Наполеона I, (1798-1810), Автограферат диссертации на соискание уч. степени кандидата исторических наук, Тбилиси, 1992, с. 15-16 და სხვ.

⁷⁴ Дж. Л. Ватейшвили, Генерал П.С. Котляревский, Тбилиси, 1980, сс. 25-29, 62-80.

იგი იღებს ვალდებულებას, ყოველი დონე იხმაროს, რათა აიძულოს რესეპტი, დატოვონ საქართველოსა და საქართველოს ტერიტორიები და იმუამდგომლოს სამშეიღობო ხელშეკრულების მისაღწევად. ეს უკავუაყია მისი პოლიტიკისა და ყურადღების მუდმივი საქანი იქნება”⁷⁵.

აღნიშნული ხელშეკრულების გამო ნაპოლეონმა ფათ-ალი შავს კმაყოფილებით აღსავსე წერილი მისწერა: “ნაკოლეონი, ფრანგთა იმპერატორი იტალიის მეფე, ფათ-ალი შავს. საკარსთა იმპერატორს უძღვნის სალაშე. მიეიღე წერილი, რომელიც შენსა საკანგებო ელჩისა, მეტად კეთილშობილმა და მეტად ზრდილმა მოქამედ რეზა ბევრი გადმომცა. წერილიდან და დანაბარებიდან შევიტყვე ჩემდამი შენი გულწრული და კეთილი განწყობა, ჩეენი მევობრობის უმჭიდროები კავშირებით განმტკიცების შენი სურვილი და ჩეენი საერთო მტრების წინააღმდეგ ჩემთან შენი ძალისხმეულით სამუდამო შეკავშირების მტკიცების ნება. ამის შედევად მე ჩემს მინისტრს კუბრძანე, დაედო კეზირთან კავშირის ხელშეკრულება, რომელიც რატიფიცირებული, ჩემს მიერ ხელმოწერილი და ჩემი საიმპერატორო ბეჭედდასმული, შენს დედაქალაქში გაიცელება. მისი ერთგულად შესრულება შენი იმპერიის გამარჯვებისა და ჩეენი მტრების უიმედობის მომასწავებული იქნება. მე მეტად კმაყოფილი დაერჩი შენი საგანგებო ელჩის ქავევით ჩემთან ყოფნის განმავლობაში; მესიამოვნებოდა, თუ მას შენს სამსახურში გამოჩენილ მონადომებას დაუფასებ. გინურვებ ცის ლოცვა-კურთხევას, ხანგრძლივ და გამრწყინებულ მეფობას და მეზნიერ დახასრულოს”⁷⁶.

საფრანგეთისათვის იმ პერიოდში ჯერ კიდევ იმდენად მნიშვნელოვანი იყო ირანთან ურთიერთობა და ამის მკითხველამდე მიტანა, რომ ფინკენშტეინის ხელშეკრულების დადების შემდეგ, 1807 წლის “Moniteur”-ის მაისის თვის რამდენიმე ნომერში გიიომ ოლივიეს “მოგბაურობიდან” უ. ვერნეს მიერ კომენტირებული საკმაოდ ვრცელი ნაწყვე-

⁷⁵ Alfred de Gardane, *op. cit.*, pp. 73.

⁷⁶ Trčzel, Rapport sur la Persse, Manuscrit.

ტები დაიბუჭდა. 23 მაისის ნომერში ქ. ვერნე მკითხველს დაპირებისა-
მებრ სთავაზობდა “დაწერილებით ცნობებს ხარსეთის მუცნიურების,
ხელოვნების, კაჭრობის, წარმოებული საქონლის, სამხედრო მდგომა-
რეობისა და ფლოტის შესახებ”. 29 მაისის ნომერში იგი მკითხველს
სკარსელთა ხასიათზე, აღათ-წესებსა და სოფლის მოსახლეობაზე მო-
უთხრობდა, ხოლო 6 ივნისს დაბეჭდილი სტატია ირანის ისტორიის
მოკლე მიმოხილვას ეთმობოდა⁷⁷. გაზეთი “Moniteur”-ი⁷⁸ საფრანგეთ-
ირანის ურთიერთობებს ფართოდ აშუქებდა ფინკენშტეინის ხელშეკრუ-
ლების დადებამდეც და ტილზიტის ზავამდეც. რაც კარგად ასახავს
მაშინდელი ფრანგული პრესის – როგორც საზოგადოების განწყობაზე
გავლენის მქონე ინსტიტუტის – დიდ მნიშვნელობას.

ფრანგ რეზიდენტთა ცნობები საქართველოზე. აქ ჩნდება კითხ-
ვა: რა ინფორმაცია პქონდა ნაპოლეონს ფათპ-ალი შაპისათვის შეპი-
რებულ საქართველოზე?

მართალია, 1805 წლამდე, ე.ი. ნაპოლეონის მიერ ირანში ფრანგი
ემისრების გაგზავნამდე, საქართველო უშუალოდ არ ექცეოდა საფრან-
გეთის პოლიტიკურ ინტერესთა სფეროში, მაგრამ გარკვეული ინფორ-
მაცია მასზე საფრანგეთის მთავრობას უკვე პქონდა. ფან-ფრანსუა
რუსო 1796 წ. 8 მარტით დათარიღებულ წერილში⁷⁹ აღწერს თბი-
ლისში აღა-მაპმად ხანის შეჭრას⁸⁰: “(...) საჭურისის ლაშქარმა თბი-
ლისში ჩაიდინა კუელა ის საშინელება, რაც შეიძლება გამოიწიოს ომ-
მა, მოღაშქრეთა აღვირახსნილმა ხისახტიკებ და ბარბაროსობამ. ამას
გარდა, დამსყრობლის ბრძანებით, ოცდაათ ქრისტიანულ ეკლესიაზე
მეტი და ორი სუნიტური მეჩეთი⁸¹, რომლებიც ქალაქში იყო, გაანად-

⁷⁷ Moniteur, 23.05.1807; 29.05.1807; 6.06.1807.

⁷⁸ Moniteur, 13.01.1807; 22.01.1807; 23.03.1807; 2.04.1807; 19.04.1807.

⁷⁹ H. Dchétrain, Sylvestre de Sassy – 1758-1838, ses contemporains et ses disciples, Paris, 1938, p. 36.

⁸⁰ დაწერილებით ამ საკითხის შესახებ იბ.: ი. ცინკაძე. აღა-მაპმად ხანის თავდასხმა საქართველოზე, თბილისი, 1969, გვ. 73-234.

⁸¹ სუნიტით თათრების მეჩეთი, აშნებული ისააკ ფაშას მიერ 1710 წელს, აღა-მაპმად ხანს დაუნგრევა. იბ.: Charles Bélangier, Voyage aux Indes Orientales, par le Nord de l'Europe, les provinces du Caucase, la Géorgie, l'Arménie et la Perse, Paris, 1836-1846, t. II, p. 31.

გურებ და დაანგრიებ, ვადაწებეს და ვაძარცებ უკელა სახლი და ფორტიფიცია; ამ დანაშაულისა და სისახტიერის შემდეგ მონად აწ-
ციებ 40 ათას ადამიანზე მეტი, რომელთაგან თითქმის სამი მეოთხედი
ქართველი იყო და დარჩენილი მეოთხედი კი ხომხები და სუნიტი მუხ-
ლიმბი; ეს ციფრი გაზეიაღებული არ უნდა იყოს, რაღაც ბაღდადში
ირწმუნებიან, რომ ტყევთა რაოდენობა სამოცდაათი ათასი იყო.⁸²
უკელა მონა გავ ზავებ და გაფანტეს სპარსეთში და დარწმუნებული
უნდა იყოთ, რომ მრავალი მათგანი [უკელ] მოქვდა ან კედება გაჭირ-
ვების. სისახტიერისა და ძალადობის გამო, განსაკუთრებით კი – დაზ-
დით. ამ მონობის რამდენიმე მავალითმა ბაღდადამდეც მოაღწია. ერთი
ექსიოდე წლის ძიჯუნა, აქ ერთი სომები გაჭრის მიერ ჩამოყენილი,
ძალით წაიყვანა ბაღდადის ფაშამ, რომელიც თავად ქართველი მონა
იყო: ეს ბავშვი, მიუხედავად კარგი მოყრიბისა და აღერსისა, სულ
ტიროდა და თავის დედ-ძმას ითხოვდა⁸³. ამგვარად, XVIII საუკუნის

⁸² დ. კაციტაძის ნაშრომში აღნიშნულია, რომ აღა მამალ-ხანია თბილისიდან ორიეე
სქესის 22 000 მშეიღლიბიანი მცხოვრები წაიყვანა ტყევლ (დ. კაციტაძე, ირანის
ისტორია, III-XVIII სს., თბილისი, 2001, გვ. 441). ზ. შარაშენიძე წერს, რომ სპარ-
სელ ისტორიოგრაფია ნაშრომების მიხედვით აღა-მამალ ხანმა საქართველოდან 15 000
ტყევე გაიყვანა, ერევლე შეფის მიერ გულოვისისაღმი გავ ზავნილ წერილში 30 000
ქართველი ტყევე ნასხენები, ჯ. მალკოლმის მიერ “სანდო ქართველო და სომები
პირებისაგან” მიღებული ცნობების თანახმად – 25 000 ტყევე (ზ. შარაშენიძე, ირანი
XVIII საუკუნის მეორე ნახევრები, თბილისი, 1970, გვ. 168). ამდევ ფობერიც, ირანში
მიღებული ინფორმაციის საუფაველზე, 15 000 მონას აღნიშნავს (ამდევ ფობერი,
დასახ. ნაშრ., გვ. 149). რაც სპარსელი ისტორიოგრაფის ცნობებს ემთხვევა.
შამპოლეონ-ფიეკის ცნობით, “აღა-მამალ ხანმ 1795 წ. ტყევლისიდან 16 000 ახლო-
გაშრებ ტყევე წაიყვანა” (Histoire de la Perse (Asie Orientale) par Champollion-Figeac,
bibliothécaire au palais de Fontainebleau, Paris, 1860, p. 435). აღნიშნულ მოვლენათა
თანამედროვე სომები აეტორის, სერობ გრინის ცნობის თანახმად, საქართველოდნ
გაყენილ ტყევთა რიცხვი 50 000 იყო, ანონიმი სომები აეტორის ცნობით, დახოცილ-
თა და დატყვევებულთა რიცხვი, როგორც სომხებს, ისე ქართველებს შორის 50 000
იყო; სხვა სომები აეტორის, კარდან ომეცის, ცნობით – 16 000 (რ. ჭებაბრია, სომ-
ხური წყაროები აღა-მამალ ხანის მიერ 1795 წლის 11 სექტემბერს თბილისის აოხრე-
ბასთან დაკავშირებით. სადისერტაციო ნაშრომი ისტ. მეცნ. კანდიდატის სამეცნ. ხარის-
ხის მოსაპოვებლად, თბილისი, 1994, (ხელნაწერი); დისტრიციას კოთვის სომხურ წე-
რილობით წყაროთა ქართველი თარგმანები. გვ. 11, 24, 46, 72, 80). არა გამორიცხუ-
ლია, რომ რესას ინფორმატორები სომხები იყვნენ.

⁸³ H. Dehcraim, Sylvestre de Sassy, p. 36.

ბილოს ფრანგებისათვის თბილისი ცნობილი გახდა როგორც განადგურებული და გაძარცული ქალაქი.

1805 წელს, ანუ იმ პერიოდში, როდესაც ნაპოლეონი ირანთან კავშირის დამყარებას ფიქრობდა, საფრანგეთის მთავრობას სამი ანგარიში ჰქონდა ამ რეგიონში რუსეთის ზრახვებსა და უკავე რუსეთის შემადგენლობაში შესულ ქართლ-კახეთზე.

სინოაში საფრანგეთის კონსული, პასკალ ფურკადი⁸⁴ თავის რაპორტში ეხება შემდეგ საკითხებს: 1. 1783 წლიდან რუსეთის დაპყრობებს შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე; 2. რუსების დომინირების ფორმას – ტერორითა და აენ-პორტებით⁸⁵; 3. მათ მიერ დაპყრობილი ტერიტორიის ფართობებს; 4. რუსთა წინსევლას, ერთი მხრივ ტრაპიზონისაკენ, მეორე მხრივ კი – თავრიზისა და ასთარაბადისაკენ⁸⁶. მისი დასკვნა შემდეგია: “ამჯერად, რუსები მოიცავენ შესა და კასპიის ზღვებს და ქმნიან სამხრეთისა და სამხრეთ-დასკვლეულით სიკრძეში 400 ლიუტე მეტ არაჩეულებრივ საზღვარს”⁸⁷.

²⁶ ማኅበርና የሚመለከት በዚህ አገልግሎት የሚያስፈልጉ ይችላል.

ურანგი მეცნიერისა და მოგზაურის, გ. ოლივიეს ანგარიშიდან შემდეგი საკითხები უნდა გამოვყოთ⁸⁸: 1. 1783 წლამდე რუსეთმა ვერც კაეკასიონის ქედი გადალახა ვერც თერგსა და კასიის სანაპიროზე დაარსებული თავისი დასახლებები; 2. 1783 წელს საქართველო, ადრე “სარსეთს დაქვემდებარებული”; რუსეთის ბატონობაში გადავიდა;

საფრანგეთის რესპუბლიკის საგანგეო წარგზავნილმა კონსტანტინოპოლში, რაიმოდ ეკრინიაქა, ორ მეცნიერს – გოორმ-ანტიუან ლორეიეს (1756-1814) და უან-გოორმ ბრუნიერს – 1795 წ. იმ დროსათვის დამახსიათებელი მაღალფარდოვანი სტრუქტურის მისწერა: “თქვენ წინ ამჟღა, კარიქატი იხსენეთ. (...) ამჟღანად თქვენ სასრული გიმბროთ, ამ თაოქმის უკრომ მსარებელ ძეგლს და პროფესია გარსთა ასასრულ ხაუკანის თქვენს სამუშაოზე დაკარიცვეთ და გადასცის. რესპუბლიკა თქვენსან თავისადებას კრის და იძებოვებას, რომ მოლოდინი მოვიყენოთ სასრულის...” ურანგი ემისტერისათვის მიუკეთდი საიდუმლო ინტრუმენტით თანახმად, მათ აღა-მამად ხანი დორეფ ტრირიასთან კაუშირის სამყარებაზე უნდა დაეთანხმებინათ. ფარნგი ემისტერი ირანში 1796 წ. ჩაეიდნენ, მაგრამ მათ მისას პოლიტიკური წარმატება არ მოყოლოა. J. ლექტრენის შეკასებით, რაც თავისთავად საინტერესოა, ლორეიე და ბრუნიერი მატე-რიალურად სათანადოდ არ იყენებ უზრუნველყოფილი, ირანში საჩუქრები არ ჩა-ტანიათ და ამიტომ მათ არც ანგარიში გაუწიეს. ურანგ წარგზავნილია ნათელად თანახმად კი ირანის მდროინილები მთავრობასთან შეთანხმების არაეთობრივი იმედი არ იყო. „ჩადგან სასრულიადმა იმ კრის სახელით, კი არ იყო იმაზე, რომელიც იძებად უმისმამიერებულებებს როგორც თამაშება კარისმათ”. MD, Persc, vol. 6, doc. 19, fol. 136r-136v; H. Dehézain, L'œuvre scientifique française... pp. 557-558.

3. ერეკლემ და მისმა მემკვიდრეებმა რუსეთის „უზენაესი ძალაუფლება“ ცნეს, რის საპასუხოდაც აღა-მამად ხანმა „ტიფლისი⁸⁹ გააჩნია“; 4. გრაფმა ვალერიან ზუბოვმა აიღო დარუბანდი, ბაქო, შემახა და განვა. ჯარის ნაწილი მოხსნა საქართველოს დასაკავებლად, მდ. მტკერის აყოლებით თბილისამდე; 5. რუსების განზრახეა იყო: შავ და კასპიის ზღვებს შორის მდებარე ყველა ქვეყნის დაკავება და საზღვრის გავლება ტრაპიზონიდან არზრუბამდე, რეშთამდე და ასთარაბადამდე; 6. ამ დაპყრობათა მნიშვნელობა რუსთათვის: აღნიშნული ტერიტორიების ხელსაყრელი სამხედრო და სავაჭრო მდებარეობა⁹⁰.

⁸⁹ I. Natchkebia, La fonction de Tbilissi pour la Perse d'après les matériaux français (la fin du XVIIIe et le début du XIXe siècles), // Orientalist, I, Tbilisi, 2001, pp. 196-201.

⁹⁰ „რუსთამ ნელ-ნელა მუჟროთ თავის ახელმწიფო ჩერქეზთო და კულა ქვეყნა, მდგრადი აზოვის ზღვას და კოლივის შესართავს მოინის; მცრავ 1783 წლამდე ეკრუ საკარისის ქვედ გადასახს. კურა თურგა და კასპის ანასიროზე დარსებული თავისი დასახლებები. 1783 წელს საქართველო აღრე ასარებოს დაქვემდებარებული, რუსეთის მატრიცამ გადაიღო. პირიცმა უკველებელ ხელშეკრულებით გაღიდულებულია აღო, რომ არც თავად და არც მიხი მემკვიდრეები არ ცენობდნენ სხვა უზენაეს ძალაუფლებას, გარდა რუსთამის იმპერატრიცისა და მისი მემკვიდრეებისა. ამ ხელშეკრულების შედეგად კურა და რუსთამის აღ-მამად ხანს, ასარებოს ახლად მეფე, 1794 წელს კურა და რუსთამის ფიცი მოხორცია, უკი თქვა მორჩილებაში და განცემას, რომ არ ცენობდა სხვა სევერებს, გარდა ეკატერინების. ამ უკარის ასეუბად მამადმ 1795 წელს შეკრის ჯარი, შეიკრის კურა და შემის ხანის ჯარები, დამარტინ ქართველის ლაშქრო, დაითხმა ტიფლისში და გამანაგა. კურა უკამ მარცის მშეოდნობას, აღო რა კალდეულება, რომ თეთიმუ და მამისი კრისტენებას შექოცხნებ ასარებოს მეფეს და გადაუბრიონებ იმ ყველანიურ გადასახადს, რომელსაც მის ახელმწიფო აღრუ იხდოდა. 1796 წელს რუსთამის იმპერატრიცამ ვრცე კალტრან ზემოვის მეოურობით ვაგ შენა ჯარი. რომელმაც თანმიმდევრობით აღია დარუბით, აქო, შეძინა, განვა და მოხსნა ჯარის ნაწილი საქართველოს დასაყუებლად, მტკერის აკოლებით ტიფლისამდე. კატერინეს სიკეთოლმ მეჩერია ეს კუსტორია. რუსთამ ჯარის უკამ კურა დამარტინის მოილო, რაც შეანერება იჩინ: გაუყინა ჯარი კავკაციან, შეძინდა, კულა ქალაქებამ და ციხე-სიმღერიდან და ჯარის ნაწილები დატოვა ტიფლისძი. აქოსა და დარუბანდში. 1797 წ. მამადმ თეთიმან შეკრის ჯარი კურა უკამელეს მეოურ და რუსებისათვის აქოსა და დარუბანდის წასაროვად, მავრან ივი მეოურ... მამადმის სიკეთოლის შეძინებ იმპერატრიცამ ალექსანდრებ ვაგ შენა ჯარის ნაწილები. რომელმაც თეთიმან აღეს განვა, შემან, შემა, მორცანისა და მაღალი არმენის (la haute Arménie) კულა სიმღერ და მოლოს იქრიბი მოთანებ კურა უკამში. ისე ჩანს, რომ რუსებს დაგვეგძლიო აქო შე და კასპის ზღვებს მორის ძეგლან კულა ქავინის დაკუკია. იქნან ა ზღვის გაუღება ტრამიზონის არზრუბამდე, რეზონამდე და ასარებოსამდე. ეს აღიღოსა და ის რუსებს ყველებას წარმოქმნა მოუტანს ხელსაყრელი ამბეჭრო და სავაჭრო ძეგმარებით“. CP, Perse, vol. 8, doc. 157, fol. 385r-385v.

უან-ფრანსუა რუსო ბაღდადილან 1805 წელს საფრანგეთის მთავრობას შემდეგ ინფორმაციას აწერდიდა: 1. საქართველოს დახასიათება – “შეკრიური და კრიული მხარე”; 2. საქართველოს დამოკიდებულება ირანთან – “გამუდმებით სპარსეთის მოხარუქ”; 3. “მისი პრინცის” – ერეკლეს გარდაცვალება და ქართლ-კახეთის მთლიანად რუსეთის მმართველობაში გადასვლა. 4. რუსების გაბატონება დარუბანდზე, ბაქოსა და კასპიის ზღვის სხვა ნაესადგურებზე, ერევანსა და განჯაზე; 5. ერეკლეს ერთ-ერთი ვაჟის – ალექსანდრე ბატონიშვილის ირანში გაქცევა რუსების საქართველოში შემოჭრისთანავე; 6. სპარსელთა ჯარით ბატონიშვილის გაგზავნა რუსების წინააღმდეგ და რუსების მიერ მისი უკუგდება; 7. რუსების ერთადერთი მიზანი – კასპიის ზღვაზე საუკეთესო პორტების, განსაკუთრებით კი გილანის ნაყოფიერი და მდიდარი მხარის დაპყრობა⁹¹.

ამრიგად, ამ დოკუმენტების გაანალიზებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე ფრანგებისათვის საქართველო ცნობილი გახდა, როგორც რუსეთის ბატონობაში გადასული, მაგრამ 1783 წლამდე “სპარსეთს დაქამდებარებული”, “გამუდმებით მისი მოხარუქ”, “შეკრიური და კრიული მხარე”, რომელიც დალაშქრა ერეკლესა და მისი მემკვიდრეების მიერ რუსეთის “უზენაური ძლიაუზელების” ცნობით გამდევნეარებულმა ირანის მმართველმა, აღა-მაჰმად ხანმა. მან საქართველოს დედაქალაქი “ტიფლისი გაასანება”, მისმა მოლაშქრებმა კი იქ “აღიირახსნილი სისახტიკე და ძარბარობა” ჩაიდინეს. ეს ცნობები გაამდაფრა ერეკლეს გარდაცვალების შემდეგ საქართველოს მთლიანად რუსეთის

⁹¹ “შეკრიურმა და კრიულმა მხარეებმა საქართველომ, რომელიც გამუდმებით სასახლეთის მოხარუქ იყო, უცხ. საქართველოში მანა დაუკავა თავისი პირები უზარეს და მოლოდნებულებით მართველობაში გადავიდა. ეს შეასესებული სასახლეთის მასკერებსა ან ადგენერ თავისთვის ხშირი თავისახმებით. ცოტა ხნის წინ ისინი დარუსენდოს, აქეთ და კასპიის ზღვის სხვა ნაკავებების დაკატერონებ და სასახლეთის ჯარის მასკალი წარუმატებელი მუდჯადამის შეძლევ, წარმოვევ /მათ/ ქალაქები ერევანი და განჯა. ერეკლეს ერთი ვაჟი, რომელიც რუსების შემოჭრისთვალი სასახლეთ გაექა. მათ წინამდებარებ ჯარით გავ გუგებ, მაგრამ [რუსებმა] შეუგდეს და დამის თავისი ზე დასტურებ, ნათელად, რომ რუსების ერთადერთი მაშინ არის კასპიის ზღვაზე სამათებო პორტების, განსაკუთრებით კი გილანის ნაყოფიერი და ძოლარი მხარის დაყრობა”. CP, Persc, vol. 8, doc. 158, fol. 386r.

შმართველობაში გადასცლის გამო მისი ერთ-ერთი ვაჟის ირანში გაქცევამ და რუსეთის წინააღმდეგ მისმა ბრძოლამ სპარსელთა მხარეზე. რაც სამეფო ოჯახის არაერთსულოვან პოლიტიკურ ორიენტაციაზე მეტყველებდა. საყურადღებოა, რომ ყეველა აუტორის ანგარიშში სა-განგებოდაა აქცენტირებული 1783 წლიდან რუსეთის სწრაფეა, დამ-კვიდრეს ოსმალეთის შავიზლისპირა ნავსადგურ ტრაპიზონიდან ირა-ნის კასპიისპირა ნაესადგურ ასთარაბადამდე მდებარე მხარეებში მათი ხელსაყრელი სამხედრო და სავაჭრო მდებარეობის გამო.

აღექსანდრ რომიესა და ამედე უობერის ცნობები საქართვე-ლოზე. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია აღექსანდრ რომიესა და ამე-დე უობერის ანგარიშებში დაცული ცნობები რუსეთ-ირანის ომის (1804-1813 წწ.) პირველ წლებში რუსეთის შემადგენლობაში შესულ ქართლ-კახეთზე, რაღაც ფრანგ ემისრებს ნაპოლეონისაგან არა მხო-ლოდ ირანის,⁹² არამედ მისი მეზობელი ქვეყნების საგანგებოდ დაზ-ვერვაც ევალებოდათ.

ამედე უობერის მიერ ტალეირანისათვის არზრუმიდან 1805 წლის 20 ივნისს გაგზავნილ წერილში შემდეგი ინფორმაციაა დაცული:

1. ერევანთან და მდ. არაქსის ნაპირებთან სპარსელთა რიცხობრივად დიდ ძალას (15 000 მოლაშქრე) რუსების 6-ჯერ ნაკლები (2 500 ჯა-რისკაცი) ძალა უპირისპირდებოდა; 2. საქართველოში ხალხი რუსების უკიდურესად უკმაყოფილო იყო; 3. პ. ციციანოვის⁹³ მიერ თბილისის 60 გავლენიანი მაცხოვერებლის დაპატიმრება; 4. მეფე ერეკლეს ორი ვაჟის⁹⁴ ირანის შაპთან გაქცევა. 5. რუსების მიერ რიონის გარდა

⁹² ჩექინ ნაშრომი ამ საკითხის შესახებ - "La Persie vue par deux émissaires de Napoléon" - გადაცემულია დასაბჭოდად.

⁹³ პავლე ცოციანოვი (ციციანოვი), თავადი, (1754-1806) - 1803 წ. ქართლ-კახეთის შმართველად დაინიშნა. ფრანგი ბურგისმეტყველი შარლ ბელანე მასზე შემდეგს წერდა: "ივ საქართველოს უკანასკნელი დაუმკურნის, მრიამის ნათებავი იყო, მაგრამ რუსეთის არმიას გეხმატებოდა და თავისი აძლია სამშობლოს სრულიად კრიკელი. კულე ახსნებო, თუ რა სისაკრიკით გაუქრისარა საქართველოზარდა ამ თავისადმი უკანასკნელი ნაშენი მოსარჩევა, რომელიც 97 მეტე თუკოლო, დაუირჩა რა სამეცნი იჯახონ სისხლით ნათებამ". Charles Bélangier, op. cit. t. II, p. 64.

⁹⁴ იგულისხმებიან ერეკლე II-ის ვაჟი ალექსანდრე ბატონიშვილი და გიორგი XII-ის ვაჟი, თეიმურაზ ბატონიშვილი, რომელიც უმიერად აგრეთვე ერეკლე II-ის ვაჟად მიიჩნია. ორეული ბატონიშვილი აბას მირზას კარზე იყო და სპარსელებთან ერთად იძრმოდა

ანაკლიის ნაუსადგურის დაკავება და კოლხეთის ამ ნაწილში 1500 კაცის შეფარვა⁹⁵.

ალექსანდრ რომიეს მიერ 1805 წ. ოქტომბერში საგანგებოდ ტალეირანისათვის შედგენილი ანგარიშიდან გამოყოფთ ჩევნოთვის მნიშვნელოვან შემდეგ ცნობებს: 1. რუსეთის ჯარს მეთაურობდა წარმოშობით ქართველი გენერალი ციციანოვი, რომელსაც რომიე *Sisin*-⁹⁶ უწოდებს; 2. რუსეთს საქართველოში 10-12 ათას კაცზე მეტი არ ჰყავდა, რომელთა უმეტესი ნაწილი მოხეოვურ გაიდაზე გაწერთნი-

რუსების წინააღმდეგ რუსეთ-ირანის პირველ ოშპი (1804-1813). ზ. პარაშენიძე, დასახ. ნაშრ., 1984, გვ. 70-71.

⁹⁵ „ასარსებოს მეუკე ემზადება რუსების წინააღმდეგ სამართლებულებად. მან იხმარდ ბაზის მეოუკებით ერკვინასუნ 5 ათას, არაუსის ნამორებისუნ 10 ათას კაც გავ შევ- ნა. თუ ის მხრივ, რუსებს 2500 კაცი ჰყავთ ქართველი და ერკვინას. მათ კინ მარტინის წარმატებას თავიანთ მტრიცასან - სომხებიან. სამართლებულება ბაზობი უკიდურესად უძმინებითობა რუსებისა. პირიც ციციანომ თანალისს 60 მტრია გაუცემანი მებორიებისა და ასამატიობა. მეუკე ერკვილებ არი კაცი ის ასარსებოს მეუკესან გავიკა. რომის გარდა მათ ანგოსთის ნავსადგურიც დაიყვავ. კოლუხოს ამ ბარილში მათ 1500 კაცი ჰყავთ. არაეთისარ იხილავს არა მეტე არა ინორიოს და არა მარადის შესახებ. მეუკესანები მარტიწერებებ, რომ ქურთისტანის მოიდა ისეულ საშიშოს, როგორც არაბებისა. მიუხვავად ამას, ეკუდება ერკვინაში საცელას და იქმნას თქებებთან ურჩიერის გამოყ მაგნას. მისი უკიდურებელის დაკავების შესახულებიად ბ-ბ რომიეს შეკულინად. ჯირჯრიანთ ძელი მწყვლიანის". CP, Perse, vol. 8, doc. 133, fol. 334r-334v.

⁹⁶ „რუსები აგრძარ მტრია მეოუკებითობით არამ სამართლებო; მათი აღლება 8 ათას კაცებ არ აკუმბრებს. ლოდისთვის ბაზობი დაკავებულის გამო, მათი ჯარისკაცით დეზირებითიანის. მათ მეოუკების გენერალი *Sisin*-ი (...), ქრისტიან. თქებებს, რომ იყო მარტალინის ხელი დაბარებულის კაცის. ამის საუკეთესო ზე, მონსირიონ. პაზია მეტებ მოვახსენოთ, რომ უკაველა, თუ რუსეთს ასარსებოს კრის (რუსები) ნაწილის დაკავებას უნდა. მას ეს არ გაუძირობდა, თუმცა მას ლილი ძირი არ შეაჩინებს: მცრავ არა მცროს, რომ ამ თუ ის მტრია მას დაუკავებდა. უკაველა ამ ბარილშიანის... Copic de la lettre de M. Romieu à Son Excellence le Ministre des Relations Extérieures, 1805, CP, Perse, vol. 9, doc. 27, fol. 58v.

პოლკოვნიე გასარ დროუსილი წერდა: „შემარტებული. რომ ასარსებოს ის ბარილები, რომდენიმე რუსების ჯარს 1800 წლამდე უწევდნენ წინამარტებულის, შეგვებოთ მხრივი უკარიის არაუკულანული ინიციატივისა და ცხენოსანის მნიშვნელოვან, რომელითაც უფრო ასარსებოს ასარსებლივი იყენებდნენ, კორაზ ნამდვილი რომის ასარსმოებლად. (...) ბ-ბ ლიკანიუს გარსა, ამ მისმარტებულის თანამდებობის შე მყიფებ არ კონის გენერალის არ იყოთ, როგორი სისტემა გამოკენებისა ამ კრის (ასარსებოს) წინამდებარებული. რომლის დამარტება ლილი საშუალებების გარეშე ნაკლები იყო შესაძლებელი. რუსებს ეს კინ გაითვალისწინება". Gaspard Drouville, Voyage en Perse, fait en 1812 et 1813, Turin, 1829, t. III, pp.10-12.

ლო ქართველები, დანარჩენი კი კაზაკები იყვნენ; 3. რუსეთის ჯარი ასე მცირე ძალებით წინააღმდეგობას უწევდა ორმოც და ოთხმოც ათასიან ირანის ჯარს და არასოდეს ჰქონია მნიშვნელოვანი წარუმატებლობა, რაც ამედე უობერის ინფორმაციას ემთხვევა; 4. ირანში სხვადასხვა დაავადებების გამო რუსები ჯარისკაცებს კარგავდნენ⁹⁷. ეს ინფორმაცია ნაპოლეონისათვის მეტად მნიშვნელოვანი იყო, რადგან იგი ინდოეთის კამპანიაში ირანს ზურგის ფუნქციას აკუთვნებდა.

გენერალი რომიე საქართველოს რუსეთ-ირანის ინტერესების პრიზმაში განიხილავს. იგი წერს: “ჩაიგდო რა თავი კუელაზე უფრო კურავი მტრის ხელში, ის [საქართველო] კერ ხედავს იმ ბედს, რომელიც მას ემუქრება. კერ ხედავს, რომ უკვე ძალიან უძედური იყო, როდესაც იძულებული გახდა, 1783 წელს, დაუნანებლად (...)”⁹⁸ კულის გადალახვის ნება მიეცა იმ პატივმოყვარე სახელმწიფოსათვის [რუსეთი], რომელიც მისი მეზობლის ტერიტორიის დაკყრობით ძარისაკენ მიინიჭა (...) ხეროვდ ამ დაყირდამ და სულელმა მმართველობაში⁹⁹ უნდა მიმართოს საარსეთს დახმარებისთვის, რათა თავიდან აიცილოს ქარიშხალი, რომელიც მზადა ამოვარდეს და უკაველია, როდესაც მას ჩასაფრებული უძედურება თავს დაატყდება, რაც ადეილი გასათვალისწინებულია, ამან არაეთარი სინახული არ უნდა გამოიწვიოს, თუკა მისი ეს დაცემა საურთო ძალანსს არ დაუმუქრება. კფიქტობ, მონებენიორ, რომ მხოლოდ და მხოლოდ ამ თვალსაზრისით არის მისი უდიდებულებობის ინტერესებში საარსეთთან კავშირის დამყარება, რომ ერთი მხრივ, მოსკოვის გაძლიერებას შეუძლოს ხელი, მეორე მხრივ კი ოსმალეთის იმპერიის ნაშთები შეინარჩუნოს. თუ ამგვარი პოლიტიკური ნაბიჯი მის ინტერესებშია, რაც ჩემი განხანჯელი არ არის, მაშინ სხვა უპირატესობები, რომელთა მიღებაც მის უდიდებულებობას შეუძლია იმ კავშირიდან, მეტად არასაიმედო და მორეული იქნება”¹⁰⁰.

⁹⁷ CP, Persé, vol. 9, doc. 27, fol. 59v-60v.

⁹⁸ წერილის ასლში ტექსტი გამოტოვებულია – ი.6.

⁹⁹ “... c'est à ce lâche et stupide gouvernement...” CP, Persé, vol. 9, doc. 27, fol. 60r.

¹⁰⁰ ibid., fol. 59v-60r.

როგორც ვხედავთ, საქართველოს – ამ შემთხვევაში ქართლ-კახეთის – ინტერესები ფრანგების საერთაშორისო პოლიტიკურ კონტექსტში უკვე სრულიად განწირულია. აյ მნიშვნელოვანი ისაა, რომ, აღექ-სანდრ რომიეს დასკვნის თანახმად, ფათ-ალი შაპის შუამავლობით ავლანელთა წარმართვის შესაძლებლობა ინდოეთში ინგლისელთა წინააღმდეგ “ზუღის ტოლი იყო”¹⁰¹ ამასთან, გენერალმა რომიემ იმდენად კარგად შეაფასა ირანზე რუსეთის სამხედრო უპირატესობა¹⁰², რომ ძალიან ძნელი დასაშვები იქნებოდა ირანს მეორე ფრონტი გაეხსნა ინდოეთში ინგლისელთა წინააღმდეგ¹⁰³. იგი წერდა: “საკარხელების კულურაზე დიდი და ნაძღვილი წუბილი რუსეთის მხრიდან მოდის. ის სასარსეთოსათვის საშინელი მტერია და როდესაც მასზე იერიშის მიზა-

¹⁰¹ გენერალ რომიეს მოსაზრება იმ უმნიშვნელოვანეს საკოზზე, რაც ინდოეთში ინგლისელთა წინააღმდეგ სასარსელთა და ავღანელთა ჩართვას ეხება, ნაკლებად ოპტიმისტურია რესორს გეგმასთან შედარებით; ეს პროექტისინალი სამხედროს დასკვნაა: “სასამღვდელოში სასარსელების გაყდრება აკლასულებზე მთ მისამართად ინგლობრივოს წინააღმდეგ, ზუღის ტოლია. (...) სურველი, რომ სასარსეის ინგლობრივების წინააღმდეგ ინდოეთში გაუშენონ ერთი საკარისო ნაწილი, მხრიდან ირან გზით მიიღოს განხორციელდებ: პირველი, ხევებტანის (სისტანის – ი.ხ.) გადაკეთოთ, მაგრამ გარდა იმისა, რომ ამ ჯარისხთვის ინდოეთის მარჯვენა მხარეზე მისაღწეულ კუსნიდე თუ იქნება საკირი, ჯარი იქ მისელაძე უდამური და მარამარის უდი პროცენტითი გაყლოსა გაითარება; მეორე გზა სასარსეის უკრის ნუსაღებულები ჯარის გადახსნას; უნდა ერთა უდიოთ, რომ ზედა თავისეუფლი იქნება და საფრანგეთის ფლობს ინდოეთის ამ პანილში უპირატესობა უქმდა ინგლისის ფლობზე, მაგრამ ამის განხორციელება მხოლოდ ამ პაროვაზის შემთხვევაშია შესაძლებელი”. ibid., fol. 60r.

¹⁰² “რუსეთის არტილერია შეკვერად მოქმედებს, ყოველი დანართი ბურჯი იცირის, მათი. როდესაც სასარსელებისა – მხოლოდ ერთხელ და თვისაბეჭრ კაცამდევა საკრირ კამანისას ერთი დანართის გამოსაყენებლიური”. ამ ცნობას აღევსანდრ რომიე შემდეგ კომისტარის უკეთესის: “მუხხვაურ ამისა, არწმუნებას, რომ სასარსელი მემორი მასებია და მისან მიიღოს საქმო ასტელერი ნახო, თუ მას გაწერონთ სასარსეთის ჯარი თანამდებობუ ძვირობერებაში თორეულ მეტიც რომ იყოს კვლეული ის რომელიც ამ ძოლით ჯარზე წარსდა რუსების წინააღმდეგ, მაინც მუდა დამარცხებული იქნება”. ibid., fol. 55r, 59r-59v.

¹⁰³ “შე თქექ დავიძირიულო, რომ ქმდოთ დაბმურის გარეშე სასარსეის უკრ აღმო-ლებს რუსეთის წინააღმდეგ. ამასთან აღვნისაუ, რომ თუ მას უკალა დაუსაუტად განეციონლი ინდანტერიოსა და არტილერიის ნაწილები. მას შეეძლება დასა წარატებით შეეჯიბროს თავის მტკრს. ყოველიც ამის შეძლებ მის უდიდებელებისას თავდა განხვისი. შეას თუ ას მას ინტენსულში შეუმორის ამ ასტელმწიფოსთან. რომელიც მე არ ძნელობებოდა რუსებისათვის მატრიცული მენა”. ibid., fol. 60v.

ნახ მოინდომებს მთელი ძალით, უკუკელია, [რუსეთი] ადეილად შეაღწევს იმპერიის ცენტრამდე¹⁰⁴.

გენერალ რომიესათვის მიცემული დაეაღებიდან გამომდინარე, ნაკოლეონს სურდა, პეტონდა სრული ინფორმაცია ირანის სამხედრო შესაძლებლობებისა და მისი მდგომარეობის შესახებ, რათა განესაზღვრა, რამდენად გამოადგებოდა ეს ქვეყანა პოტენციურ სამხედრო პოლიგონად ინდოეთში ინგლისელთა წინააღმდეგ. ფრანგი ოფიცერი თავისი ანგარიშით ნაპოლეონს ირანთან კავშირის დასადებად არ უბიძებდა: იგი მხოლოდ ფაქტებს აღნიშნავდა, ხოლო იყო თუ არა იმპერატორის ინტერესებში ამ კავშირის დადება, მისი ანგარიშის გათვალისწინებით, თავად იმპერატორს უნდა გადაეწყვიტა. აღვნიშნავთ, რომ საგანგებოდ ტალეირანისათვის განკუთვნილი გენერალის წერილი საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრს უ-ფ. რუსომ აღექსანდრ რომიეს გარდაცვალებიდან თითქმის 7 თვის შემდეგ, მხოლოდ 1806 წლის 1 მაისს გაუგზავნა¹⁰⁵.

რაც შეეხება ამედე უობერს, ნაპოლეონმა იგი ირანიდან დაბრუნებისთანავე დაიბარა ვარშავაში და მას შესრულებული მისიის ანგარიში მოსთხოვა. იმპერატორისათვის წარდგენილ, 1807 წლის 3 მარტით დათარიღებულ რაპორტში¹⁰⁶, რომელიც ძირითადად ირანს ეხება, ცნობები საქართველოზე ირან-რუსეთის ომის კონტექსტშია შეტანილი:

1. რუსეთის ჯარი 10 ათასს არ აღემატებოდა და რუსეთი ინარჩუნებდა მის მიერ დაპყრობილ მხარეებს მდ. არაქსსა და მტკვარს შორის;
2. რუს სამხედროთა მიერ ომის წარმოების მანერა¹⁰⁷; 3. რუსეთის ჯარის დაბანაკების ადგილი, ჯარის ზნეობის შეფასება და მათდამი

¹⁰⁴ ibid., fol. 58v.

¹⁰⁵ ibid., fol. 54r.

¹⁰⁶ Arch. Nat., AF, IV, 1686, fol. 1-25.

¹⁰⁷ “თუ ის მხრივ, ეს უკანასწერი სამარსელების წინააღმდეგ არც დოდი ხელოუნისთ და არც დოდი შემართულით არ იძრებათ. უკავ სამი წელია, რაც ისინი არაქსის ნაჟრუბშე არიან. მის გადალახვას კი ვერ ძეგლები, ყოველ კაშუტეულშე აღფას არტყამიზე კრებანს – ქალაქს, რომელიც მხოლოდ კედლით და ცუდი თხრილით არის დაცული, მაგრამ მისი აღება დღეში კუნ შეძლებს. შემოვლომაზე აღყად და კამანია მოაკრძალო. პირველი თოული რესების უკან დაბეჭას იჩენეს, რაღვანც ისინი უკავ დასუსტებული არიან ამ მხარეში მოდებული დაცულებულისავან”. ibid., fol. 5.

საქართველოს მოსახლეობის დამოკიდებულება: “ისინი (რუსები – ი.ნ.) თბილისში ძრუნდებიან თავიანთ ზამთრის ყაზარშებში, საღავა მათ ის გარეუნილი ჩვეულები და სამარცხებინო თავაშეებულობა შეიტანეს, რაც პეტერბურგში ცივილიზაციად და უკროპულ ზრდილობად ითვლება. ამგვარად, მათ დაკარვეს საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილის კეთილგანწყობა”¹⁰⁸; 4. პავლე ციციანოვის მკელელობა¹⁰⁹; 5. ირანში რუსების წარმატების ერთ-ერთი მთავარი დამაბრკოლებელი მიზეზი: საქართველოს მთიანი რელიეფი და ადგილობრივი მოსახლეობის წინააღმდეგობა¹¹⁰; 6. რუსეთის ძალისხმევა, მიმართული კასპიისპირა სანაპიროების დასაკავებლად¹¹¹; 7. გენერალ რომიეს მსგავსად, ამედე უობერიც წერს, რომ სპარსელთა ერთადერთი სადარღელი მათ სამფლობელოებში რუსების შემოჭრა იყო¹¹².

ალექსანდრ რომიესა და ამედე უობერის ზემოთ მოყვანილი საბუთების გაანალიზებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, საფრანგეთის მთავრობისათვის ცნობილი გახდებოდა. რომ ირანის წინააღმდეგ მებრძოლ რუსელ ჯარში ქართული მოსახლეობაც იყო ინტეგრირებული და ჯარის მთავარი დასაბანაკებელი ადგილი თბილისი გახდა, მაგრამ

¹⁰⁸ ibid., fol. 5.

¹⁰⁹ “დამოლიონ, ამერიკან მათ [რუსებს] აღმარ აქვთ ადგილობრივი გუბერნატორებისა და სხვა სამართლების მოსახლეების მოსახლეებისა და ნიღობის შესაძლებლობას, რაღაც ტანჯ-კით ძოლებს პინტ ციციანოვის მკელელი იმპაზზ ბაზ-ბაზ - შემთხვეულობრივი, რომელმც აღმარ დაუთმო მათ ეს მნიშვნელოვანი ადგილი”. ibid., fol. 6.

¹¹⁰ სამართლის ტერიტორიაზე რესების წარმატების დამპრეზავებელი ერთ-ერთი მიზეზი ის სირთულეა, რასაც ისინი სამხვრო ნაწილების გადაყენისას განვიდიან საქართველოს მთებში მცხოვრილი ლეგე ბალბების გამზ. რომელიც დაიკრინი არიან (*Une des causes qui a le plus retardé les progrès des russes sur le territoire persan, est la difficulté qu'ils éprouvent à faire passer leurs troupes à travers les montagnes de Géorgie parmi les peuplades de Lcoghis qui les habitent et qui y sont en force*). მთი ძალისხმეული ავრიცევა მიმართული იყო იმ ადგილების დაკავებისუებ, რომელიც ზღვით უზრუნველყოფდებ მათ კავკასიას ასტრაბანისა და კაზახსართვან, განსაკუთრებული კა - დარუსებრისა და აჯოს ნავსადვერებისან. მთი მცხოვრისა დღიუმდე უნაყოფი იყო: სწორედ ამ რომ ადგილობრან უასახსრებოში, იმ დროს, როდესაც ისინი ფიქრობდნენ, რომ ფერის წარმომადგენ დაკავების მას. პინტიც ციციანოვი მუკლუკ იქნა სწორედ იმ გუბერნატორის მიზან, რომელთანაც იყო ამ სამარცხები შეთანხმებულ აწარმოუბდა მოსამართვებას”. ibid., fol. 6-7.

¹¹¹ ibid., fol. 7.

¹¹² ibid., fol. 15.

რუსებისადმი საქართველოს მოსახლეობის დამოკიდებულება უარყოფითი იყო. ამავე დროს ფართოვდება ინფორმაცია ერეკლეს II-ის ოჯახის სხვა წევრთა უკმაყოფილების შესახებ რუსეთის მიმართ. მითითებულია რუსების მიერ დაპყრობილი ტერიტორია – მხარეები მდინარეებს არაქსსა და მტკვარს შორის – და მათ მიერ ერევნის ციხის აღების მუდმივი მცდელობა¹¹³.

ამედე უობერის რაპორტი შემდეგი სიტყვებით მთავრდება: “ხელისმომწერი დარწმუნებულია წარმოდგენილ რაპორტში მოყვანილი ყველა ფაქტის სრულ სიზუსტეში. ყოველივე, რაც მცირე აზით, ხაქართველობა და კოლხეთის თანამედროვე ძველმარეობას ეხება, მცირე ანგარიშის თემა იქნება”¹¹⁴. რას წერდა ფრანგი ემისარი მეორე ანგარიში, არ ვიცით. რაღაც პარიზის არქივებში მუშაობის დროს ეს დოკუმენტი ვერ მოვიძიეთ. საეცალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ამედე უობერს ირანში საუბარი ჰქონია საქართველოს რუსეთისაგან გამოხსნისა და ირანისათვის დაბრუნების შესახებ¹¹⁵.

აქ გასათვალისწინებელია, რომ თეირანში გენერალ რომიეს სიკვდილის შემდეგ ამედე უობერი ირანიდან ევროპაში ამბის ჩამტანი ნაპოლეონის პირველი თვითმხილველი ემისარი იყო¹¹⁶. ამასთან, იგი რუსების წინააღმდეგ მებრძოლ ირანის ტახტის მემკვიდრეს – აბას

¹¹³ Arch. Nat., AF, IV, 1686, fol. 5.

¹¹⁴ ibid., fol. 25.

¹¹⁵ A. Gabriel, Die Erforschung Persiens. Die Entwicklung der abendländischen Kenntnis der Geographic Persiens, Wien, 1952, p. 132.

¹¹⁶ თვის ანგარიშში აღ. რომიე წერდა: “მე მუტად გულაბახმით მოუკიდები ჩემს ასტამოს სასახლეში, მაგრამ იმასც აღინიშვნა, რომ სჯობს ვეჭით მოუკიდო იმ კუმრებს, რომელიც იგებმება კაბინეტში და არა [უშემატყოდ] იმ აღიდუბში. რომ დაუტევ არის ღამის ღამისაზე” (CP, Persie, vol. 9, doc. 27, fol. 54r). 1806 წლის აპრილში იუსტა ფაშას ბანაკიდან კონსტანტინოპოლიში საფრანგეთის საელჩოს რწმუნებულისათვის, პირ რუსენისადმი გაგზავნილ წერილში უობერი წერს: “პარიზში მხრივ დაუტევ არ ასახული ის სამართლის მასის მაცხოვი დაუტევდები” (Moniteur, N141, 21.05.1806), თუმცა 1796 წლიდან ირანის დედაქალაქი თეირანი იყო და არა ისტამანი. ამასევ აღასტურებს ამედე უობერის ნათეამიც 1821 წელს პარიზში გამოცემული მისი “მოგბაურობის” წინასიტყვაობაში: “ის ცრატები, რომელიც სასახლის გეოგრაფიის შესახებ არ სცმობდა ამ ასურუნის დასწავლისთვის. იძულებად არასრული იყო, რომ ამ იმპერიის დადაქალაქის სახელიც კი არ იყო წესიერად ცნობილი”; ა. უობერი, მოგზაურობა... გვ. 46.

მირზასაც ესაუბრა რამდენჯერმე, მათი საუბრების მთავარი თემა კი რუსეთ-ირანის ომი იყო¹¹⁷. ირანის კარის სტერეოტიპულ დამოკიდებულებას საქართველოსადმი ნათლად ასახავს აზერბაიჯანის ბეგლარბეგის ნაიძის, ფათ-ალი ხანის მიერ 1805 წლის მაისში ამედე უობერთან გამოთქმული შემდეგი აზრი: “ჩევენმა ახლანდელმა მმრანებელმა, რაკი ძალაუფლების ხადავევემი ივლო ხელო, თავისი შემძლე მარჯვენით ყველაფერი გაერთიანა, მთელი სპარსეთი მას ემორჩილება, გარდა ხაქართველობის, პროვინციისა, რომელიც სინამდეილეში უკვე დიდი ხანია იმპერიის ნაწილი აღარ არის”¹¹⁸.

გასათვალისწინებელია, რომ იმპერატორი მეტად ენდობოდა ამედე უობერს, რომელიც ეგვიპტის ექსპედიციის შემდეგ, 1802 წელს პოლკოვნიკ სებასტიანის¹¹⁹ ახლდა ლიბიაში, სირიასა და ეგვიპტეში¹²⁰. 1804 წელს ნაპოლეონმა სწორედ იგი გაგზავნა ოსმალეთის სულთანთან, სელიმ III-სთან¹²¹ თავისი იმპერატორად კურთხევის ამბის შესატყობინებლად და 1805 წელსაც სულთანთან წერილი მან კვლავ ირანში მიმავალ ახალგაზრდა ემისარს გაატანა¹²².

¹¹⁷ “სხვადასხვა ხაუმარბის დროს, რომელიმიც მტრი დაძლო აბალგაზრდა უფლისტუმ. მას ჩეგვან არ დაუფლავს არც ის დიდი გულისტიური, რომ ჯერ ეკრანები გაკეთა დასაცემოს გმირის (ნამდებონის – ი. ა.) მტრისტუმის დასმას უკრძალად. და არც თავისი შესაძლებელობების სიმრავე და უსურერთა, რომ წინამდებელებამ გაუწიოს რესოს სამართლებრივი გაუწიოს გაუწიოს სამართლებრივი არა აბალგაზრდა – ა. კ.). იმერატორმა რომ თავისი უძლიერი სიძინით დედალატერი გაკეთოს, რასაც მიზანშეწონოდა მოჩინევა, – თქვა მან, – მე მის ძირით მფარველობის წარმომაზ შევძლებ, რომ მამაწმის წინაშე გაუწიოს გადამდებლად წარედო”. Arch. Nat., AF, IV, 1686, fol. 8.

¹¹⁸ ა. ფობრი, მოგზაურობა... გვ. 118.

¹¹⁹ სებასტიანი დე ლა პორტა, ორას-ფრანსუა-ბასტიენ დე (1772-1851) – საფრანგეთის სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწე. 1806-1808 წლებში იყო საფრანგეთის ელჩი რამალეთში.

¹²⁰ მოგზაურობის მიზანი ამ ქეყნების დაზერება. ძევლი კავშირების აღდგენა-განმტკიცება, ახალი კავშირების დამყარება და ინდოეთში ინგლისელებზე თავდასასმელიად საიდუმლო ცნობების მოპოვება იყო. Записки Г. Бурбонна, ук. соч., том II, часть IV, с. 317-318.

¹²¹ იგულისსმება რამალეთის იმპერიის სულთანი სელიმ III (1789-1807).

¹²² სულთანთან ამედე უობერის აუდინციის გარშემო მძიმე დიპლომატიური ბრძოლა გამართა. ტალეირანისადმი გაგზავნდლ წერილში იგი წერდა: “თქვენმა აღმატებულებამ უნდა იყოდეს, რომ ჩეგი მტრი (რუსები და ინგლისელები – ი. ა.) უაღვეს მიმერცხლობას ანგლიურ ჩემ პირველ მიხილ ჩამას. (...) თუმცა რამდენიმეთ პორტა

მნიშვნელოვანია ის გარემობა, რომ გენერალ რომიეს სიკვდილის შედეგ ფათქ-აღი შაპი და მისი კარი განსაკუთრებული ყურადღებით მოქმედნენ ამედე უობერს, რაც აუსტრიული ცთან ნაპოლეონის გამარჯვებამ განაპირობა¹²³. შაპი ყოველნაირად ეცადა მის წინაშე ირანის დიდების წარმოჩენას (პომპეზური აუდიენცია, ბრწყინვალე ზემობი, აკადმიურობის დროს მისთვის საგანგებო ექიმის მიჩენა, სულთანიეს ბანაკში მისი შაპის ტახტრევენით გადაყვანა), რამაც, ჩანს, ახალგაზრდა ემისარზე საკმაოდ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ყოველივე ეს უობერის მიერ ირანიდან კონსტანტინოპოლიში საფრანგეთის საელჩოს საქმეთა რწმუნებულის პიერ რუფენისადმი მიწერილ ორ წერილსა და მის ანგარიშში აისახა¹²⁴. იმ დროს მისი ერთადერთი ოპონენტი, გენერალი რომიე, გარდაცელილი იყო, მაგრამ არსებობდა უან-ფრანსუა რუსოს ინდოეთზე ლაშქრობის ზემოთ აღნიშნული გეგმა და თავად მისი, თეითმხილუელის, ინფორმაცია. მეტად მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო ის, რომ ამედე უობერს თარჯიმანი არ სჭირდებოდა. თავის “მოგზაურობაში” იგი საგანგებოდ აღნიშნავდა: “აუდიენცია ერთ საათზე

ამ წევაშე უზრუნველყოს სისხლის მძიმის ჩემთვის მონარქიული მისი უდიდესულესობის წერტილის გადასაცემად.... ოსმალეთის მინისტრი ჰესე გაერთხოვლებულია, რომ წერტილის გადაუკერძობის შემთხვევაში სახერავულ დაუტოვებ კონკრეტიზირდებოდა” (CP, Perse, vol. 8, doc. 109, fol. 271r-272r). გამოსაყალი ა. უობერისა და ოსმალეთის ლიკი ევზირის – პაფიზ ისმაილ ფას ნებისთვის აღჭურებული პირის, ისაკ ბეის მოღამარების შემთხვევა გამოიძენა. სწორედ დიდ ევზირის ჩემი თანხმობით შეძლო ფრანგმა ემისარმა სულთნის ნახა და მისთვის ნაპოლეონის წერილის გადაცემა, რაზეც ა. ფობერი შემდგეს მოახსენებდა ტალენტობას: “ისაკ ეყო თხმით ოსმალეთის იმპერატორ შევიწირო ძვირობისა და რეგისოსა და მართველის მინისტრების თრთ ბრტყა ირ გამანი, რომელმც ის საფრანგეთის /საფრანგეთის/ კუშმარიზ კრისის მისისუნიერებ ქარისტას მხრივან/ იმპერატორისაგან წერტილის მოხას. ამ ნოტები ჰარის მისამ საცირი მუქარა იყო გამოთქმული.... (...) ძოლის შევთანხმდოთ, რომ თავისი ჩვევის მუხლეავად, ღიათ სენიორი სასირინო წამისანდებოდა ავარეზე და მეს იქ ეკაბრებოდა: მისი თევიური გაერთხოვლებული იქნებოდნენ ჩემი მისელის გამო და ასაური შემცუებულება, რომ მისთვის პარადად გადამეტა წერტილი. (...) სელისამი გამოხსენა, მანიშნა კოსტისაკენ წავსკლავედი. (...) სახეზე დარღვანი ფიქრიმი ებატებოდა. წესის თანხმად, მას თევიური გადასცა იმპერატორის წერტილი შემდეგ მატ მოთხოვ, რომ მასებს გადმომეტებოდენ”. CP, Perse, vol. 8, doc. 116, fol. 288r-288v.

¹²³ იგულისხმება გამარჯვება, რომელიც ნაპოლეონმა 1805 წლის 2 დეკემბერს აუსტრიელებსა და რუსებშე მოიპოვა ქალაქ აუსტრიელიცთან (დღევანდველი ქ. სლავ-ქრისტიანულებით) და ბოლო მოულო მის წინააღმდეგ შექმნილ მესამე კოალიციის.

¹²⁴ CP, Perse, vol. 9, doc. 34-35; Arch. Nat. AF. IV, 1686, fol. 21-25.

მეტ ხანს გაგრძელდა; შეიძლება იმიტომ, რომ შაპს სურდა ზედმი-წევნით შეუტყო ჩემი მისის მიზანი, ანდა იმიტომ, რომ ეკროპელთან თარჯიმნის გარეშე სიამოვნებდა საუბარი¹²⁵.

თუმცა აღნიშნულ ანგარიშში ამედე უობერი პირდაპირ არ გამო-ხატავს თავის პოზიციას საფრანგეთ-ირანის კავშირზე, მისი რელაცია ირანისათვის დადებითია: ირანმა ახალგაზრდა ფრანგი ემისრის სახით საფრანგეთ-ირანის კავშირის მომხრე შეიძინა. შაპის დანაბარებში ნა-პოლეონის მიმართ პირდაპირ არის დასმული საკითხი – დახმარებოდა სპარსელებს რუსების გაძევებაში და მხოლოდ ამის შემდეგ გაატარებ-და მას ინდოეთისაკენ¹²⁶. ჩანს, ეს აზრი ნაპოლეონს შეტად მოეწონა.

¹²⁵ ა. ფობერი, მოგზაურობა... გვ. 147.

¹²⁶ "სარსეთის მუჟე კულა იმ მოღამარსუების დროს, რომელია ლონსიც გამსადა, მედმიუდ ერთი და იმედე გრძელებებს გამოხატულა: აღტაცებას მისი უზოდესულ-სომი, მისი ყოვლის მედელების იმედი, სიტყვიერების რეცეპტორისამი და უსაყიფოებების ინგლოსელუათი. მას მართლაც სასაკურავო აქებს ამ სამასენჯლის გამო, რაღაც დაწესებულია. რომ მათ მხოლოდ მის შესაცდენის შესავაზებ თავისი შესაცდომა რუსებთან უთანხმოების დასახულებლად და რომ იქ, როგორც კვრიას, ინგლისე-ლებს არ შეუწევებულიათ ოქრის ფანტა, მათი თვალსაზრისით საჭირო რომ გავრძე-ლების ხელშესწორასაც (აქ ა. ფობერი შეძლევ კომენტარს აკომედს: "პ-ნ მოწესების მისამ მასად სასარსეთის უკრები ნაცხადებურის მოუკეცა ქინდა, მკრამ ცნობილია, რომ მან დიდი ფულადი თანა გავშენა აქრისუკლომა. ის გაუწიოს უკლიდურად ამობას: ჩემ ეს არაუკრი არ გვიკდება, ეს ტანის ბაზუ ზე": საწუხაროდ, მაცალა საქართ-ველიში ინგლისის ამ რეზილენტის აქტმანობაზე არა გვაქეს – ი. ნ.). (...) ამგარად, მე მას კომიც ჩემის საქოთი ინტერესებში დაუთხოებული კავშირის შექმნას, რომლის თანაბად სასარსეთის მეფის მიერ არაუკომანი შევიდოს არ დამკარგება რესპონს ფრანგების იმპერატორის მონარიზმულის განეშე, რომელიც, მორი მხრივ, არაუკომან მოღამარსუებებს არ აწარმოებს ამ სახლმწიფოთან სასარსეთის ინტერესების გაუთვა-ლოსწინებულად. ჩემ მხრივ, თქვე მან, კალაგულებებს აუზოდ, კოველოვეს კორონებ, რა-თ ინგლისელებს მრავალი მტერი შეეძინო ინდოეთში. (...) მე არ კერძოლობ ჩემი დიდი დიდი და სახლმწინებლო მუჟობის, დასალეფის იმპერატორის მრავებში ჩაწერომას, მაგრამ თუ ეს რუსების მათხავე უდაბნოში გაერთი შემდეგ იგი ინდოეთში თავისი მტერების წინააღმდეგ თავისი ძღვიერი არმიის ჩემს სამფლობელოებშე გატარებას განიზრაბავს, მე შევძლებ მისთვის ჭეშმარიტი მეგობრობის დამტკიცებას, რაღაც მხოლოდ მის ჯარს ეს არა მევიღებ სხვათებისა და მოკავ-შირების საკადოებისად, არამედ თავადაც მათთან ერთად მიერ ბრძოლით ჯემ-ნაბადალმდე. გადაჯი მას, რომ კოველოვე, რაც დოდო მონასტრის ინტერესებს ეხება, ამ სუიციდს ფას-ალი მასის მოვარი სამარქანია და ბოსტოს ტახტის მეტყველებს, მის ბალბას და ჯარს ისე აქებს მისთვის თვალი მიყრობილი, როგორც უდაბნოში მცხოვრებ არას – ცისქის მუწესებლი კარსკელაფისაუფის". Arch. Nat. AF. IV, 1686, fol. 21-24.

ამიტომ. არც ისაა გამორიცხული, რომ ამედე უობერის მიერ ჩატანილი ინფორმაციის¹²⁷ გაანალიზებისა და მასთან პირადი საუბრის საფუძველზე გადაწყდა ფინკენშტეინის ხელშეკრულებაში მე-3 და მე-4 მუხლების. ანუ საქართველოს ფაქტორის პირები აღგილზე წამოწევა. ამ გზით ნაპოლეონმა ირანისათვის უმნიშვნელოვანესი საკითხი – მისთვის საქართველოს დაბრუნების პერსპექტივა – დასახა და სწორედ ამ დაპირებაზე ააგო თავისი აღმოსავლური პოლიტიკა.

გიიომ-ანტუან ოლივიეს “შოგბაურობის” მესამე ტომი. ირან-საქართველოს ურთიერთობების შესახებ საგანგებო ყურადღებას გიომ-ანტუან ოლივიეს “შოგბაურობის” მესამე ტომში დაცული ცნობები იმსახურებს. როდესაც ნაპოლეონი ირანით დაინტერესდა, მან დაუინებით მოსთხოვა ოლივიეს ამ ქეეყანაზე ცნობების გამოქვეყნება; ხოლო როდესაც ფრანგ მეცნიერს მისთვის დაპირებული 15 000 ფრანკის გადახდა მოუთხოვია, იმპერატორს მეცნიერისათვის საკმაოდ უხეშად უკასებია, რომ “ამ თანხას იგი მხოლოდ ხარხეთის შესახებ მეხამე ტომის გამოხვდის შემდეგ მიიღებდა”¹²⁸. ფრანგი მეცნიერის ფუნდამენტური ნაშრომის მესამე ტომი სწორედ 1807 წელს გამოიცა პარიზი¹²⁹. მას ერთვის გამომცემლის წინასიტყვაობა, რომელიც, ძირითადად, ფრანგი მეცნიერებისათვის ფათ-ალი შაპის პიროვნების დადებითად წარდგენას ემსახურება: მასში საგანგებოდაა აღნიშნული, თუმცა კი ფაქტების დაუკანკრეტებლად, შაპის ჯარის მიერ მოპოვე-

¹²⁷ ამ საკითხთან კაშშირში გასათვალისწინებელია ფათ-ალი შაპის პირველი ეტაპის, პირსა შეფინავი მოსაზრებაც: “ჩუქუმი თავანონ გაულიხას აურცულუქებრ წემნისა და დურისას ასასირიერისან არასამდე, კორიმის ცეკვებისან და საკართველოს მუშაქი, ისინი ჩუქუმის ხელუა არ იქციებან მოკლობასაც; ეს მიშანდასახული და ნერი ხელა. მათ ძალებამოსალი შეკრისა სამორად კარგად მოვითოვებს, თუ რას უნდა კავითოდეთ... ჩემი ინდიულუბისათვის ის კარი, რაც თავისი კოფილან ჩემითვის. ჩემითვის ასანხოთ შეკინწოდა, ასანხოთმა – ინდიული. აღტაცებულინ და მამუნი, სისხლის მოვარულინ და დაკრიტიკ უდიდები, რატომ ასანხელუები არ ძრწონავენ ამ ნაბეჭარსეურობებს? ისინი ბომ თავს მოვარე ინდიულის ამონებად თვალისწინებ, რახვან ბომიად გაუმრავეთ ამ ჭიდვას ქამანში. რას გამოს? მათ იქ თავისი ენა და მძღვა სახლი მოტანეს, რაც კოდევ დოდანს დარჩა მათ ამონობას შესუსტის შეძლევა”: ამედე ფამილია, მოგზაურობა... გვ. 144.

¹²⁸ P. Gaffarel, op. cit., p. 391.

¹²⁹ გიიომ ოლივიეს “შოგბაურობის” გამოცემდე, როგორც ზემოთ აღნიშნეთ, მისი ცნობები ირანის შესახებ “Moniteur”-ში ქვეყნდებოდა.

ბული “შრავალი გამარჯვება”; თავად შაპის წარმატებული მმართველობა კი ნაპოლეონთან ირანის ელჩის ჩასვლის განმაპირობებელ მიზეზადაა დასახული. “შაპის ამგვარი დემარში” გამომცემლის მიერ შეფასებულია როგორც “საფრანგეთის იმპერატორის უძლლესი გენია, რომელსაც კარგად შეეძლო აზიელი მონარქის სიძრიშნის წარმართვა”¹³⁰.

ფათპ-ალი შაპის წარმატებული მმართველობის ჰეშმარიტების დასადასტურებლად გამომცემელს თავის წინასიტყვაობაში მოჰყავს ნაწყვეტები *“Journal de l'Empire”*-სა და *“Journal de Paris”*-ში ამ საკითხზე უკვე გამოქვეყნებული სტატიებიდან, თუმცა მათ ავტორებს არ ასახელებს. ჩეენი აზრით, *“Journal de l'Empire”*-იდან მოყვანილი ნაწყვეტის ერთი ნაწილი ძლიერ ემთხვევა აღექსანდრ რომიეს მიერ ტალეირანისათვის გაგზავნილი წერილის ასლის ერთ მონაკვეთს¹³¹. არ არის გამორიცხული, რომ *“Journal de l'Empire”*-იდან გამომცემლის მიერ მოხმობილი ინფორმაცია ფრანგი ოფიცრის ჩეენთვის უცნობი დეპეშის ნაწყვეტი იყოს: თავის წერილში გენერალი რომიე მის მიერ ტალეირანისათვის გაგზავნილ ორ დეპეშას ახსენებს¹³², რაც შეეხება *“Journal de Paris”*-იდან მოყვანილ ნაწყვეტს, ის იმ ანგარიშის ნაწილია, რომელიც ამედე ჟობერმა¹³³ ნაპოლეონს წარუდგინა და ზემოთ უკვე მოვიყენეთ. საფრანგეთში ირანის შესახებ გამოქვეყნებული მასალის მიზანი ფათპ-ალი შაპის სანდო და ძლიერ პარტნიორად წარმოჩენა იყო.

1807 წელსვე გამოიცა ცნობილი ფრანგი აღმოსავლეთმცოდნის ლუ-მატიე ლანგლეს ნაშრომი ფათპ-ალი შაპის შესახებ, რასაც ბიძგი ნაპოლეონისათვის ამედე ჟობერის მიერ ჩამოტანილმა შაპის პორტ-

¹³⁰ G. A. Olivier, *op. cit.*, L III, pp. ij-viiij.

¹³¹ CP, Persc, vol. 9, doc. 27, fol. 57r.

¹³² *ibid.*, fol. 57r, 60r. ამ საკითხის შესახებ ჩეენი ნაშრომი – “ნარქევი საფრანგეთირანის დიპლომატიური ურთიერთობის ისტორიიდან: აღექსანდრ რომიეს მისია ირანში – 1805 წ.” – დასაბეჭდადაა გადაცემული.

¹³³ Arch. Nat., AF, IV, 1686, fol. 13-21; ი. ნაჭებია, “ფრანგი დიპლომატის, ამედე ჟობერის რაპორტი საარსეთის შესახებ (1807). // ტიპოლოგიური ძიგანი, IV, თბილისი, 2000, გვ. 314-316.

რეტმა მისცა¹³⁴. იმავე წლის შემოდგომაზე (15.10.1807) გამოქვეყნდა ცნობილი ფრანგი გეოგრაფისა და კარტოგრაფის, ბარბიე დიუ ბოკა-ჭის ნაშრომი კონსტანტინოპოლიდან ირანში მიმავალი გზების შესახებ. რომელსაც გზამკევლევის ფუნქცია ჰქონდა¹³⁵. ამგარად, საფრანგეთის მოქალაქის ცნობიერებაში მყარად იყიდებდა ფეხს აღმოსავლეთის, კერძოდ კი ირანის, თემა.

თავისი “მოგბაურობის” მესამე ტომში გიიომ ოლივიე საქართველოს საკითხს უფრო ვრცლად ეხება, ვიდრე ზემოთ მოყვანილ ანგარიშში. საგანგებო ყურადღებას კი ფრანგი ავტორის მიერ გეორგიესკის ტრაქტატის I-13 მუხლების გამოქვეყნება იმსახურებს¹³⁶. ამ ტრაქტატს¹³⁷ იგი კონვენციას უწოდებს¹³⁸, მის დადებას კი იმ გარემოებას უკავშირებს, რომ ის ირანის ყოფილი მმართველის, ქერიმ ხანის¹³⁹ გარდაცვალებიდან ოთხი წლის შემდეგ¹⁴⁰, ანუ იმ პერიოდში

¹³⁴ ლ.-მ. ლანგლეს ნაშრომში მოყვანილია აგრეთვე ფათ-ალი შაპის ლექსების ფრანგული თარგმანი. Langles, Fatalhi A'Ly Châh (roi) de Perse actuellement régnant, Paris, 1807, pp. 8-10. ფათ-ალი შაპის პორტრეტების შესახებ იხ.: B. W. Robinson, A royal portrait of Fath'Ali Shah Qajar by Mihr'Ali, // Oriental manuscripts and miniatures, London, 1991.

¹³⁵ Barbié du Bocage (Membre de l'Institut), Recherches à faire dans un voyage en Perse, Paris, 1807, pp. 1-3. ფათ-ალი ბარბიე დიუ ბოკა-ჭი (1760-1825) – ლანგლის მოწაფე, ნამდელობის კარტოგრაფი და ბიბლიოთეკარი. იგი ხელმძღვანელობდა საგარეო საქმეთა სამინისტროს კარტოგრაფიულ განყოფილებას პარიზში.

¹³⁶ კერტივესკის ტრაქტატი შედგერდა არამდელი, 13 მირთადი და 4 სემარტიული მუხლის. ანუ არტიულისაგან. მთ დართული ქრისტი ფიცისა, რომელიც კრისტუ მეუს უნდა მიერთო რესერის იმპერატორის კრისტუ მისად და ტექსტი დამტებოთ არტიულისა, რომელიც ქრისტუ ახერთოს მეუს უკრთხების წელში. საქართველოს ისტორიის ნაკვეთები, ტ. IV, გვ. 689-690; გეორგიესკის ტრაქტატი, 1783 წლის ხელშეკრულება რესერის მფარეულობაში აღმოსავლეთ საქართველოს შესელის შესახებ. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი და შენიშვნები დაურომ გ. პაიჭაძემ, თბილისი, 1983, გვ. 5-14, 25-56.

¹³⁷ გეორგიესკის ტრაქტატის 13 მუხლის შემოლებული ტექსტი მოყვანილია ინგლისელი დაბლობატის, ჯონ მალკომშის ნაშრომში. Sir John Malcolm, Histoire de la Perse, depuis les temps les plus anciens jusqu'à l'époque actuelle, t. III, Paris, 1821, pp. 403-404. ინგლისურ ენაზე ეს ნაშრომი ღონისძიები 1815 წ. გამოიკავა.

¹³⁸ G. A. Olivier, op. cit., t. III, p. 405.

Le Prince Alexandre de Géorgie a l'honneur d'exposer à Votre Majesté Impériale et Royale que pendant les troubles qui desolèrent la Perse, son frère jeune alors et sans expérience eut la faiblesse de se mettre sous la protection des Russes, et de leur faciliter le passage pour la Géorgie ; mais à peine euront ils penetré dans cette province qu'ils s'en emparerent injustement, et qu'ils conduisirent à Petersbourg la famille d'Héraclius chargé des chaînes. L'oiseau timide ignora si la branche sur laquelle il était perché, ne fut pas destinée à former sa cage.

Pour moi fuisant persécution des Russes, je me réfugiai sur le territoire Persan. Cependant l'Eternel qui dirige cet univers ne permet pas que l'injustice triomphe et dans sa colère il suscite à nos ennemis un Vengeur dont la puissance toujours croissante, fait trembler sur leurs trônes les plus redoutables monarques du monde.

Je considererais comme une devoir le soin d'aller porter moi même mes vœux à Votre Majesté, et de placer mes lèvres sur la poussière de ses pieds, si je la pourrais, mais privés de ce honneur je saisie avec empressement l'occasion du départ du général Gardano pour supplier Votre Majesté de prendre mon sort en considération, quoique chrétiens, les habitans de la Géorgie sont amis des Persans et à ce double titre ils n'espèrent qu'en nous. Votre Majesté ne souffrira pas qu'une famille investie depuis plus de cinq siècles d'un grand pouvoir en soit tout à coup dépouillée. Je la supplie d'agrée les vœux quo je ne cesse de former pour Ella

Traduit par le soussigné, à Vienne

le 1er 8em^e 1809

P. Amédée Jaubert

CP, Perse, vol. 12, doc. 122, fol. 231r-231v.

*1 აგვისტო.

ალექსანდრე ბატონიშვილი სპარსულად შედგენილ “აზანა” თავის თავს სპარსულობ ქვებ ძებულდება.

თარგმნილია ქვემოთ ხელისმომწერის მიერ

ვენაში 1809 წლის 1 აგვისტოს

3. ამერიკული უნივერსიტეტები²⁵¹.

თეიმურაზ ბატონიშვილის ქართულ ენაზე დაწერილი წერილის ფრანგული ვარიანტის ქართული თარგმანი²²:

“**ମହା ପ୍ରକାଶ ପତ୍ରଗାଲ୍ ପିଲାମ୍ ଓ ଦିଲିଜିନ୍ ଫିଲ୍ସ୍ ଲ୍ୟାଙ୍କ ପିଲାମ୍ ପିଲାମ୍**

և վահուական միավոր մայր մայր բարձրացու և բարձրացու տառը մայր

1-2

ოქუმინ სახლი ერთგულობისა და სამეცნიერო კულტურული უძრავისა მიერთოს აღიმობილი ქადაგის²²². განვ
ხა წარმო კულტურული და სამეცნიერო მდგრადი მომსახურის მიერთო წარმო მომდევნოე ას

²⁵⁰ აქაც და შემდეგაც ვიცავთ ა. ურბერის სტილს – ი.ნ.

²⁵¹ CP, Perse, vol. 12, doc. 122, fol. 231r-231v.

²⁵² რედაქცია და თარიღმანი ჩვენია - ი.ნ.

²⁵³ የገዢናንግሥት ተያይዞች፡ est informée.

ჰისენ კუროვანი პრივატულის ბატონის მუზეუმში გამოქვეყნდა²⁵⁴ ეს ექსეპურ უსამახროებრ
გადამცემისთვის.

ჩეჭი ძმები, ჩეჭი მეცნიერები რესუერში დამატილებულნი წაიყვანეს ადამიანის განერებული
რობის ფასები [ქვედა] თხოვაუნ თავის საყიფო მუზეუმში სამშობლოს თავის მეტობის ფასი²⁵⁵
კარ სასაჩის თავის ტრიალისტის და კავალი რა. რომ თევზი უზღვესულებელი და უკავა
[და] პრივატულისა. რომელისიც მას მიმართავს. გაუკეთე მოცემული თევზი მუაზე კუროვანის
ჩრდილოებულ და თანამდებობა შეკვეთის კარგი უზღვესულებელის
(გრიგორიანი გამარტინულებული) ან ქათ ჩეჭის უწინდევულ სამდინარებლობის ჩეჭი დამტკიცების
დამტკიცებულ და ამ გამომარტინული საკუთაო წილი მართოებულის ნაშენდ ჩეჭი სასკონწევო
განახლების საკუთაო მარტინული ნაბოლუებისა. მოცემულის ჩა მას ჩეჭის და ჩეჭი
შეკუთას სამსახურის.

ამსახურისად, უნდა კუსრობო თევზის უზღვესულებელის რომ თევზი მამისმა ქან.
შესაბამის კანცელი მას ტანცებ დებს და მას ჩეჭი უძინებელების მაგივის ცეკვა
და კუსრობის ტრიალი. კამარი ქათ მას, ან ქათ ჩეჭის თავის უწინდევულის ნების შეკრიცებული.

ხელმოწერილია: თეიმურაზ მირზა

საქართველოს პრინცი

პერაკლიუს ხანის ვაჟი

თაერიზი, 1809 წლის 30 მარტი
მთარგმნელია ქვემორე ხელისმომწერი.

სახელმწიფო საბჭოს მომხსენებელი

პარიზი, 1809 წლის 25 ივნისი

3. ამედე უობერი²⁵⁶

დაბეჯითებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამედე უობერმა ქართული
ენა არ იცოდა, მაგრამ ბრწყინვალედ იცოდა ინგლისური, ლათინური,
ბერძნული, სპარსული, თურქული და არაბული ენები²⁵⁷, ამიტომ თეი-
მურაზ ბატონიშვილის წერილი ფრანგულად მას ერთ-ერთი შუამავალი

²⁵⁴ ფრანგულ ტექსტში: maître.

²⁵⁵ ფრანგულ ტექსტში: rēfusé.

²⁵⁶ CP, Persc, vol. 11, doc. 136, fol. 222v-222r.

²⁵⁷ ა. უობერის დიპლომატიური და სამეცნიერო საქმიანობის შესახებ იხ. ამედე უობე-
რი, მოგზაურობა... გვ. 5-43.

ენიდან, სავარაუდოდ სპარსულიდან ან თურქულიდან უნდა ეთარგმნა. ამასთან, წერილის ბოლოს ამედე უობერი თეიმურაზ ბატონიშვილს თეიმურაზ-მირშავ - საქართველოს პრინცი, ქერაკლიუბ-ხანის ვაჟად იხსენიებს, თუმცა ქართული ტექსტის ბოლოს თავად ბატონიშვილი საესებით გარკვევით აწერს ხელს: საქართველოს მეფის ვიორგის ძეათყამეტის ძე თეიმურაზ, რაც პროფ. ი. ტაბაღუას თავის ნაშრომში აღნიშნული აქვს²⁵⁸. ამედე უობერის მხრიდან თეიმურაზ ბატონიშვილის ერეკლე II-ის ვაჟად მიჩნევის ეს მეორე შემთხვევა²⁵⁹ კიდევ ერთხელ მიგვანიშნებს, რომ საქართველო და მისი სამეფო ოჯახი კვლავ ერეკლე II-ის სახელს²⁶⁰ უკავშირდებოდა მისი გარდაცვალებიდან (1798 წ.) 12 წლის შემდეგაც!

თუ ნაპოლეონი გაეცნო ქართველ ბატონიშვილთა წერილებს, მათი თარგმანებიდან შემდეგ ინფორმაციას შეიტყობდა: 1. ქართლ-კახეთის სამეფო მოხსენიებულია პროვინციად, რომელსაც რუსები შემოსვლის-თანავე უსამართლოდ დაეპატრონნენ; 2. ალექსანდრე ბატონიშვილი საქართველოში რუსების შემოსვლაში, რასაც ირანში არეულობებს უკავშირებს, თავის ძმას, გიორგი XII-ს ადანაშაულებს; 3. ბაზასმულია ბატონიშვილთა საგვარეულოს უძველესი ფესვები; 4. რუსების მიერ თავიანთი სამშობლოს დასტრონება და მათი უსამართლოდ გაძარცვა; 5. ერეკლეს ოჯახის წევრთა და დაახლოებულ პირთა რუსეთში იძულებით გადასახლება; 6. ორივე ბატონიშვილი რუსთა დევნის გამო ირანს შეეფარა; ფრანგულ თარგმანში ისინი ლტოლევილებად (réfugie) არიან მოხსენიებულნი, რაც ამძაფრებს მათ მდგომარეობას; 7. თუმცა კი ქრისტიანები, საქართველოს მცხოვრებნი ჰპარსელთა

²⁵⁸ ი. ტაბაღუა, დაბა. ნაზ., 1974, გვ. 29.

²⁵⁹ CP, Perse, vol. 8 doc. 133, fol. 334r-334v.

²⁶⁰ ი. ტაბაღუა, ეროვნული ცნობები ერეკლე II-ის შესახებ, თბილისი, 2000. ცნობები ერეკლე II-ის მოღვაწეობის შესახებ დაცულია 1747-1757 წწ. სპირნაში (დღეს – ქ. იმპირი) საფრანგეთის კონსულის, შარლ დე პეისონელის ორ ნაშრომში: 1. Essai sur les troubles actuels de Perse, et de Géorgie, par M. de Peyssonnel, Paris, 1754, chap. IV, pp. 119-155 (ამ ნაშრომის შესახებ იხ.: მ. იამანიძე, ფრანგი მოგზაური შარლ დე პეისონელი ერეკლე II-ის შესახებ. // მაცნე, ვნისა და ლიტერატურის სერია, №1-4, თბილისი, 2000, გვ. 177-189); 2. Traité sur le commerce de la nier Noir, par M. de Peyssonnel, ancien Consul-Général de France à Smirne, t. II, Paris, 1787, pp. 45, 51-52.

მეცობრები იყვნენ და სწორედ “ამ ორმაგი უფლებით” პქნდათ მათ “შხოლოდ ნაპოლეონის იმედი”¹⁶¹; 8. თეიმურაზ ბატონიშვილი ნაპოლეონს “გვირგვინთა გამანაწილებელს” უწოდებს და “უწინდელ სამფლობელოში” მისი დაბრუნებით დაინტერესების შემთხვევაში, მაღლიერების ნიშნად პკირდება: “ჩემი სახელმწიფო განახლობის საკუთრებად იმპერატორ ნაპოლეონისა, მივუძღვნით რა მას ჩემსა და ჩემი შეიღების სამსახურს”.

ქართველ ბატონიშვილთა წერილების დედნებისა და მათი ფრანგული თარგმანების შედარებიდან გამოჩნდა, რომ ამედე უობერმა, რომელიც კარგად იცნობდა აღმოსავლეთში მიღებულ მაღალფარდოვან ეპისტოლარულ სტილს (ეს განსაკუთრებით აღექსანდრე ბატონიშვილის წერილს ეხება), ეს წერილები საკმაოდ თავისუფლად თარგმნა.

ჩანს, რესეპტის წინააღმდეგ დადებულმა ფინკენშტეინის ხელშეკრულებამ ირანში მყოფ ბატონიშვილებს ნაპოლეონის მათდამი მიმხრობის გარკვეული იმედები აღუძრა. რაც ნათლად აისახა მათი წერილების დედნებში²⁶². ირანში გადახვეწილი ქართველი ბატონიშვილები ევრო-

²⁶¹ სპარსულ ვარიანტში წერია: “(...) ამ უძირისებს მოად თხოვნა გამოვ შეუნა, რომ თუმცა საქართველო და ამ უძირის მასშერის დინასტია ირანის ქვეშეკრიმული თავიდება. რაღაც ჯელათი ბატის თავისუნისმცემლები უარ და კრიმინალის ძმარებელებინა და მოყვარულინი, გვიჩვ კრიმულ უკით და კრიმინალის გაციტონთ”. ი. ტაბატება, დასახ. ნაშრ., 1974, გვ. 57.

პაში მიმღინარე პოლიტიკური მოვლენებისაგან შორს იყვნენ²⁶³. მათ არ თუ ვერ გაითვალისწინეს, რომ თავად გენერალი გარდანი ირანიდან საფრანგეთში პოლიტიკურად ხელმოცარული ბრუნდებოდა, რომ საფრანგეთის იმპერატორს გაუწევდა ინტერესი ინდოეთის ექსპედიციისა და, შესაბამისად, ირანის მიმართაც, საქართველო კი უკი

თემურაზ ბატონიშვილის წერილი:

ትኩረም ማኅበር ተጠመዴል

“**ମୁଖ୍ୟାକ୍ଷର ଫ୍ରେଶ୍ ମିଳା ଯନ୍ତ୍ରିତ ପ୍ରଦାନ
ଏହିରୁକ୍ତିକୁ ବୈଶିଷ୍ଟ୍ୟରେ ଉପରେ ଥିଲା ।**

દસ્તાવેજ માટે

on 22nd Dec.

9
Gennaio 1809".

CP, Perse, vol. 11, doc. 135, fol. 221r-222v.

²⁶³ წილორმაციის მიზნების რეთადერთ სასუალებას საკურიერო ინსტიტუტი წარმოადგენდა. ღია დანახილებზე მგზავრობა ხშირ შემთხვევაში სახითაო და ხანგრძლივი იყო, პროლიტური მოვლენები კი იმაზე სწრაფად ვითარდებოდა, ვიდრე წერილი აღმერესატაძე მოაღწედა. ფაილ-აღი შეას პირებით წერილი ნაკოლეონისადმი, რომელიც 1804 წლის სექტემბერში გაგზავნას, კონსტანტინოპოლიში იმავე წლის დეკემბერში, პარიზში კი 1805 წლის იანვრის ბოლოს – თითქმის ხეთ თვის შემდეგ მიიღეს. მასზე პასუხი გენერალმა რომელ ირანში მხოლოდ 1805 წლის სექტემბერში ჩაიტანა, ამჟერ უძრი კი 1805 წლის 7 მარტს ნაკოლეონის მიერ გატარებული წერილით ირანში მხოლოდ 1806 წლის ივნისში – ერთი წლისა და სამი თვის შემდეგ ჩაიდა. ამასთან, მეზავრობისას ორივე ქმისარი ძლიერ გადაუჩინა სიკეთილს.

ჩართული იყო საფრანგეთის ძლიერი პოლიტიკური მოკავშირე-მეტოქის, რუსეთის იმპერიის, გეოპოლიტიკურ სიერცეში. ამას ადასტურებს თეიმურაზ ბატონიშვილის ქართულ ენაზე შედგენილი წერილის დასასრულიც – “ამით ეს მეორე არზო არის და მოველი ჰახუბა”. აქედან ჩანს, რომ ნაპოლეონს ქართველი ბატონიშვილის უფრო ადრე გაგზვნილ წერილზეც არ გაუცია პასუხი. ამიტომ, ბატონიშვილთა იმედი, რომ ნაპოლეონი ანუ ქრისტიანული ეკროპა ბაგრატოვანთა სამეფო ოჯახს დახმარებას გაუწევდა, საერთაშორისო პოლიტიკური კონტექსტიდან გამომდინარე, კვლავ ამათ აღმოჩნდა²⁶⁴.

სერ პარფორდ ჯონსის “პოლიტიკური ქამელეონიზმი”. ჯეიმს მორიერის ცნობის თანახმად, ირანში შესვლის მომენტიდან დედაქალაქში ჩასვლამდე ინგლისის საელჩოს ყველგან და ყველა ფენის წარმომადგენელი “გულწრფელი კურადღებითა და უდიდესი ჰატიუდენის კურადღებით” ხედებოდა, თეირანში კი ისინი “სავანგებოდ გამორჩეული კურადღებითა და უდიდესი ძლიერებით” მიუღიათ²⁶⁵. ინგლისის ელჩი, სერ პარფორდ ჯონსი თეირანში 1809 წლის 14 თებერვალს – დედაქალაქიდან გენერალ გარდანის წასვლის მეორე დღესვე შევიდა²⁶⁶. მის შესვლას ოგიუსტ დე ნერსია ასე აღწერს: “ჯონსი დიდი შარ-ზეიმით მიეღია... და უსაშეღვრო გულუბვობით დაარიგა რეა-

²⁶⁴ კონსტანტინოპოლის დაცვამ 1453 წ. და ტრაპიზონის იმპერიის დასასრულმა 1461 წ. საქართველო ეკროპასთან თავის ტრაპიზოპოლის მოსწყვიტა და ძეველი სახაჭო-ეკლესიურული ურთიერთობები მოუპარა. XV საუკუნის მეორე ნახევარში კონსტანტინე III-მ იზაბელა კასტილიელს წერილით მიმართა: “(...) ჩეკე კოტრას შორის დაუკის ძემდევ მარტინი დავრჩით... (...) XVIII აუკუნებელ შეი შევა ძირისამარ თერების ბერძო იყო და ქართველთა მხრიდან უკრთხისამ კუშტორის დაშვირების მცირეობა ეცემ აღმოჩნდა. XVIII აუკუნის დასაწესები სელიბ-სამ რომელიმანის მიერ ეკროპაში მოვაჟრობისას გადატანილობა სიმბიოზი მშენებრძად აჩვენა ის გადატანასეული კურადღი, რომელიც საქართველოს ეკროპისაგან გამოსყოფდა. 1783 წ. ბერძენულებები კურადღი ერთგული იყო და XIV მიმართ მცრავ ამოდა.

3. Авалов, үк. соч., с. 24, 261-262.

შ. ხანთაძე აგრძელებს: “უკატეს და სირიაში ნაპოლეონის დაშენების შედეგობით ქართველთა განცხაშია აღვეზნი. მერაბ ამ იძეგის რეალური საფუძვლით არ ქმნის”. შ. ხანთაძე, საინტერესო ცნობა ნაპოლეონ ბონაპარტის შესახებ, // “ლრობა”, № 9, თბილისი, 1958, გვ. 17.

²⁶⁵ Sir Harsford Jones, A Journey Through Persia, Armenia, and Asia Minor, to Constantinople, in the Years 1808 and 1809, London, 1812. p. 184.

²⁶⁶ CP, Persc, v. 14, doc. 126, fol. 132r.

ლეგძო...”²⁶⁷ თეირანში ინგლისის ელჩი ირანის მეორე ექზირის, პაჯი მოსამედ ჰოსეინ ხანის, სახლში დაბინავეს²⁶⁸. სპარსელი ისტორიკოსის ცნობის თანახმად, სერ ჰარფორდ ჯონსის მიერ შაპისათვის ინგლისის მეფის გეორგ III-ის²⁶⁹ მიერ გამოგზავნილ წერილში ერთი ისეთი ბრილიანტი იღო, რომ “(...) როდესაც წერილი გახსნებ, ეს ძროლიანტი მზესავით ეღვარებდა...”²⁷⁰ ჯეიმს მორიერის ცნობა აზუსტებს ინგლისის ელჩის მიერ ფათპ-ალი შაპისათვის მირთმეულ საჩუქრებს: 1. ბრილიანტებით შემკული ინგლისის მეფის პორტრეტი; 2. 20 000 ფუნტ სტერლინგად ღირებული სამოცდაერთ კარატიანი ბრილიანტი; 3. პატარა ზარდახშა, რომელზეც სპილოს ძვლისაგან გამოკვეთილი უინბორის სასახლე იყო გამოსახული; 4. ხის ზარდახშა, რომელზეც სპილოს ძვლისაგან ტრაფალგარის²⁷¹ ბრძოლაში ინგლისელთა გამარჯვება იყო ასახული; 5. ოპიუმისათვის განკუთვნილი პატარა ინკრუსტირებული ზარდახშა²⁷².

თეირანში სერ ჰარფორდ ჯონსის შესელის მეორე დღიდანვე გააფთრებული ბრძოლა გაიმართა მასა და გენერალ გარდანის მიერ იქ დატოვებულ საფრანგეთის მისიის პირველ დრაგომან, ფოზეფ უჟანენს შორის. ამ უკანასკნელს თეირანში “აშ ინგლისელის” თვალთვალი და მისი მცდელობების პარალიზება ევალებოდა²⁷³. გენერალი გარდანისათვის მიცემული დაპირების მიუხედავად, ფათპ-ალი შაპი და მირზა შაფი ვერ ახერხებდნენ ფრანგი ემისრების მფარეველობას, რომელ-

²⁶⁷ *idem.*

²⁶⁸ James Morier, A Journey Through Persia... p. 186.

²⁶⁹ გეორგ III (1760-1820) – დიდი ბრიტანეთისა და ირლანდიის მეფე.

²⁷⁰ ადრ ირ-რაზაყ დომბოლი, დასახ. ნაშრ., გვ. 221-222.

²⁷¹ 1805 წლის აგვისტოში ტრაფალგარის კონცხთან ბრძოლაში ინგლისის საზღვაო ძალებმ ადირალ ნელსონს ხელმძღვანელობით საფრანგეთ-ესპანეთის ფლოტი გაანადგურა. ჩანს, ფათპ-ალი შაპისათვის ამგვარი საჩუქრის მირთმევის მიზანი ფრანგებზე ინგლისელების უპირატესობის ხაზგასმა იყო.

²⁷² James Morier, A Journey Through Persia, Armenia, p. 186-187. თავის სხვა ნაშრომში ჯეიმს მორიერი მეტად ხატუნად აღწერს ფათპ-ალი შაპისათვის “აშელისერი უქროს” გადამწყვეტ მნიშვნელობას ინგლისის სასარგებლოდ საფრანგეთ-ინგლისის დიპლომატიურ დაპირისპირებაში. Дж. Мориер, Погохдженія Мирзы Ҳаміжан-Бабы Исфагани въ Персии и Турции, или персидский Жизнблазъ, часть IV, СПб., 1831, сс. 247-250.

²⁷³ CP, Perse, vol. 14, doc. 289, fol. 294r.

თაც სერ პარფორდ ჯონსის მისიაში მყოფი სომხები უთვალთვალებდნენ²⁷⁴. უზეფე უუანენი და ოგიუსტ დე ნერსია კი ინგლისის ელჩის მათი მკელელობის არაერთგზის მცდელობაში ადანაშაულებდნენ²⁷⁵. თავად ფრანგები არაფერს ტოვებდნენ უურადღებოდ, განსაკუთრებით ინგლისელთა საქმიანობასთან დაკაშირებულ მცირე ინფორმაციასაც კი და ყოველივეს გარდან ატყობინებდნენ თავრიზში²⁷⁶.

ინგლისის ელჩმა დიდი გავლენა მოიპოვა თეირანის კარზე. იგი ფათპ-ალი შეპის ვაჟებს, აბას მირზასა და მოპამედ ალი მირზას²⁷⁷ შორისაც აღვივებდა უკეე არსებულ დაპირისპირებას, რაც უზეფე-მარი უუანენის მიერ იღ-დე-ფრანსის გუბერნატორისათვის, გენერალ დეკანისათვის გაგზავნილი წერილიდან ჩანს: “(...) ჯონსი აცხადებდა, რომ დაანგრეულა ყოველივეს, სპარსეთში ფრანგთა მიერ შექმნილს და გამუდმებით ცდილობდა აბას მირზას დაიკრედიტირებას. იგი მას მის ძმას – მოპამედ ალი მირზას უპირისპირებდა; (...) შეპის სიძუნებები, რაც მან ჯარის ნაწილებისათვის ხარჯებშიც გამოავლინა, უკეე გამოიღო შედევი და გადაწყვდა უეროპელად განვირთნილი ნაწილების მოძღვა. თავად აბას მირზა განადგურების პირას იყო. (...) მოპამედ ალი ხანმა ბანაკი 14 ივნისს (1809 წ.) დატოვა და თავისი ჯარით ერკენისაუენ გაემართა რუსების წინააღმდეგ საბრძოლებელად. ძმებს შორის მეტოქეობა გრძელდებოდა და მოპამედ ალი ხან

²⁷⁴ CP, Persc, v. 14, doc. 126, fol. 132r.

²⁷⁵ MD, Persc, v. 8, f. 250. უზეფე უუანენი წერდა: “თეირანის კარბა 13 აპრილს განმიცხადა, რომ მე დედაქადაქიან ჩემივე პარადი უსაფრთხოების გამო უნდა წავსელიავა. კონფიდენციალურად შემატებობინები, რომ ჯონსი ჩემს მოკვდას საწამლავთ, იარაღით ან ცეცხლით ცდილობდა. მარტის თვითმანები ვაცოდდა, რომ ბრიტანელმა წარვ შავნილმა ჯონსმა ჩეკენს მოსახლეობად უშედეგოდ დახარჯა 12-14 ათასი თუმანი (280 000 ფრანგი)”. CP, Persc, vol. 14, doc. 289, fol. 295r.

²⁷⁶ CP, Persc, v. 14, doc. 127, fol. 132v.

²⁷⁷ მოპამედ ალი მირზა – ღოულათშაპი (1788-1821), ფათპ-ალი შეპის უფროსი ვაჟი, 1798 წელს კაზიინის მმართებელი იყო, 1806 წლიდან სიკედილამდე – ხუზის-ტანს, ლურისსტანს, ქერმანშაპის, კამადანსა და ქურთისტანს მართავდა. ცხოვრობდა ქერმანშაპი. ირანში 1832-1838 წწ. რუსეთის იმპერიის სრულუფლებიანი მინისტრი, პოლკოვნიკი გრაფი ი. ო. სიმონიჩი თავის “მოგონებებში” გამოიქვეამს მოსაზრებას, რომ შესაძლოა, მოპამედ ალი მირზა უფრო მსხვილი პოლიტიკური ფიგურა იყო, ვიდრე ევროპელთა მიერ ნაკეთი მისა ძმა, აბას მირზა. И. О. Симониц, Воспоминания и политомонографии министра 1832-1838 гг., Москва, 1967, с. 33.

პრეტენზიას აცხადებდა ძმისათვის აშერბაიჯანის წარომევაზე და ტახტის მემკვიდრის ტიატულის მოპოვებაზე, თუკი რუსებთან ომში ძელი გაუღიმებდა. მას ამ კამპანიის ბარჯებისათვის საუკეთესო ნაწილები და მიღიონი ფრანკი (50 000 თუმანი) მისცებ...²⁷⁸ მების დაპირისპირება მათი საგარეო პოლიტიკური ორიენტაციის კონტექსტში განიხილებოდა: “აბას მირზა უკამყოფილო იყო იმით, რომ ინგლისელების უკრადღებითა და პატივისცემით ეპურობოდნენ; იგი ფრანგთა ერთგული დარჩა, თავის ხალხს კი უკრადღებითა და სამართლიანად უქცეოდა”²⁷⁹.

ირანის ტახტის მემკვიდრის, აბას მირზას ყველაზე მნიშვნელოვან და რეალურ მოწინააღმდეგებ ირანის ტახტის პოტენციურ პრეტენდენტთა შორის, ფრანგებიცა და ინგლისელებიც შაპის პირველშობილ ვაჟს, მოპამედ აღი მირზას მიიჩნევდნენ²⁸⁰. ამ უკანასკნელის დედა ქართველი²⁸¹ ტყვე გვარად წიქარიშეილი უნდა ყოფილიყო²⁸², აბას მირზას დედა, ასიე ხანუმი კი ყაჯართა ტომის წარმომადგენელი,

²⁷⁸ CP. Perse, vol. 14, doc. 289, fol. 295r-295v.

²⁷⁹ idem.

²⁸⁰ Alfred de Gardane, *op. cit.*, pp. 157-158, 305-306; Trézel, *Observation général*, MD, Perse, vol. 3, doc. 4, fol. 118v; A. Dupré, *op. cit.*, t. I, pp. 239-240, t. II, p. 451-452. სკოტ-ვარინგი წერდა: “მოპამედ აღი მირზას (...) ზპრის გამოუსხვებისა მასათვის, რომ მოსახლეს თუ ას მის გ შე არსებულ უკანა წინამდებულობას, იგი ან მოპოვებს გუანგინს, ან არა მის ბეჭდი დაურგავს მას...” Scottie-Waring, *Voyage de l'Inde à Shyras*, Paris, 1813, p. 141. მოპამედ აღი მირზას შესახებ იხ.: M. Bāmdād, *op. cit.*, t. 3, pp. 430-431.

²⁸¹ კონფერენციის მიერ 1806-1807 წწ. ტალიკორნის დაკარგებით დაწერილ, ნაპოლეონისათვის წარსაღებად განსაზღვრულ ნამრავმი ეკითხულობთ: “სასრიეთში უკანაზე კარგი სისხლი მერკების შედეგის ქართველებთან და ჩერქეზებთან, რომელიც კუკულითის იყენებ ლიცეულოს პარაბანებში და რამც შეუწიო ბეჭდი /მათი/ ჯოშისათვის ცოცხალი სახის გურისა და სასამოუნი გარეცნობის მიუქმას”. *Tableau de la Perse moderne, ou mémoires géographique, historique et politique sur la situation actuelle de cet Empire*, Perse, MD, Perse, vol. 6, doc. 19, fol. 106v.

²⁸² ბ. შარაშენიძის თანახმად, ეს არის მართ ბორისეს მოსაზრება, რომელსაც საპარსელი ისტორიების საიდ ნაფისიც იზიდარებს (ბ. შარაშენიძე, ლასახ. ნაშრ., გვ. 36). შეპის 49-ე ვაუის, აზად ოდ-ლოულე სოლითან აპად მირზას წიგნში მასზე შემდეგი წერია: “ზობარქის-ხანუმი, ქართველი, ლეზი /არის/ მოპამედ აღი მირზა ლოულათ-შაბასა და ქართველოს, სახულუდ ამდე სალმე, რომლის ლაციანა კოლინ-ბანები”. Shāhzādch ‘Āzād-oddoulch Soltân Ahmad Mirzâ, *op. cit.*, p. 342.

ფათპ-ალი შაპის ოფიციალური ცოლი იყო²⁸³. აბას მირზას გამოკევ-თილად პროფერანგული ორიენტაცია ქუმნდა, მოპამედ ალი მირზას კი, რომელიც მიჯაჭვული იყო ძეველ ადათ-წესებზე და უჯავრებოდა უკრძალული სიახლეები²⁸⁴, მომავალში შეიძლება ინგლისელთა მხარდა-ჭერის იმედიც ქუმნოდა.

სერ ჟარფორდ ჯონსი ირანს რუსეთთან ომის მთელი ძალით გა-ნახლებას მოუწოდებდა, რადგან ირანის მხრიდან რუსეთზე შეტევით, ინგლისი ფრანგებზე მიიტანდა იერიშს და ამ გზით დაიცავდა ინ-დოეთს უცხოთა ყოველგვარი შეჭრისაგან. სწორედ ამიტომ პპირდებოდა იგი შაპის საქართველოს დაბრუნებას და თან არწმუნებდა, რომ “ინდოეთის ულევი განძის წყალობით ხარს საქართველოს ჯარი საქართველოს ადგილად დაიკერობს”²⁸⁵. ინგლისელების ამგვარ პოლიტიკურ მანევრს უზრუნველყო უკანენი “ცუდად გათვლილ პოლიტიკურ ქა-მედულინი ზმის” უწოდებდა²⁸⁶. ხოლო რადგან ირანი რუსეთ-ინგლისის დაპირისპირებაში ბუფერის მოვალეობას ასრულებდა²⁸⁷, ტილზიტის ხელშეკრულების დადგების შემდეგ ქართლ-კახეთმა უკვე ინგლის-რუსე-თის დაპირისპირებაში შეიძინა პოლიტიკური ლაქმუსის ფუნქცია.

საქართველო – “უსარგებლო, მაგრამ სამკაული”. ირანისათვის საქართველოს მნიშვნელობაზე მეტყველებს ინგლისელი და სპარსელი დიპლომატების შემდეგი ცნობები. სერ ჟარფორდ ჯონსის საელჩის ერთ-ერთი წევრი, შერიდანი 1810 წლის 28 თებერვალს თავის დღიურში წერდა, რომ როდესაც ირანში რუსეთის წარგზავნილმა, ბა-რონმა კრედებ მირზა ბოზორგს²⁸⁷ საფრანგეთთან კავშირის დარღვევა

²⁸³ *ibid.*, p. 336.

²⁸⁴ Alfred de Gardane, *op. cit.*, p. 305.

²⁸⁵ CP, Persc, vol. 14, doc. 289, fol. 294r-297r.

²⁸⁶ «Дело в том, что во времена истории Персия была приговорена служить смягчающим буфером в столкновениях между Россией и Англией». Г. В. Шкитов, Персия под властью последних Каджаров, Ленинград, 1933, с. 50.

²⁸⁷ მირზა ისა, მირზა ბოზორგ ვაიქმ - როცა აბას მირზა აზერბაიჯანის მმართველის გახდა (1803 წ.), ფათპ-ალი შეამა თავის ვაჟს უეზირად მირზა ისა დაუნიშნა და მას თავის მიერ შემორღებული ყაიებ მაყამის ტიტულ უბორა (აბდ ორ-რაზაყ დომბოლი, დასახ. ნაშრ., გვ. 437). ვ. დროი-ევილი ასე ასასათებს მირზა ბოზორგს: “ზედამიწუნობის წინდახულურ და მანწინურულ პილიტიკის, რომელმაც ამას მირზა მაკებულისანერ აშარა მმართველობის ბულოუნებას”. G. Drouville, *op. cit.*, t. II, p. 58.

შეასენა. ვეზირმა უკასუხა: – “ის სპარსეთმა კი არ დაარღვია, არა-
მედ საფრანგეთმა. ამ ბელ შეკრულების აზრი ხაქართველოს დაბ-
რუნება იყო. საფრანგეთის არ უნდა ან არ შეუძლია თავისი დანაპი-
რების შეხრულება. ჩეენ გადავწევიტეთ, დრო არ დაუკარგოთ და კავ-
შირ ინგლისთან დაუძიროთ”²⁸⁸.

ირანიდან გენერალ გარდანის წასვლის შემდეგაც, საქართველოს
საკითხი ინგლის-ირანის შემდგომ დიპლომატიურ მოლაპარაკებებში
ირანისათვის კვლავ უმთავრესი იყო, რასაც მოწმობს ინგლისში
1809-1810 წლებში ფათჰ-ალი შაპის ელჩის მირზა აბულ ჰასანის
დღიურში დაცული ჩანაწერები. მათ თანახმად, 1809 წლის 21 დეკემ-
ბერს ლონდონში დიდი ბრიტანეთის მეფესთან, გეორგ III-თან აუდიენ-
ციაზე, ირანის ელჩიმა სწორედ საქართველოს საკითხი დააყენა. სპარ-
სელი ელჩის მხრიდან ამ საკითხის მნიშვნელობა ნაპოლეონის უგვია-
ტის კაპანიასთან პარალელის გავლებითაა ხაზგასამული: ირანის შა-
პი ინგლისის მეფისაგან ითხოვდა, რომ “როგორც თურქეთის სულ-
თანს დაეჩმარნენ [ინგლისელები] საფრანგეთის ჯარისაგან უგ-
ვიატის გათავისუფლებაში”, ირანსაც ასევე დახმარებოდნენ “ქადაქ
თბილისის (თამარის) რუსეთის ოქუსტიისაგან გათავისუფლე-
ბაში”²⁸⁹. იმავე წლის 22 დეკემბერს ირანში ინგლისის მომავალ
ელჩითან (1811-1818 წწ.), სერ გორ აუსლისთან ასევე “თბილისიდან
რუსების განდევნასა და მის გათავისუფლებაზე”²⁹⁰ იყო საუბარი.
26 დეკემბერს დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრთან მარ-
კიზ ვალესლეისთან²⁹¹ მოლაპარაკებებისას ირანის ელჩიმა საქართვე-
ლოს საკითხი კვლავ სხვა ქვეყნის მაგალითს დაუკავშირა. მირზა

²⁸⁸ Sir Harford Jones Brydges, An Account of the Transactions of His Majesty's Mission to the Court of Persia, in Years 1807-1811, vol. I, London, 1834, // Note XVIII, Baron Wrede. – From Mr. Sheridan's Journal, 28 february, 1810, p. xxiv.

²⁸⁹ Mirza Abul Hassan Khan, *op. cit.*, p. 60.

²⁹⁰ *ibid.*, p. 64.

²⁹¹ რიჩარდ კოლეე ვალესლეი, მარკიზი (1760-1842) – განათლება მიიღო იტონსა და ოქსფორდში. 1797-1805 წწ. იყო ინდოეთის გენერალ-გუბერნატორი (Encyclopaedia Britannica, Vol. 23, Chicago-London-Toronto). მირზა აბულ ჰასანი მარკიზ ვალესლეის ჯერ კიდევ იმ დროიდან იცნობდა. როგორსაც ეს უკანასკნელი კალენტის გენერალ-გუ-
ბერნატორი იყო. James Morier, A Journey Through Persia, p. 219-221.

აბულ ჰასანმა აღნიშნა, რომ “როგორც ზამან შაჟის²⁹² აეღანურ ტომებს შორის მოხსო ინვლისძა არეულობა, ასევე სჭირდებოდათ სასაკელებს ინვლისელების მეგობრობა და დახმარება თბილისის გასათავისუფლებლად და რუსებისაგან მის გამოსახსნელად”. 1810 წლის 11 იანვარს მარკიზ ეალესლეი ირანის ელჩს იმედს აძლევდა, რომ “დაუბმარებოდნენ ირანის ჯარს რუსების განდევნაში და თბილისის დაბრუნებაში”; რაც ორ მონარქს შორის მეგობრობას განამტკიცებდა²⁹³. მაგრამ როდესაც რამდენიმე დღის შემდეგ, 27 იანვარს, მირზა აბულ ჰასანმა მინისტრს კვლავ შეახსენა, რომ “ზოთი უდიდებულებობა ირანის შაჟისათვის პირველი მნიშვნელობის საკითხი იყო რუსეთის კლანჭებიდან თბილისის დახსნა მისი უდიდებულებობა ინვლისის მეფისა და ინვლისის მთავრობის მეგობრული დაბმარებით”, ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრის პასუხი ჟავე საკმაოდ თავშეკავებული იყო: “ინვლისელები სასარსელებს კიდევაც რომ დაბმარებოდნენ რუსების განდევნაში თბილისიდან, მისი მოსახლეობა გაურკეველ მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა და მზად იქნებოდა რუსების მხრიდან ბელაზალი დაპყრობისათვის”. ინგლისელი მინისტრის ამ ვარაუდზე ირანის ელჩის პასუხი სპარსელთა შორის გამიზნულ გეგმას აჩენს: “თუ სასარსელები მთახერხებდნენ ქალაქის განთავისუფლებას, მოსახლეობა აყრილი და ჩანაცვლებული იქნებოდა თბილისის დასაცავად მზად მფოფი მამაცი და ერთგული მოქალაქეებით”²⁹⁴. მიუხედავად იმისა, რომ ინგლის-ირანის მთავრობები ერთმანეთის მიმართ იღებდნენ ვალდებულებებს, რომელთა თანახმად ირანის შაჟს ყველა ღონე უნდა ეხმარა ინგლისის მეფის მტრების. კერძოდ კი ურანგებისა და ავღანელების გასანადგურებლად, ინგლისის მეფეს კი უნდა გაეძლიერებინა თავისი მხარდაჭერა ირანისათვის “რუსეთის ჯარის სრული განადგურებისა და

²⁹² ზამან შაჟი (1793-1801) – თიმურ შაჟის შეიღლი. 1801 წ. ზამან შაჟი ტახტიდან ჩამოაგდო მისმა მმამ, მაკუდმა, დაბარმავა და ქაბულის ბალაქესარის ციხეში გამოიკტა. ზ. შარაშენიძე, ლასახ. ნაშრ., 1984, გვ. 25.

²⁹³ Mirza Abul Hassan Khan, *op. cit.*, p. 69.

²⁹⁴ *ibid.*, p. 117.

ქალაქ თბილისის რუსეთის კულანგვებიდან დახსნის საქმეში”, ლორდ უალესლეის მიერ გამოხატული ეჭვი მოწმობს, რომ ინგლისის ირანის გამო რუსეთთან ომში არ ჩაეტმებოდა. ინგლისის მთავრობა ირანის მიმართ კვლავ თავის ნაცად და უცვლელ – დაპირებებისა და მოსყიდვის – პოლიტიკას აკრძელებდა, რითაც ხელს უწყობდა რუსეთ-ირანის ომის პერმანენტულობას: გეორგ III თანახმა იყო “ირანის შაჰის მთავრობისათვის ფოველიწლიურად 200 000 თუმანი ნაღდი ფული გადაუხმადა და 30 000 თოფი და სხვა საბრძოლო იარაღი მიეცა”²⁹⁵.

ფრანგი ავტორები საგანგებოდ აღნიშნავდნენ რსტ-ინდოეთის იმ-დროინდელი გენერალ-გუბერნატორის, ლორდ მინტოს²⁹⁶ მიერ წარმოებულ პოლიტიკას. რაც იმის მაჩვენებელია, რომ XIX საუკუნის პირველ მეოთხედში ინგლისი ყველა ხერხით ცდილობდა თავისი გავლენის გავრცობა-განმტკიცებას მახლობელ და შეა აღმოსავლეთში: ფრანგი ავტორები წერენ: “ინგლისელებმა ხელი მოაწერეს წლიურად 200 000 ლორი სტერლინგის სუბსიდიას ფათპ-ალი შაჰის სასარგებლოდ, ეიღო ირანს ომი ექნებოდა რუსეთთან. ლორდ მინტოს ავრეთე სერჩა მშეიღად ყოფილიყო აერანელების გამო და მათთან დაიწყო კავშირის დამყარება სელჩიკს მეშვეობით, რომელიც ქაბულში გაგზავნა”. ფრანგ ავტორთა კომენტარი შემდეგია: “ამგვარად, ინგლისის გავლენა გავრცელდა ინდუსის გარშემო და უფრო შორსაც – თეირანში, სასარგეთის ყურესა და კასპიის ზღვას შორის, ლამის კოლგის შესართავამდე! ის დღესაც იქა... ”²⁹⁷

ფათპ-ალი შაჰის პირველი ვეზირი, მირზა შაფი, მირზა აბულ ჰასან ხანის ინგლისში სწერდა, რომ მათ სურდათ ინგლისის მხრიდან უმაღლესი სტატუსის მქონე ელჩის დანიშნა, რათა მას წარმოედგინა ქრისტიანი ქეყანა რუსეთთან მოლაპარაკებებისას როგორც მშვიდო-

²⁹⁵ ibid., p. 119.

²⁹⁶ გილბერტ ელიოტ მინტო, ლორდი (1751-1814) – 1807-1813 წწ. ინდოეთის გენერალ-გუბერნატორი. Encyclopædia Britannica, v. 15, Chicago-London-Toronto, p. 580.

²⁹⁷ Inde, par M. Dubois de Jancigny, aide de camp du roi d'Oude, et par M. Xavier Raymond, attaché à l'ambassade de Chine, Paris, 1845, p. 546.

ბის, ისე ომის დროს. მირზა შაფის ვარაუდით, “გამოცდილ დიპლო-
მატებ უნდა უზრუნველეყო თბილისისა და მიხი შემოვარენის
უსჭველი დაბრუნება”²⁹⁸.

ლონდონში სპარსელი ელჩის მოღაპარაკებების უცვლელი თემა
თბილისიდან რუსების ვაკეუაცია იყო. ამგვარად, ინგლის-ირანს შო-
რის წარმოებულ დიპლომატიურ მოღაპარაკებებში საკუთრივ თბი-
ლის მიენიჭა მთავარი სტრატეგიული მნიშვნელობა: სპარსელებს
სწორედ თბილისის “დაბრუნების” შემთხვევაში მიეცემოდათ თავიანთი
მუდმივი მიზნის – აღმოსავლეთ საქართველოს დაპყრობის – მიღწევის
იმედი თუ შესაძლებლობა. ამას შემდეგი ცნობაც მოწმობს. ირანში 1812 წელს ინგლისის საელჩოს²⁹⁹ მდივანი, ჯეიმს მორიერი³⁰⁰, შემ-
დეგს წერდა: “მირზა მოზორეთან ჩეენი ერთ-ერთი შეხვედრისან³⁰¹,
როდესაც განიხილებოდა [საკითხი], თუ რა სარგებლობა ქქონდა
ირანისათვის საქართველოს, როგორც სამფლობელოს, ვეზირმა გაა-
კეთა შენიშვნა, ჰეშმარიტად დამახასიათებელი აზიური ლოგიისათვის.
მან ხელი წერზე ჩამოისვა და თქვა: “ის უხარგებლოა, მაგრამ
სამუშალია”³⁰².

ამგვარად, ისტორიის ამ კონკრეტულ მონაკვეთში ინდოეთის –
“ინგლისის ძეფის გეირგვინის საუკეთესო მარგალიტის”³⁰³ – დაცა
ფრანგთა ლაშქრობისაგან გარეეულწილად ირანის “სამუშალმა”,
საქართველომაც იტვირთა, რაც უკვე განსაზღვრული პოლიტიკური

²⁹⁸ Mirza Abul Hassan Khan, *op. cit.*, p. 164.

²⁹⁹ 1811 წლის ბოლოს ირანში ინგლისის ელჩი სერ ჯონორდ ჯონსი შეცვალა სერ შორი აუსლიმ, რომელიც იქ 1818 წლამდე დარჩა. შორი აუსლიმი, რომ ჯეიმს მორიერს ქქონდა გარევეული წარმოდგენა თბილისის შესახებაც, რაღაც 1809 წლის 24 თებერვალს ოგიუსტ დე ნერსია თავის დღიურში აღნიშნავს, რომ “აზღლისელი ავეტი ძორიერი-უაფ თბილისში უხდა წასულიყო”–ი. C.P. Perse, vol. 14, doc. 127, fol. 132v.

³⁰⁰ ეს საუბარი შედგა 1812 წელს, რუსეთ-ირანს შორის 1813 წლის 24 ოქტომბერს გულისთანის (ყარაბაღი) ზაეფის დადებამდე, რომლითაც დასრულდა რუსეთ-ირანის პირ-ელი (1804-1813 წწ.) ომი.

³⁰¹ “This is of no use, but it is an ornament”. James Morier, A Second Journey Through Persia, Armenia, and Asia Minor to Constantinople, Between the Years 1810 and 1816, London, 1818, p. 217.

³⁰² «Лучшей жемчужины в короне английского короля». Г. В. Шитов, ук. соч., 1933, с.50-51.

ხევდრით – მისი რუსეთის იმპერიაში ინტეგრირებით – იყო განპირობებული.

ფათქ-ალი შაპის პირველი ვეზირი, მირზა შაფი. მეტად საინტერესოდ გერენერენება ფათქ-ალი შაპის პირველი ვეზირის, მირზა შაფის სეული³⁰⁴ მოკლე, მაგრამ ტევადი ანალიზი ირანიდან ფრანგების წასვლის შემდეგ იქ ჩასულ ინგლისელთა მიზნებზე, რის შესახებაც ვეზირმა 1810 წ. დეკემბერში ნაპოლეონის სამსახურში მყოფ კურიერს, აბდულ ქადერს უთხრა: “ჩვენი ინტერესები და სურვილები, შეეინარჩუნოთ მისი უდიდებულებობის (ნაპოლეონის) მევობრობა, ევროპაში აქმდე ან ცუდად იყო ცნობილი, ან საკმარის კარგად ვერ იქნა გავეძული; რუსებისაგან ჩრდილოეთით, ავღანელებისაგან აღმოსავლეთით, კაპაბებისაგან კი სამხრეთით შევიწროებულებს, არ შევიძლია ჩვენი იმპერიის უფრო დიდ უძედურებაში ჩაგდება ზედმეტი მტრის მოზიდვით, მით უფრო საშიშისა, რაღაც მისთვის ადვილია ჩვენი ნავსაღვურების გაღაწევა და ჩვენი უმშენერებესი პროინციების გაცამტვერება. იმპერატორის თვალთახედვის არეში შესელა რომ ყოფილიყო შესაძლებელი, რუსეთისათვის [საფრანგეთის მხრიდან] ომის გამოცხადება ან ჩვენთვის ამ სახელმწიფოსთან [რუსეთთან] ზავის დადგის გააღვილება. უეპველია, რომ ჩვენ არ დავაყოვნებდით ინგლისელებთან კავშირის გაწყვეტას, მიუხედავად იმისა, რომ ისინი აქ მუჭით აფრიკევდნენ ოქროს...”³⁰⁵ (...) ეიცით, რომ მათ ჩვენთვის ამ საჩუქრო

³⁰⁴ უას-ალი შეის 49-ე ვაჟი მირზა შაფის შესახებ შემდეგს წერს: “მისი ბასითი ისეთი იყო, რომ ბაქანს (ფასა-ალი შეს – ი.ხ.) მშეღად კოფინს ამჟალებას არ აძლევდა. კოფინის იმის ფიქრში იყო, რომ საღმე ჯანი ან არეულობა მომზადარებო, რათა ბელმწიფეს მისი ჩრეა-დარიველები დასკრინებოდა...” Shāhzādch ‘Azād-oddoulch Solṭān Ahmād Mīrzā, op. cit., p. 113. იხ. აგრეთვე M. Bāmdād, op. cit., t. 2. pp. 146-147.

³⁰⁵ ლუტენატი კამლ ტრენელი სასახლებში წერდა, რომ “უქირ ერთს დაწილო იყო” (MD, Perse, vol. 3, doc. 4, fol. 121r). ინგლისელთა მიერ ირანში გაწეული ხარჯი იქ იმდენად დიდი იყო, რომ ფრანგების ცნობის თანახმად, “ინგლისელთა განხილა და უუფრებით დაძრმულებულ ბაზებს ისრი სამართო პრეზენტ ერად მასწავლა”. თავად სასახლებს კი ფრანგი თარჯიშმანი ასე ასასიათდა: “მთ მხრითად ხელით იქმოს აღას, თვალით კი მასი ძარწყობალების დანტეა შეუძლიათ” (CP, Perse, vol. 14, doc. 294, fol. 297r-297v, 18.09.1809). ფრანგი ორიენტალისტი, ფილოსოფიის დოქტორი ჟერ ბორე, რომელიც საურანგეთის მთავრობაზ 1837 წ. აღმოსავლეთში სამეცნიერო მიერთებით გავსუნა, აგრეთვე ადასტურებდა (10.2.1839, თარიში), რომ ინგლისელებმა უზარმაზარი თანხების შეწირვით (2 000 000 ფრანგი) ჩაშალეს ნაპოლეონის

რების მეტად ძვირად დახმა სურთ; ცოტა ბნის წინ მათ ჩეენი უნა-
ყოფიერების კუნძულების გადაცემა მოვეთხოვეს და ჩეენი სანაპიროების
კულუბზე უფრო მნიშვნელოვან პუნქტებში დამკვიდრებას ცდილობენ.
მათი თავხედობა ძირითადად ცნობილია და ის არც მხოლოდ ჩეენ
მიმართ სიმთხურალეში გამოხატული შეურაცხყოფით იფარველება... (...)
ინგლისელები აქცე იმავეს გაკეთებას ფიქრობენ, რაც ინდოეთში გა-
კეთებ, მაგრამ ცდებიან, რაღაც სასარსელები უფრო მნელად დახა-
მარცხებელნი და ინდოელებზე ნაკლებ მიმდობნი არიან. ვეზირმა
დაუმატა, რომ მისი უდიდებელების მიერ სასარსეთში გავ შავნილ
ყველა პირთავან, ძატონი უობერი ერთადერთი იყო. რომელმაც შე-
ლო სასარსელთა ნიდობის მოპოვება და ერთადერთი, რომლის იქ წარ-
ვშავნილად ხილვასაც კელავ ისურვებდა ამ ქვეყნის მთავრობა...²⁰⁶
მირზა შაფის ეს ნათევამი ფათპ-ალი შაპის პოზიციასაც გამოხატავს,
რაღაც 1809 წლის 8 თებერვალს შემდგარ აუდიენციაზე შაპმა აღ-
ნიშნა, რომ გენერალ გარდანს მისი კარი „ისევე აღტაცებით შეხვდა,
როგორც ძატონ უობერს“²⁰⁷. ჩანს, ახალგაზრდა ფრანგმა დიპლომატ-
მა პირადად ფათპ-ალი შაპთანაც დიდი აუტორიტეტი მოიპოვა...

“ტილზიტის მირაჟს” შეწირული ფინკენშტეინის ხელშეკრულება. ფინკენშტეინის ხელშეკრულება, არსებითად, ირანსა და ევროპულ სახელმწიფოს შორის დადებული პირველი სახელრო-პოლიტიკური

³⁰⁶ CP, Persc, vol. 15, doc. 49, fol. 94r-94v-95r.

³⁰⁷ Alfred de Gardenc, *op. cit.*, p. 276.

რი შეთანხმება იყო. იმ ფაქტის გამო, რომ იგი ირანისათვის საქართველოს „დაბრუნების“ პერსექტივის საფუძველზე აიგო, ნაპოლეონის აღმოსავლური პოლიტიკის კონტექსტში საქართველომ საერთაშორისო პოლიტიკური მნიშვნელობა შეიძინა. საფრანგეთის იმპერატორის ამ ავანტიურას ფრანგი ისტორიკოსი ლეფევრ დე ბეკურო უკვე სამი ათეული წლის შემდეგ, 1839 წელს, მეტად ობიექტურად აკრიტიკებდა: „ფინკენშტეინის ხელშეკრულება მიმართული იყო ინგლისელებისა და რუსების წინააღმდეგ. სკარსეთისათვის უმნიშვნელოვანების, ლამის ერთადერთსა და აუცილებელის, წარმოადგენდა მუხლები საქართველოს შესახებ, დანარჩენი კი მხოლოდ ზედმეტ ტვირთს. იმ ძრმენტში იმპერატორის მიერ ფინკენშტეინის ხელშეკრულებიდან პირველი გადახრა თეირანის კარის რატიფიციაციამდე ამ ხელშეკრულების გამოაქვეყნება იყო. ნაპოლეონმა, როდესაც რუსებთან ტილზიტის ხელშეკრულებას მოაწერა ხელი, საერთოდ არ გაითვალისწინა ფინკენშტეინის ხელშეკრულების მეოთხე მუხლი ირანისათვის საქართველოს დაძრუნების თაობა შე“¹⁰⁸.

ფინკენშტეინის ხელშეკრულების 5-16 მუხლების თანახმად, საფრანგეთის მხარე ვალდებულებას იღებდა, რომ ირანის მიერ განსაზღვრული რაოდენობის ოფიცრებს, ხელოსნებს, ზარბაზნებსა და თოფებს გაგზავნიდა ირანში. ირანი თავის მხრივ, საფრანგეთის მიმართ იღებდა ვალდებულებას, დაუყოვნებლივ გამოეცხადებინა ომი ინგლისისათვის, გაეძვებინა ინგლისელები თავისი ტერიტორიიდან, დაეხურა ირანი ინგლისელი ვაჭრებისათვის; შეთანხმებოდა ავღანელებს, მარათებსა და ყანდაპარში მცხოვრებ სხვა ხალხებს ინდოეთში ინგლისურ სამფლობელოთა დასალაშქრად, გაეტარებინა თავის ტერიტორიაზე საფრანგეთის ჯარი ნაპოლეონის მიერ ინდოეთშე ლაშქრობის შემთხვევაში. ეს მუხლები, ირანის მხრისაგან განსხვავებით, საფრანგეთისათვის მეტად მოგებიანი იყო¹⁰⁹. ჩანს, აღმოსავლეთში მყოფი ფრანგი რეზიდენტები იმდენად ესწრაფოდნენ ინდოეთის კამპანიის წამოწყებას, რომ აქცენტებს კონიუნქტურის მიხედვითაც აკეთებდნენ; გენერალ

¹⁰⁸ MD. Perse, vol. 8, fol. 241v-243r.

¹⁰⁹ Alfred de Gardane, *op. cit.*, p. 30.

გარდანის ვაჟი, ალფრედ და გარდანი თავის ნაშრომში აღნიშნავს, რომ ალექსანდრ რომიეს ჩანაწერები ირანის შესახებ ნაპოლეონისათვის არ წარუდგენიათ და ამიტომ მან ვერ გაითვალისწინა იმეამინდელი ირანის სამხედრო-ეკონომიკური სისუსტე³¹⁰.

ზ. შარაშენიძეს თავის ნაშრომში მოპყავს ფინკენშტეინის ხელშეკრულებაზე ცნობილი ირანელი ისტორიუმის საიდ ნაფისის მოსაზრება. ის მეტად მნიშვნელოვანია, რადგან აღნიშნული დოკუმენტი ირანის პოზიციიდანაა შეფასებული: “ამ ხელშეკრულებაში გამოვლინდა ირანის სისუსტე. გამომდევნდა, რომ შაპის მთავრობა სრულიად ვერ ერქვეულა იმდროინდელ სიტუაციაში. ივი მზად იყო, გადაეკიდებინა მეზობელი რუსეთი და ინდოეთში გააგრონებული ინგლისი და შეთანხმებოდა შორეულ საფრანგეთს, რომელსაც არაფერი არ აკავშირებდა ირანთან. ამ ხელშეკრულებას არავითარი შედევი არ გამოვდია. ეს იყო ირანის პოლიტიკური ძარცხი. ინგლისმა ამ ხელშეკრულების შემდეგ დაიწყო სხვადასხვა საშუალებების გამოყენება ირანის შესავიწროებლად. ინდოეთმა შეწყვიტა ირანთან კაჭრობა, რაც მეტად საბანო იყო ამ უკანასკნელისათვის”³¹¹. ობიექტურობის მიზნით საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ნაპოლეონის მისიებს ირანში უაღრესად დიდი მნიშვნელობა პქონდა თავად ირანისათვის, რადგან სწორედ ფრანგმა ოფიცრებმა ჩაუყარეს საფუძველი ყაჯართა ლაშქრის ეეროპულ ყაიდაზე ორგანიზებას³¹². ამას გარდა, ევროპელთა შორის პირველებმა

³¹⁰ Alfred de Gardane, *op. cit.*, p. 31.

³¹¹ ზ. შარაშენიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 105.

³¹² ზ. შარაშენიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 112-149; 6. ტერ-ოგანოვი, დასახ. ნაშრ., გვ. 6-27. ეს გარემოება მრავალ წერიშია აღნიშნული: აპდ. ორ-რაზაყ დომბოლი, დასახ. ნაშრ., გვ. 224, 225-227. MD, Persé, vol. 2, doc. 29, fol. 250r; vol. 3, doc. 4, fol. 119v; vol. 8 fol. 49v; Freygangs, Lettres sur le Caucase et la Géorgie, suivies, d'une relation d'un voyage en Perse, en 1812, Hambourg, 1816, pp. 252, 322; James Morier, A Second Journey, pp. 253, 305; A. Dupré, *op. cit.*, t. II, pp. 298-299; J. .M. Tancoigne, *op. cit.*, t. II, pp. 163, 165; И. О. Симониди, ყ. ს. 33; Eugène Flandin, Voyage de M. Eugène Flandin, peintre et Pascal Coste, architecte attachés à l'ambassade de France en Perse, Paris, 1851, t. I, p. 497; Général J.-B. Dumas, *op. cit.*, pp. 51-53. პოლკოვნიკი დრიუელი ასე ასასიათებდა ფრანგ ოფიცრთა საქმიანობას: “სასრულოოს ამბჯორო მცირებული კულტურული მეტად მოუწესებულები იყო. კიდენ საფრანგეთს საკონიდ არ შექმნა ინგლისების რამდენიმე მანიდა, თორუებ რუსებთს ჯარს არაუგრი შეუძლილი ხელს თურქის შე გადატანებას და არაუგრის მიუღი ძარცხის დამორისმა... ჯარის რეალური თრგანიშემა

სწორედ ნაპოლეონის ემისრებმა და გენერალ გარდანის მისის წევ-რებმა შეისწავლეს ირანი სხვადასხვა კუთხით (ისტორია, გეოგრაფია, მოსახლეობა, ქალაქები, ვაჭრობა და სხვ.). რაც არაერთგზის არის აღნიშნული მკვლევართა მიერ³¹³.

საინტერესოა ფრანგი ისტორიკოსის, პოლ გაფარელის მიერ ნაპოლეონის აღმოსავლური პოლიტიკის შემდეგი შეფასება: “სამწუხაროდ, ნაჟოლეონმა კერ გაიაზრა ვერც თავისი ინტერესები, ვერც თავისი პოლიტიკა, და თავი ტილზიტის მირაუს დააძრმავებინა. საკარსეთი მან რუსეთს შესწირა: პირველი ისე მოიწყვიტა თავისი სახელმწიფოსაგან, რომ მეორე არ ჰყავდა მოპოვებული, მედისინურა კი მისი მტრების [ინგლისელების] მხარეს აღმოჩნდა”³¹⁴. ტილზიტის ზავის შესახებ ირანელი მეცნიერების მიერ გამოთქმული აზრი კი დღესაც მრავლისმეტყველია: “აშკარა იყო, რომ ტილზიტის ზავის დადების შეძლევებ საფრანგეთი აღარაფერს გააქეთებდა ირანისათვის საქართველოს დასაძრუნებლად”³¹⁵.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, გენერალ გარდანის მისის პოლიტიკურ ასპექტზე³¹⁶ შემდეგი დასკვნის გაკეთება შეიძლება: ნაპოლეონისა და ფათე-ალი შაპის ინტერესები ერთმანეთს ეწინააღმდეგებოდა და სხვადასხვა მხარეს იყო მიმართული: იმპერატორისა – ირანის აღმოსავლეთით, ინდოეთში ინგლისელების წინააღმდეგ, შაპისა კი – თავისი ქეყნის ჩრდილო-დასავლეთით, რუსების წინააღმდეგ. იმ-

დაიწვიო მხოლოდ გენერალ გარდანისა და მასი ოფიციურის ჩამოსკლის შემდეგ, რომელთაც კაცები ჯარისკაცებს დამსხვევებს”. G. Drouville, *op. cit.*, t. III, pp. 10, 13.
³¹³ Nicolas de Khanikoff, Mémoire sur la partie méridionale de l'Asie Centrale, // Recueil de voyages et de mémoires publié par la Société de Géographie, t. VII, deuxième partie, Paris, 1864, p. 248; H. Dehérain, La vie de Pierre Russin, v. II, pp. 70-71; Ch. De Voogd, *op. cit.*, p. 248; Russia and Britain in Persia, 1864-1914, A Study in Imperialism, by F. Kazemzadeh, New Haven and London, Yale University Press, 1968, p. 100; ი. ნაჟუებია, ირანში გენერალ გარდანის მისის (1807-1809 წე.) მიზანი და შედეგები, // პროე. მზა ანდრიაშვილისადმი მიძღვნილი სამუნიქრო კონფერენციის მასალები, თბილისი, 2000, გვ. 55-56.

³¹⁴ P. Gaffarel, *op. cit.*, p. 416.

³¹⁵ M.H. Kāvusī ‘Erāgī, H. Ahmādī, *op. cit.*, p. 41.

³¹⁶ გენერალმა გარდანმა ირანიდან წასვლისას თავის ანგარიშში სრულად ასახ ირანში მისის 18 წელის საქმიანობა. État des travaux exécutés pendant la durée de ma mission en Perse, 23.04.1809, CP, Persie, vol. 11. doc. 181, fol. 305r-308v.

უამინდელი საერთაშორისო პოლიტიკური ეითარების გამო საფრანგეთის იმპერატორის “დიდი აღმოსავლური პროექტი” არ განხორციელდა და, შესაბამისად, ნაპოლეონმა ფათქ-ალი შაპის ვერც დაპირებული საქართველო დაუბრუნა³¹⁷. XIX საუკუნის დასაწყისში რუსეთი თავგამოდებით იცავდა ამიერკავკასიაში მის მიერ უკვე დაპყრობილ ტერიტორიებს და წინ მიიწევდა³¹⁸. ფინკენშტეინში ნაპოლეონმა არ ან ვერ გაითვალისწინა, რომ რუსეთი კავკასიასა და კასპიისპირეთში, ხოლო ინგლისი ინდოეთში აღარასოდეს დათმობდნენ თავიანთ პოზიციებს. ტილზიტში კი ნაპოლეონის მიერ “რუსების მიმართ ძირითადი მხრივ წინა დღით შეცვლილ”³¹⁹ გეგმებს ფათქ-ალი შაპის ინტერესები აღარ დაემთხვეა. როგორც გენერალი უან-ბატისტი დიუმა წერს, წმ. ელენეს კუნძულზე გადასახლებულ ნაპოლეონს წარსულის გახსენებისას უთქვამს: “ისინი, ერთიც და მეორეც [ირანი და თურქეთი],

³¹⁷ 1809 წლის აპრილში ნაპოლეონი გარდოდა აესტრიის ერცჰერცოგ კარლოსს, რომელიც დაამარცხა და 13 მაისს საფრანგეთის ჯარმა უნდა დაიკავა; თავად ნაპოლეონი კი 21-22 მაისს ესლინგთან დამარცხდა კარლიოსთან ბრძოლაში. ესლინგთან დამარცხება, წარუმატებლობა ესპანეთში, ოკუპირებულ გერმანიაში ურუკულ-კატრიოტული მოძრაობის გაღვიძება – ეს იყო დასასრულის დასაწყისი. ნაპოლეონი ერეურტიდან პარიზში 19 ოქტომბერს ჩავიდა და თავად გაუძლვა ჯარს ესპანეთში. A. Z. Maiwald, Наполеон Бонапарт, Сухуми, 1990, c. 543, 551-554.

³¹⁸ საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივში არსებულ დოკუმენტებში ამ საკითხშე შემდეგი ცნობებაა: “შექს აციფი, გაუკვ შეინო თუკებს აღმატებულებას ახლი ანგარიშისა ასარსეიოსა და ასერთველის მდგომარეობის შესახებ, რომელსაც ერთეულის მოვიდერით მოსაზრების რესერსის მიზან აქ წარმოებულ იმშე. მის კონცეპტუალური იმპრიატორ ალექსანდრეს ეს ასტრია 1811 წლის გამავა ასერთველის გენერალ-გუგერინსტრირის მიზან, რომელსაც მას აზრის ამ ნაწილში რესერსის პოზიციის შესწოვისა და ამ გეგმებზე მოსაზრების გამოიქმნა დაუკავა. მათი ცნობების მიღება შეიძლება. მორს არ არის ის დრო, როებაც გონიერი დამნებული, რომელიც დღის გვრისს ძევია ბალბერი მოუკავა, ჩანს, დაინტებს მათ განხორციელ, რაც ამ ბორბებს უთურებ დასცემდება, რესერსი კი აზრისა და ინტერიერი თავისი თარიღი ვავმოვს განხორციელების საშუალებას მისცემს”. Lettre de M. Libessart relative à l'aperçu sur la situation de la Géorgie, en date de Riga, 12.10.1820, MD, Russie, vol. 10, doc. 27, fol. 297r.

“(...) ჩემამდე ასევ ითქვა და მეც დაუკითხდის გაუძლებელ. რომ რესერსი თავის გამოჯულას მხრივ იმ ინტერესთა სხეულაბეჭაობის უნდა უძალოდეს, რომელიც სწრაფად გაითავ ერთმანეთისაგან კუჭა ეს ერთ და მთ ძირით აღმანებულ კუუჯათის წინ აღუდება”. Leicelic, Orientaliste St. Pétersbourg, 10.07.1832, MD, Russie, vol. 36, fol. 161.

³¹⁹ Général J.-B. Dumas, *op. cit.*, pp. 37-38.

გადამწყვეტ მოძენტში გაიქცებ. ინგლისური ოქრო უფრო ძლიერი ადმოჩნდა, ვიდრე ჩემი კომბინაციები³²⁰.

აქ გასათვალისწინებელია ჯერ კიდევ 1839 წელს საფრანგეთი ირანის ურთიერთობების შეფასებისას ლეუევრ დე ბეკუროს მიერ გამოიქმული მოსაზრება, რომელიც მკელევართა ყურადღების მიღმა დარჩა: “აღუესანდრ რომიეს იმპერატორისათვის რომ მოეხხენებინა ფეხელა მოხაზრება იმ მისიაზე, რომელიც მას სიცოცხლის ფახად დაუჯდა, ხაუჭეო არ იქნებოდა, რომ ნაპოლეონი სპარხეთთან აღიანხის ფოველევარ გეგმას, როგორც უხარგებლოს, უარეოფდა³²¹. ჩეენი ვარაუდითაც, თავად ნაპოლეონს გენერალ რომიეს ანგარიში არ უნახავს. იგი ამ დოკუმენტს რომ გასცნობოდა, ვფიქრობთ, უფრო რეალურად შეაფასებდა ირანთან შემდგომი ურთიერთობის საჭიროებასაც და. შესაბამისად, ამ რეგიონში რუსეთთან და ინგლისთან დაპირისპირების სირთულესაც.

³²⁰ *ibid.*, p. 25.

³²¹ MD, Persé, vol. 8. fol. 239v.

TIMURAT-MIRZA და "VOCABULARIO ITALIANO, PERSICO ET TURCO"

საფრანგეთში "Vocabulario"-ს მოხვედრის მიზეზი და მისი გამოცემა. 1809 წელს საფრანგეთში გამოცემულ ანუ დე გარდანის ნაშრომს – "Journal d'un voyage dans la Turquie d'Asie et la Perse, fait en 1807 et 1808", Paris-Marseille, 1809 – ერთვის "Vocabulario Italiano, Persico et Turco", ორმლის აკტორადაც თეიმურაზ ბატონიშვილია მითითებული¹. ადრე იმის ჰქომარიტებაში. რომ "Vocabulario"-ს² აკტორი ქართველი ბატონიშვილია, ეჭვი არც კი შეგვიტანია, რაც აღნიშნული გვაქეს კიდეც ნაპოლეონის თანამებრძოლისა და დიპლომატის, ცნობილი ფრანგი აღმოსავლეთმცოდნის, ამედე უობერის "მოგზაურობის" ჩვენ მიერ გამოცემული ქართული

¹ ამ საკითხის შესახებ იხ.: გ. იმედაშვილი, თეიმურაზ ბაგრატიონის რუსთეველოელობიური ცდანი, // ღიმერასტურული მიეპანი, V, თბილისი, 1949, გვ. 182-183; შ. ხანთაძე, თეიმურაზ ბატონიშვილის "იტალიურ-სასარსულ-თურქული ლექსიკონი", გაზ. "ლოტტირატურა და ხელოვნება", 1950, № 39; O. P. Маркова, Восстание в Кахетии 1812 г. Москва, 1951, с. 221; გ. შარაძე, თეიმურაზ ბაგრატიონი, I, ცხოვრება, თბილისი, 1972, გვ. 32, 37-38; გ. შარაძე, თეიმურაზ ბაგრატიონი, II, შემოქმედება, თბილისი, 1974, გვ. 240-243; გ. თოლეა, ქართულ-სასარსული ეტიუდი, II, თბილისი, 1975, გვ. 221-224; თეიმურაზ ბაგრატიონი, წიგნი ლექსიკონი. მასალები შექრიბა, ანაბაზე გააწყო, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაუროვნ გ. შარაძემ, თბილისი, 1979, გვ. 11, 175-194. თეიმურაზ ბატონიშვილის შესახებ აგრძელებული იხ.: თეიმურაზ ბაგრატიონის წერილები აკად. მ. ბრიოსესადმი. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა, შენიშვნები და საძიებლები დაუროვნ ს. გუბანიშვილმა, თბილისი, 1964; თეიმურაზ ბაგრატიონი, დავით ბაგრატიონის ისტორია. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკელევა და საძიებლები დაუროვნ თ. ენგურიძემ, თბილისი, 1972; ალ. ბარამიძე, გ. შარაძე, თეიმურაზ ბატონიშვილი (ბაგრატიონი), // ქართული საბჭოთა უნიკილოპედია, ტ. 4, თბილისი, 1979, გვ. 642; თეიმურაზ ბაგრატიონი, ახალი ისტორია. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკელევა და საძიებლები დაუროვნ ლ. მიქაელშეილმა, თბილისი, 1983; ქ. ხარაძე, XVII-XIX საუკუნეების ქართველი მოგზაურები, თბილისი, 1987, გვ. 54-59.

² კოკაბულარი – [ლათ. vocabularium] – ქრესტიანოთის, სახელმძღვანელოს ან მისი ცალკეული ნაწილის ლექსიკონი (უცხო სიტყვათა ლექსიკონი, შეაღგნია გ. ჭავაშვილმა, მესამე შესწორებული და შესკებული გამოცემა, თბილისი, 1989, გვ. 178). Вокабулярий – сборник слов для учебных и пр. целей, напр. трехязычные шумеро-аккадо-хеттские таблицки (14-13 вв. до н.э.), списки слов по тематическим группам в Египте, 1750 до н. э., // Лингвистический энциклопедический словарь, М., 1990, с. 258.

თარგმანის წინასიტყვაობაში³. ქეემოთ ვცდილობთ, პასუხი გაუცეთ წამოჭრილ კითხვებს.

ნაპოლეონმა 1807 წლის სექტემბერში ირანში, ფათპ-ალი შაპთან კაეშირის განსამტკიცებლად და ინდოეთში ლაშქრობის მოსამზადებლად გაგზავნა მისია, რომელსაც მეთაურობდა მისი აღიუტანტი, გენერალი კლოდ-მატიე დე გარდანი⁴, მისი უფროსი ძმა, პოლ-ანჟ-ლუი დე გარდანი, მისიის პირეული მდივანი იყო⁵. ირანის ტერიტორიაზე საფრანგეთის მისია 1807 წლის 4 ნოემბერს შევიდა, მხოლოდ ოთხი დღე – 11-15 ნოემბერი⁶ – დაპყო თავრიზში და 4 დეკემბერს თეირანში ჩავიდა⁷. თავად ანჟ დე გარდანი ძალიან მალე – 1808 წლის 27 იანვარს – თეირანიდან ევროპისაკენ პამადანის, ბაღდადის, მოსულის, თოქათის, მარდინის. სივასისა და კონსტანტინოპოლის გზით გაემგზავრა⁸. ასე, რომ თავრიზში⁹ მან მხოლოდ თეირანისაკენ მიმავალ გზაზე გაიარა და თეიმურაზ ბატონიშვილს მისთვის “Vocabulario” სწორედ იმ დღებში უნდა გადაეცა. აღსანიშნავია, რომ მოგზაურობის შთაბეჭდილებები ნაპოლეონის მიერ ირანში წარგზავნილ პირთაგან პირველმა – 1809 წ. – სწორედ ანჟ დე გარდანმა გამოაქვეყნა. საგანგებოდ უნდა ითქვას, რომ “დღიურის” სატიტულო ფურცელზე საერთოდ არ წერია ავტორის გვარი. განათლებული ევროპელი მკითხველი ტექსტის მიხედვით მიხედებოდა მის ვინაობას¹⁰, გაუთვითცნობიერებელი კი – მისი ნაშრომის ბოლოს დართული “მიძღვნის” მიხედვით.

³ ამედე ფამერი, მოგზაურობა... გვ. 15.

⁴ იბ.: პარველი ნარკეები, შენ. № 63.

⁵ Ange de Gardane, *op. cit.*, p. 1.

⁶ ანჟ დე გარდანის ნაშრომს დართული აქვს მისიის გადაადგილების კალენდარი. რის სუუტევლზეც ზუსტად გახდა შესაძლებელი ამ თარიღის დადგენა. Ange de Gardane, *op. cit.*, pp. 37-38.

⁷ გენერალმა გარდანმა ირანი 1809 წლის აპრილში საუთარი გადაწყვეტილებით დატოვა და არა “1809 წლის მარტში მამის მოთხოვნით”; როგორც ეს აღნიშნულია ზოგიერთ ნაშრომში. შედრ.: გ. შარამე, დასახ. ნაპრ., 1972, გვ. 33.

⁸ Ange de Gardane, *op. cit.*, pp. 80, 88, 98, 103, 114, 119.

⁹ როდესაც არ იძროდნენ, ალექსანდრე და თემურაზ ბატონიშვილები თავრიზში ცხოვრობდნენ. E. Pakravan, Abbas Mirza, Paris, 1973, p. 183.

¹⁰ მაგ.: “ასეურდან დაწეინაბრძე შეიდი სასის საკალის... კრო ბანთან დაკმინედით. მხო სასახლე კრუჯლა; ჩეულუქმანუ იქ მხოლოდ პარველი სართულას; ეს მე კრო

“დღიურბე” ორი გამომცემელია მითითებული: ლე ნორმანი (Le Normant) – პარიზში, ჟან მოსი (Jean Mossy) – მარსელში. ავტორის მოქლე “წინათქმაში” ანუ დე გარდანი წერს: „ეს უკრნალი კურიერის მარტივი ჩანაწერებია: ის ეხება მანძილს პენქტებს მორის და მოსახლეობას. მე აქ კურთავ *Vocabulaire*-ს იტალიურად, თურქულად და სარსელად; თუმცა ის სრული არ არის, მოიცავს ყოველდღიურ ლექსიკას და შესაძლოა მოვ ჰარს გამოადგეს. პრინციმა თმურათ-მირზამ (Timurat-Mirza) მე იხ (Vocabulaire) თავრიზზე გავლისას მომცა. ეს ქართველი ხენიორი კათოლიკე, დაახლოებით 45 წლისა, გამორჩეული თავისი ცოდნით (*ses connaissances*) და გავლენით (*son crédit*) თავრიზის კარზე¹¹ (აქ და შეძლევ ხაზი კველუან ჩვენია – ი.ხ.)¹².

“დღიურის” ავტორად და ლექსიკონის აღრესატად შ. ხანთაძემ საფრანგეთის ელჩი, გენერალი დე გარდანი მიიჩნია და არა მისი ძმა. ანუ დე გარდანი, რაც გ. შარაძემ შეასწორა¹³, მაგრამ იქვე დაშვებულია უზესტობა, როდესაც “დღიურის” ავტორი პოლ-ანუ-ლუ დე გარდანი, ჩანს, მისი ძმის სახელის – კლოდ-მატიეს – ანალოგით ანუ-მატიედ¹⁴ არის მოხსენიებული.

ანუ დე გარდანის “წინათქმის” ერთგვერდიანი, მსხვილი შრიტტით აკრეული ტექსტი ასე სრულდება: “P.S. მე არ ვიცი აღმოსავლური ენები და არავთარი მონაწილეობა არ მიმიღო *Vocabulaire*-ის დაბეჭდებაში. მის მოწესრიგებაზე კი ბ-ნა მოხიმ იზრუნა”. სულ ეს არის თავად ანუ დე გარდანის ინფორმაცია “*Vocabulario*”-სა და

ოჯახურ ამსახ მაკონებს. პაპაწმი სასახლითის მეფეს და მის კარს უკრსალზე მოუთხრას. ბოლო მათთვის სასახლის დაგემულების შესაბამ რომ მეუქმენ წარმოადგენა. მარმარილოს კიდევ არ დაიიჩნია”... *Ange de Gardane. op. cit., p. 44.*

¹¹ ანუ დე გარდანის ნაშრომის ყველა აქ ციტირებული მონაცემის თარგმანი შესრულებულია ჩენ მიერ.

¹² *Ange de Gardane, Préface de l'Auteur. პროფ. გ. შარაძის ნაშრომში ამ უკანასწელი წინადაღების ბოლო ნაწილი ასეა წარმოდგენილი: “... გამორჩეული თავისი ბუნებრივი წრიოს და ქარისხის კარზე”. გ. შარაძე, დასახ. ნაშრ., 1974, გვ. 241.*

¹³ გ. შარაძე, დასახ. ნაშრ., 1972, გვ. 32.

¹⁴ იქვე.

მის ავტორზე. ის ფაქტი, რომ "Vocabulario" უან მოსის მიერაა გამოცემული, აღნიშნული აქვთ გ. იმედაშეილსა და შ. ხანთაძეს¹⁵.

თეიმურაზ ბატონიშვილის მოღვაწეობა ირანში 1803-1807 წლებში. თეიმურაზ ბატონიშვილი, საქართველოს უკანასკნელი მეფის, გიორგი XII-ის ვაჟი, პავლე ციციშვილის მიერ დავით და ფარნაოზ ბატონიშვილების რუსეთს გადასახლების დამესვე¹⁶ – 1803 წლის 25 თებერვალს¹⁷ – გაიქცა ირანში¹⁸, საღაც უკვე იმყოფებოდა ერეკლე II-ის ვაჟი ალექსანდრე ბატონიშვილი¹⁹. საქართველოდან ირანში გაქცეული თეიმურაზ ბატონიშვილი მაშინვე ბრძოლაში ჩაერთო: 1803 წლის 9-11 მარტს იგი ალექსანდრე ბატონიშვილთან ერთად ბე-

¹⁵ გ. იმედაშეილი, დასახ. ნაშრ., გვ. 182; შ. ხანთაძე, დასახ. გაზ., 1950, № 39.

¹⁶ თეიმურაზ ბაგრატიონი, ახალი ისტორია, გვ. 35.

¹⁷ თეიმურაზ ბაგრატიონი, დავით ბაგრატიონის ისტორია, გვ. 4.

¹⁸ სარსელი ისტორიუსს ასე გადმოგვცემს ბატონიშვილების ირანში გაცემებს ვითრებას: „ალექსანდრე პავლეს ძე, კატერინა II მცვავად, მოიხომა თასათან ძელად დადგენილი ხელშეკრულების დარღვევას. ამ დროს ერეკლე ხანი გარდაიცვალა. ჩამოკარება შედგო და მეტობა კუმალეს უკრის ფაქს გურგინ-ხანსა და კუმალეს სხვა შეიძლებს მორის. კუმალეს შეკრულ ალექსანდრე მორის ისახმი გაიქცა და დიდი მატიურით იქნა მოღვაწეოდ. (...) თეიმურაზ შ-მორშა, დედოფლის გაყიშებილი (საქართველო აერონი შეკრულით იმპერატორ გორგი XII მერიე ცოლის, მარიამის გაყიდ მოჩინევს – ი.ნ.) საქართველოდან გაიქცა და თუ ჩერქეზობის მემკურელი ფარიშების სასახლეს შეაგარის. თბილისის კათოლიკის მასკალწილანი გვარი მოსახ. ისინი ერთამანი გადასახლებს კეტებულები და მათი დინასტიობრივ აღარისებ დარჩა. მიუხედავად იმისა, რომ ისახლო-ხანისა და გურგინ-ხანის მოჩინევები გამოიუს ხალებ ეცხო ლაშქარს და ქიოსტანულ სახლომწიფოს, ამის ანტიკონტრი ის მოღვაწეს, რომ საქართველოში მათი შეიძლება კულო წამელია“. ამის ირ-ირება დომილი, დასახ. ნაშრ., გვ. 115-116.

¹⁹ ალექსანდრე ბატონიშვილის შესახებ იხ.: შ. ხანთაძე, გასაღები ალექსანდრე ბატონიშვილის ბიოგრაფიისათვის, // ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. 22B, თბილისი, 1961, გვ. 239-273; ღ. შენგელია, დასახ. ნაშრ., გვ. 18-30; გ. ოოღუს, „შირე-გურჯი“, // გაზეთი „ზამული“, № (29), ნოემბერი, 1990, გვ. 4-5; შ. ხანთაძე, ალექსანდრე ბატონიშვილი (ბაგრატიონი), // „საქართველო. ენციკლოპედია“, ტ. 1, თბილისი, 1997, გვ. 100; გ. ობაშვილი, ქართული პოლიტიკურ-დიპლომატიური აზრი XIX საუკუნეები. 1. ეროვნული ავტონომიის აღდგენის საკითხი და ქართული პოლიტიკურ-დიპლომატიური აზრი XIX ს-ის I მექანიზმი (დავით გორგის ძე და ალექსანდრე ერეკლეს ძე ბაგრატიონები), // ქართული დიპლომატიის ისტორიის ნაკრევები, ნაწ. ს. მთავარი რედაქტორი რ. მეტრეველი, თბილისი, 1998, გვ. 326-340; ე. ორჯონიძემ, ალექსანდრე ბატონიშვილის ბრძოლა რესული ხელისუფლების წინააღმდეგ. ალექსანდრე ბატონიშვილის წერილები, თბილისი, 1999.

ლაქანში იბრძოდა რუსების წინააღმდეგ და ძლივს გადაურჩა რუსთა ტყვეობას²⁰.

ქართველი ბატონიშვილები ფათპ-ალი შაპმაც კარგად მიიღო. 1803 წლით დათარიღებულ ერთ ფირმანში შაპი “ამირებს ალექსანდრე მირზას და ოემურაზ მირზას დამოუკიდებელ კალიებად ამტკიცებს საქართველოში”²¹. მეორე ფირმანში შაპი ალექსანდრესა და ოემურაზის აუტორიტეტზე დაყრდნობით საქართველოს “ირანის ხამფლობელოთა განცყოფელ ნაწილად” იხსენიებს, რაც კახელების რუსთას წინააღმდეგ ასაჯანყებლად იყო გამიზნული²². 1803 წელს ვე ფათპ-ალი შაპი იმერეთის მეფეს, სოლომონ II-ს, წერს, რომ უწარჩინებულესი ალექსანდრე მირზა და ოემურაზ მირზა მის კარზე წარდგომის ღირსნი გახდნენ, მისი უზენაესი ნება-სურვილი კი მათვის რუსთასაგან საქართველოს დახსნაში დახმარება იყო. ამიტომ შაპმა მეფეური კეთილგანწყობის ნიშნად ისინი გაგზავნა თავის “თვალის სინათლებთან, ამას მირზასთან, ტახტის მემკვიდრებთან”²³, რომელიც რუსთას უშუალო მოსაზღვრე პროენციას, აზერბაიჯანს განაცემდა. ამდენად, ქართველ ბატონიშვილებს მათი ანტირუსული ორიენტაციის გამო, ირან-რუსთას დაძაბულ ურთიერთობაში ორივე მხრისათვის დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა მიენიჭათ: ერთმორწმუნე რუსთის დაუძინებელი მტრები ყაჯართა ირანის პოლიტიკური პარტნიორები გახდნენ!

1803-1804 წწ. თემურაზი, ისევე როგორც ალექსანდრე ბატონიშვილი, აგრძელებდა საქართველოში დარჩენილ ახლობლებთან ურთიერთობას, რაც კარგად ჩანს აქტებში დაცული წერილებიდანაც²⁴. პავლე ციციანოვი თავადაც²⁵ და ბატონიშვილის მიერ საქართველოში დატო-

²⁰ 3. კაბელაშვილი, თემურაზ ბატონიშვილი, გაზ. „საქართველო“, 1916, № 144.

²¹ Акты, т. II, д. 1652, с. 802-803; Тбилисская коллекция персидских фирманий, т. I. Подготовка к печати, перевод, комментарии и словарь М. Тодуа, Кутаиси, 1995, д. 163, с. 203.

²² Акты, т. II, д. 1654, с. 804; Тбилисская коллекция персидских фирманий, т. I, д. 165, с. 204-205.

²³ Акты, т. II, д. 727, с. 362-363; Тбилисская коллекция персидских фирманий, т. I, д. 164, с. 204.

²⁴ Акты, т. II, с. 101 (5.06.1803); д. 167 (27.10.1803), с. 103; сс. 288, 288-290 (29.03.1804), 161; д. 287 (29.04.1804), с. 159.

²⁵ Акты, т. II, д. 161 (5.10.1803), с. 100; д. 346 (31.07.1804), с. 184.

ვებული მეუღლის. ელენე ამილახვრის, მეშვეობითაც ამაოდ ცდილობდა თეიმურაზის საქართველოში დაბრუნებას²⁶.

ბატონიშვილების ცხოვრება ირანში მეტად მძიმე უნდა ყოფილიყო: ვის უნდა მინდობოდნენ, როდესაც რუსებს აქტიური ურთიერთობა პქონდათ ირანის დიდმოხელეებთან²⁷? პ. ციციანოვი ყარაბაღის ხანის აბას ყულისაგან მისი ერთგულების დასამტკიცებლად ბატონიშვილების გაცემას მოითხოვდა²⁸: თეიმურაზისათვის თვალყურის დევნება დაევალა ერების ხანს მექდი ყულის, რომელიც საიდუმლოდ რუსეთისაკენ იხრებოდა²⁹. ბატონიშვილებს უთვალთვალებდა თავრიზის ბეგლარბეგი აქმედ ხანიც³⁰, რომელსაც 1804 წლის ზამთარში თავადი ციციანოვი საიდუმლოდ ურიგდებოდა: თუ ხანი ბატონიშვილებს განჯაში ჩაიყვანდა, საჩუქრებსაც მიიღებდა და მომავალში თავშესაფრის იმედიც ექნებოდა³¹.

ირანში თეიმურაზის მეტად აქტიურ პოლიტიკურ ცხოვრებაზე მეტყველებს სწორედ რუსეთ-ირანის პირველი ომის (1804-1813 წწ.) წინ ასლან თრბელიანისადმი³² გაგზავნილი წერილი, დათარიღებული 1804 წლის 12 მაისით: “(...) Ты смелся надо мною, уехав оттуда, веду теперь шаха, сына его и весь Иран...”³³ 1804 წლის ზაფხულში, რუსეთ-ირანის ომის დაწყებამდე, გენერალი ციციანოვი ფათპ-ალი შაპის პირველ ვეზირს, მირზა შაფისაც კი მოუწოდებდა ბატონიშვილების გაცემას და ემუქრებოდა: “... и кровью Персиян не намочены

²⁶ Акты, т. II, д. 343 (2.09.1803), с. 182.

²⁷ Акты, т. II, д. 1434, с. 702.

²⁸ Акты, т. II, д. 1695, с. 824.

²⁹ Акты, т. II, с. 604.

³⁰ Акты, т. II, с. 643.

³¹ Акты, т. II, д. 1656 (22.02.1804), с. 805.

³² ორბელიანი ასლან ნიკოლოზის ძე (1766-18..) – დაკითხული იურ ლაზარევის მკლელობასთან დაკავშირებით. ცოლად ქავედა გიორგი ციციშვილის – გორგი XIII-ის ხიმაშის – ქალი (ანუ გიორგი XIII-ის მეორე ცოლის, მარიამის და – ი.ნ.). იცოდა აღმოსავლური ენები – “მათულეთ, სასახლეთ, არაბული, ჯადათთაბა!”. მ. ბერძნიშვილი. მასალები XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის, II, მასალები ბიოგრაფიული დექსიცინისათვის, (ვ-ჯ), თბილისი, 1983, გვ. 129.

³³ Акты, т. II, д. 345 (12.05.1804), с. 184.

ნებისმიერი და გატონიშვილები უკვე რუსები-სათვის იქცნენ მეტად ხელსაყრდელ სასპეკულაციო პოლიტიკურ ფიგურებად. 1805 წლის 17 ივნისს პავლე ციციანოვი ფათპ-ალი შაპისაგან არა მხოლოდ ალექსანდრე და თეიმურაზ ბატონიშვილების, არამედ ლევან ბატონიშვილის³⁵ გაცემასაც მოითხოვდა³⁶.

1805 წლის 29 აგვისტოს გენერალი ციციანოვი თავად ჩარტორიჟსკის³⁷ წერდა, რომ გენერალმა გლაზენაპავ ხელში ჩაიგდო ბაბა-ხანის, მისი მინისტრების, ალექსანდრე და თეიმურაზ ბატონიშვილების 36 წერილი, სადაც ისინი მთის ბელადებს, ირანის დახმარებით, რუსებისათვის გზების ჩაკეტვისაკენ მოუწოდებდნენ³⁸. 1805 წლის 29 აგვისტოს მეორე რაპორტით კი პავლე ციციანოვი ჩარტორიჟსკის ატყობინებდა, რომ 1805 წლის ზაფხულში, კაზახ თათრებთან აბას მირზას ჯარის წარუმატებელი კამპანიის შემდეგ ბატონიშვილებმა დაკარგეს სპარსელთა ნდობა, რადგან შეაპის კარს უკვე აღარ სჯეროდა ქართველთა ერთგულება. ამ ბრძოლაში თეიმურაზ ბატონიშვილი მძიმედ დაჭრილა. ცნობები ამის შესახებ 1805 წლის 24 ივლისიდან 7 აგვისტომდე მონაკვეთში ხუთ სხვადასხვა დოკუმენტშია დაცული³⁹, რაც იმის მაჩვენებელია, რომ რუსებისათვის ბატონიშვილის სიცოცხლის საკითხს პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა.

რუსეთის დაზვერვა დიდი ყურადღებით აღევნებდა თეალყურს ორივე ბატონიშვილის მიწერ-მოწერას⁴⁰. 1805 წლის 29 აგვისტოთი

³⁴ Акты, т. II д. 1666, с. 809.

³⁵ ბატონიშვილი ლევან იულონის ძე (1785-1811) – იულონ ბატონიშვილის (ერეკლე II-ის ძის) და სალომე რევაზის ასული ამილახერის უკროსი ვაჟი. საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ განაგრძობს ბრძოლას მამის – იულონის გასამეფებლად. 1811 წელს იგი დალატით მოქლეს ლევებმა პეტრეს ციხესიმამართი. მ. ბერძნიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 76-77.

³⁶ Акты, т. II с. 832. “კინიც ლუკა მარგარე” სომეხთა პატრიარქ დავითად გენერალ გარდანის მისის წევრებ 1809 წლის 6 მაისს ქმიაძინში შეხვდნენ თბილისისაკენ მიმავალ გზაზე. Général J.-B. Dumas, op. cit., p. 74.

³⁷ ადამ ადამის ძე ჩარტორიჟსკი (1770-1861) – პოლონეთისა და რუსეთის დამლობატი. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს გამგებელი.

³⁸ Акты, т. II, д. 1748, № 585, с. 848.

³⁹ Акты, т. II, с. 643; с. 717, д. 1467; д. 1737, с. 844; д. 1740, с. 843; с. 846.

⁴⁰ Акты, т. II, д. 321, с. 171 (28.08.1805).

⁴⁴ Акты, т. II. д. 317, Отношенис кн. Цицианова к кн. Чарторыйскому, от 29-го августа 1805 года. № 591, с. 169-170.

⁴² გ. შერაძე, ლასახ. ნაზრი. 1974. გვ. 31. მეცნიერებას თავისი ნაშრომში ჩვენ მიერ ზემო მოყვანილი კიტაუ არ მოუკავშირდება მხრივთ წარავალი - აქტი. II ცთ. 169.

⁴³ ი. ტაბადუა, დასახ. ნაშრ., 1974, გვ. 13. ამ ცნობის მოტანისას მეკლევარი აქტებს კურნეობა — ACKAK, თ. II, ცр. 149. აქტების II ტომის 149-ე გვ.-ზე არის სამი დოკუმენტი: საქებე № 261, დათარიღებული 1803 წ. 16 თებერვლით, რომელიც 148-ე გვ.-ზე გადაღის 149-ეზე; საქმები №№ 262-263 — ორივე 1803 წ. 19 თებერვლით დათარიღებული. აქ მხოლოდ იმას აღვინიშვათ, რომ ნაპოლეონმა გენერალი რომე მხოლოდ 1805 წ. მარტში გაგზავნა იარაში.

" რაღვემ რუსების ფრანგი გენერლის გაზში დაკავების იმედი გადაუწყდათ, მაგრამ მეტად აშეოთხდათ მისი მოგზაურობის მიზანი. ამიტომ მის თავიდან მოსალელებულად სხვა გზას მიმართეს. ჩარტორისკი წერდა: "სასახლეთის მმართველობაზე რამდენ უსამართველოს თავიდან აცილებულია სხვა გზა, გარსებ უხევა მოსივრებისა ფრთხო მიმეჯნობითია, არ არის ღიათხული კი ადა-ბანს ფრთხო ემისიერზე გვლო აუკრიცვეთ... აქედან გამომდონარე უსამართველი იქნება გვიმორით, რომ თევზეთის გამოყოფილი თანხა - 200 200 რეზონ სწორია ამ საჭიროების არს განს ზორი კუთხით და ამ მოსალელებული წარ-

3. ციციანოვისათვის გენერალ ნესვეტაევის მიერ წარდგენილ, 1805 წლის 8 დეკემბერით დათარიღებულ რაპორტში წერია, რომ ალექსანდრე და თეიმურაზ ბატონიშვილები ფათპ-ალი შეაპარან 1805 წლის ოქტომბერში ჩასულან⁴⁵, თუმცა დღე არ არის მითითებული. თავად გენერალ რომიეს მიერ გარდაცვალებამდე – 1805 წ. 12 ოქტომბერი – საგანგებოდ ტალეირანისათვის მეტად დეტალურად შედგენილ ანგარიშში⁴⁶ უკანასკნელი ინფორმაცია 4 ოქტომბერით თარიღდება, ხოლო ანგარიშის დასასრულს რომიეს მინაწერი: “აი, მონსენიორ, კუკულივე, როხი შევროვებაც შევძელი ჩემი ჩამოსხელის შეძლევ ამ ქალაქში”, გვაფიქრებინებს, რომ ამ რელაციაში მან ყველა მნიშვნელოვანი ცნობა შეიტანა. სამწუხაოოდ, ალექსანდრე ან თეიმურაზ ბატონიშვილებისა და გენერალ რომიეს შეხვედრის შესახებ ცნობები არც ბატონიშვილების წერილებიდან. არა რუსეთის დაზურულის მონაკავებიდან არ ჩანს.

1805 წელს პ. ციციანოვის დაუთარიღებელ ანგარიშში წერილი შრიფტით საგანგებოდაა გამოყოფილი სათაური “სანდო ცნობები”, რომლის №3 პუნქტში წერია: „ქართველი ძატონიშვილები აღუჯსანდრე და ოუიმურაზი თათრების მიერ ბაბა-ხანის შეიღის სასტიკი დამარცხების შემდეგ დარჩნენ ერუვანში და იქ აღმათ ორი მიზეზით არიან: ან იმისათვის, რომ უფრო მოხერხებული იყოს საქართველოს-თან მოღაპარაკების წარმოება. ან, როგორც ამბობენ, და ეს დასაჩუთებელია, იმიტომ, რომ ბაბა-ხანმა ამ მარცხიანი კამპანიის შედრევა

Міністру зборів, таєм. генерал-ад'ютанту таєм. генерал-ад'ютанту таєм. генерал-ад'ютанту: Акты, т. II. д. 1809, с. 886.

ინგლისელები უფრო შორს წავიდნენ და რომის დაქირავებული შეკლები მიუჩინეს (CP, Persc, vol. 8, doc. 163, fol. 393r-396v; doc. 164, fol. 397r-398r; vol. 9, doc. 21, fol. 41r-42r. კოელივე ამან ისე დაძაბა მღვმელმართობა, რომ ამ საკოტხის განხილება დიპლო-
მატიური ურთიერთობების ჩარჩოებს გასცა და ფრანგი გენერლის გარდაცვალებისან
შეიძიო ოცი შემდეგ პრესის უკანასკნე გადაინაცელა (Moniteur, № 142, 22.05.1806).
აქტი, თ.II, დ. 1885, ც. 916.

⁴⁶ CP, Perse, vol. 9, doc. 27, fol. 54r-60r. Հյուրալ Ռոմոյս Տօյեգոլով ոմ քառու աղմո-
սաշըտմի մցույ ջրանցո բյուզանդիական և Իսպանու ցանու տմալութեա, Ա. Պ. Օբյա-
լունեա, ոնցուու սեղութեան մայութեան (CP, Perse, vol. 8, doc. 163, 164, 165, 169; vol. 9, doc.
8, 10, 18, 52; vol. 17; MD, Perse, vol. 6, doc. 19; Arch. Nat., AF, 1686, fol. 12;
Ա. Պ. Խանուսան, սկ. соч., с. 99).

⁴⁷ CP, Persc, vol. 9, doc. 27, fol. 60r.

მთ უკინ უთხრა ხასრასეთზე, ე.ი. მათი [ბატონიშვილების] აღარ ხჯერა და მთ ძელის ხაცდელად თურქეთში გადასხვლა უნდათ⁴⁸. ალბათ ძნელი წარმოსადგენია, რომ მძიმედ დაჭრილი ბატონიშვილი თეიმურაზი ფათჰ-ალი შპაის მხრიდან ნდობის დაკარგვის შემდეგ ერევნიდან თეირანში⁴⁹ შპაის კარზე ჩასულიყო ფრანგი გენერლის სანახავად, რომელიც დედაქალაქში ირანის ქურთისტანის მხრიდან ჩავიდა.

არ არის გამორიცხული. რომ თეიმურაზ ბატონიშვილს, რომელსაც შეეძლო შეეტყო ირანში ფრანგი ემისრის მოსალოდნელი ჩასვლის ამბავი, ევროპაში წასვლაც მოესურვებინა. ამას გვაფიქრებინებს თავისი ერთი-ერთი ძმისათვის 1805 წელს თვისა და რიცხვის მიუთითებულად მიწერილი წერილი: ‘Причем, прошу вас покорно, ежели можно, достать для нас одну грузинскую историю, словарь (რომელი, არ არის ძოთისებული – о.б.) и план всему свету, хоть французский, лишь бы хороший и легкий для дороги’⁵⁰.

თავადი ციციანოვი მეტად ფხიზლად უთვალთეალებდა ბატონიშვილებს: ასტრახანში რუსეთის სხვადასხეა ქალაქებიდან ჩამოსულ ‘ავიაცი’ ებთან ხომ არ პქონდათ ურთიერთობა, რაც ჩანს ასტრახანის სამოქალაქო გუბერნატორისადმი გაგზავნილი, 1806 წლის 10 იანვრით დათარიღებული მიმართვიდან. პავლე ციციანოვი სიკვდილამდე ცდილობდა⁵¹ თეიმურაზ ბატონიშვილის გადაბირებას⁵².

ირანში თავისი ყოფნის შესახებ მეტად მნიშვნელოვან ცნობებს თავად თეიმურაზ ბატონიშვილი გვაწვდის: ეს ცნობები ეხება 1806 წ. პავლე ციციშვილის ბაქოსთან მოკვლის ამბავს⁵³, გენერალ გუდოვიჩის საქართველოს მმართვებლად წარგზავნას, 1807 წ. გენერალ ნესვეტაევის ბრძოლას ყარსში იუსუფ ფაშას⁵⁴ წინააღმდეგ. 1808 წ. გენერალ

⁴⁸ Акты, т. II д. 1749, № 585, с. 848.,

⁴⁹ დახლოებით 850-900 კმ.

⁵⁰ Акты, т. II, д. 350, с. 185.

⁵¹ Акты, т. II, № 42, с. 94.

⁵² Акты, т. II, д. 4387 (7.03.1805), с. 184.

⁵³ 1806 წ. ოქტომბერი.

⁵⁴ იუსუფ ფაშა (1747-1818) – ოსმალეთის იმპერიის დიდი ექიმი (1798-1804 წწ.), წარმოშობით ქართველი. ამედე ფოდერი, მოგზაურობა... გვ. 87, 234.

გუდოვიჩის ბრძოლას ერევნის ასაღებად⁵⁵. წარმოდგენილი მასალა მოწმობს, რომ თეიმურაზს ირანში მეტად დაბადული პოლიტიკური⁵⁶ და მძიმე სამხედრო ცხოვრება პქონდა, რაც როგორც ქართველების, ისე სპარსელების მხრიდან გამცემლობის ფონზე მიმდინარეობდა⁵⁷.

თეიმურაზ ბატონიშვილის საქმიანობაზე ირანში ანუ დე გარდანი კონკრეტულ ინფორმაციას არ გვაძლევს. ერევლე II-ის შვილიშვილის თავრიზის კარზე სამხედრო დაწინაურების შესახებ პირველი ცნობა ეკუთვნის გენერალ გარდანის მისის პირველ თარჯიმანს ჟოზეფ-მარი ტანკუანს და 1808 წ. 10 ივნისით თარიღდება: “არტილერიას, რომელიც ირანში ფრანგების ჩახელაძე თითქმის არ არსებობდა, მეთაურობს ქრისტიანი სენიორი, თიმურათ-ხანი, საქართველოს უკანასკენელი ძევის ოჯახიდან”⁵⁸. საერაუდოა, რომ ქართველი ბატონიშვილის ამგვარი დაწინაურება სწორედ ფრანგების რჩევით უკვე ირანიდან ანუ დე გარდანის გამგზავრების შემდეგ მოხდა. არ არის გამორიცხული, რომ თეიმურაზის ასეთ საპასუხისმგებლო თანამდებობაზე დანიშნუა მხოლოდ მისი სამხედრო ნიჭით კი არ განისაზღვრებოდა, არამედ პოლიტიკური მოტივებითაც: ირანს თავშეფარებულ ანტირესული ორიენტაციის ქართველ ბატონიშვილს მეტად მნიშვნელოვანი სამხედრო-პოლიტიკური ფუნქცია დაეკისრა რუსეთთან მებრძოლი და ფინანსტერინის ხელშეკრულების (4.05.1807) შესრულების მოსურნე სპარსელებისათვის – აღნიშნული ხელშეკრულების მე-3 და მე-4 მუხლებით ნაპოლეონი ფათპ-ალი შაპს ქართლ-კახეთის დაბრუ-

⁵⁵ თეიმურაზ ბაგრატიონი, ახალი ისტორია, გვ. 72-73.

⁵⁶ Акты т. III, д. 117, № 185, с. 64; д. 407, № 1333, с. 225.

⁵⁷ Акты т. III, д. 93 (11.08.1806), с. 226.

⁵⁸ J. M. Lanoigene, *op. cit.*, pp. 165-166. ირანში თეიმურაზ ბატონიშვილის სამხედრო თანამდებობაზე აქტებში დაცული დოკუმენტები 1810 წლით თარიღდება: “(...) Грузинский царевич Теймураз, сын последнего царя Георгия, начальствовавший в Персии над всем артиллериею”... (Акты т. IV, д. 187, с. 948). გენერალ გარდანის მისის ატაშე აღრიცხ დიუპრე წერდა, რომ ირანში არტილერიის კოაბუსი 840 კაცს თვლილა და “ეს აქტები იცილა მხელულ ამძღვნის ქართველი, რომელიც აზრ რუსების ასახურში იღვნებ. მეზარს შეის უძაბუსოւაც ქართველი იყო”. Adrien Dupré, *op. cit.* I, II, p. 295.

ნებას პპირდებოდა⁵⁹. იმ დროს სპარსელთა და თეიმურაზის ინტერესებიც ჯერ კიდევ ემთხვეოდა ერთმანეთს.

როდის უნდა დაწერილიყო “Vocabulario”? სპეციალურ ლიტერატურაში ამ საკითხის გამო აზრთა სხვადასხვაობაა. გ. იმედაშვილი (1949), შ. ხანთაძე (1950) და ი. ტაბაღლუა (1974) ამ საკითხს საერთოდ არ ეხებიან. რესი მეცნიერი ო. პ. მარკოვა (1951) ლუქებიურის საკითხს ქართველ ბატონიშვილთა გენერალ გარდანის მისის წევრებთან ურთიერთობის კონტექსტში განიხილავს და თეიმურაზის ავტორობის შესახებ ეჭვს გამოთქვამს: ‘Царевич Теймураз Георгиевич не мог быть автором этого словаря, так как ему в 1809 г. когда вышел словарь, было 27 лет, – он родился в 1782 г. К тому же занят политикой и военным искусством вряд ли могли благоприятствовать кропотливой работе по составлению словаря, его автор Теймураз – из старшего поколения. Кто именно, нам неизвестно’⁶⁰.

მეცნიერი ბატონიშვილის ცხოვრებასა და მოღვაწეობას გ. შარაძემ საგანგებო შრომები მიუძღვნა. 1972 წელს გამოცემულ მონოგრაფიაში ავტორი არ ეთანხმება ო. პ. მარკოვას ამ არგუმენტებს: ‘აյ საქშე გვაქს გაუგებრობათ მთელ წევმასთან: ჯერ ერთ, გაუგებრობაა ამ დროისთვის საერთოდ, და მთ უმეტეს. სპარსეთში სხვა უფროსი თაობის თეიმურაზ ბატონიშვილის ძეგა: თეიმურაზ გიორგის ძის გარდა, არც ერეკლე II და არც ვიორგი XII შთამომაცელობაში სხვან არავის რქმევია ეს სახელი⁶¹. მეორეც: ჩვენთვის დანამდვილებითაა ცხობილი, რომ სპარსეთში მაშინ გაქცეული იყო მხოლოდ აღუქსანდრე ერეკლეს ძე, თეიმურაზ ვიორგის ძე და ერთხანს ლევან იულონის ძე ბატონიშვილები’⁶². არგუმენტი, რომ იმ დროისათვის ირანში სხვა უფროსი თაობის თეიმურაზ ბატონიშვილი არ იყო, მისაღებია; ამავე

⁵⁹ Alfred de Gardane, *op. cit.*, pp. 73-73.

⁶⁰ О. П. Маркова, ук. соч., с. 221. იბ.: М. Броссе. «Кавказ», № 47, 1846.

⁶¹ დავით უსტებთ, რომ ერეკლე II-ის ვაჟის, ანტონ II კათალიკოსის საერთო სახელი თეიმურაზი იყო: ‘...თეიმურაზ ივერე შედევობაზე კათალიკოსი ანტონ შორე 8 წლისა...’ ცხოვრება მეფისა გიორგი მეფისა მეტისა აღწერილი პლატონ ეგნატის ძის იოსელიანისავან, თბილისი, 1978, გვ. 11.

⁶² გ. შარაძე, დასახ. ნაშრ., 1972, გვ. 38.

დროს მეტად ანაგრიშგასაწევია ო. ბარკოვას არგუმენტი იმის შესახებ, რომ ირანში გაქცეული თეიმურაზ ბატონიშვილი პოლიტიკითა და სამხედრო საქმეებით იყო დაკავებული და არ ეცლებოდა “Vocabulario”-ს შესაღენად, რაც კარგად ჩანს ზემოთ მოტანილი მასალიდან. ამ აზრს არ იზიარებს გ. შარაძე და ირანში “პოლიტიკითა და საბეჭდო საქმეებით გართული” თეიმურაზ ბატონიშვილის “ლიტერატურულ-მუნიკული საქმიანობის” დამამტკიცებელი მაგალითები მოჰყავს: მათ შორის დასახლებულია თეიმურაზის “სასრულო მეზაგრობის დღიურები (1803-1804)”, რომელიც მზადა გვაქვს გამოსაცემად”⁶³. უნდა აღვნიშნოთ, რომ რესი ისტორიის ზემოთ მოყვანილ მსჯელობას მეტად ანგარიშგასაწევი საფუძველი აქვს: ‘Известный М. Броссе в некрологе царевича Теймураза, перечисляя его научные труды, не упоминает о работе над словарем’⁶⁴.

მარი ბროსე აღნიშნულ ნეკროლოგში წერდა: ‘Научившись в Персии персидскому и татарскому языкам, усовершенствовав в этой стране свое воспитание, он умел ценить и действительно ценил литературные разыскания, особенно же те, которые касались его отечества. Собрав мало по малу и составив себе Грузинскую библиотеку, он прileжно занимался чтением, выписками, переводами, составлением рассуждений о разных отраслях Грузинской словесности’⁶⁵.

თეიმურაზ ბატონიშვილის ასაკი და აღმსარებლობა. ანუ დე გარდანისათვის “Vocabulario”-ს გადაცემის დროს, ანუ 1807 წლის 11-15 ნოემბერს, 1782 წელს დაბადებული ბატონიშვილი 25 წლისა იყო და არა 45-სა. ამასთან იგი არც კათოლიკე არ იყო, როგორც ამას ფრანგი დიპლომატი წერს თავის “წინათქმაში”.

აქ რამდენიმე კითხვა ისმის: რატომ მიიჩნია ფრანგმა შეეაღიერებართველი ბატონიშვილი 20 წლით უფროსად? რატომ წარადგინა იგი კათოლიკე? რატომ გადასცა თეიმურაზმა მას “Vocabulario”?

⁶³ იქვე. გვ. 36, 38.

⁶⁴ О. П. Маркова, ук. соч., с. 221.

⁶⁵ М. Броссе, Грузинский царевич Теймураз, «Кавказ», № 47, 1846.

აუცილებლად უნდა ითქვას, რომ XIX საუკუნის დასაწყისში ირანში წარგზავნილი ფრანგი და ინგლისელი დიპლომატები თუ სამხედროები ხშირად საკმაო ცდომილებით გადმოსცემდნენ ამა თუ იმ პიროვნების ასაკს. ასე, მაგალითად: 1789 წლის დაბადებული აბას მირზა 1807 წლის ნოემბერში⁶⁶ 18 წლისა იყო, ანუ დე გარდანმა კი იგი 27 წლისად მიიჩნია⁶⁷, მაგრამ ქართველი ბატონიშვილის შემთხვევაში მეტად ღიდ – 20 წლიან – განსხვავებასთან გვაქვს საქმე.

რაოდენ მძიმე და დააბული ცხოვრებაც არ უნდა ჰქონოდა ირანში ღტოლვილ თეიმურაზ ბატონიშვილს, ძნელი წარმოსადგენია, 25 წლის ვაჟაცი 45 წლის ჭარმაგ მამაკაცად მიიჩნიათ, ან არ აღენიშნათ, რომ იგი, მაგალითად, ავაღმყოფურად გამოიყურებოდა. მითუმეტეს, რომ იმ პერიოდში ირანში მყოფი ფრანგები თავის ნაწერებში მზვერავთათვის დამახასიათებელი პროფესიული სიზუსტით აღწერდნენ მოვლენებსა თუ პიროვნებებს⁶⁸. ანუ დე გარდანი კი წარმოგვიდგენს პიროვნებას, „გამორჩეულს თავისი ცოდნითა და გაცლებით თავრიზის კარზე“: ეს ცნობა პოლიტიკურ მნიშვნელობას იძენს: რასაკირველია, რუსეთთან საომარ მდგომარეობაში მყოფ აბას მირზას კარზე თავადაც რუსეთის წინააღმდეგ გაშმაგებით მებრძოლი ქართველი ბატონიშვილი ირანელთათვის მეტად სასურველი და მნიშვნელოვანი პოლიტიკური ღირებულების მქონე პარტნიორი იქნებოდა.

აյ სხვა რამ არის გასაოცარი. ანუ დე გარდანი “დღიურში” საერთოდ აღარ ახსენებს თეიმურაზ ბატონიშვილს, თუმცა კი არაფერს

⁶⁶ Shāhzādeh ‘Āzād-oddouleh Soltān Ahmad Mirzā, *op. cit.*, p. 360.

⁶⁷ Ange de Gardane, *op. cit.*, p. 38.

⁶⁸ ამჯერ უძვრის თვალსაზრისით, რომელიც 1806 წლის ივნისში წარუდგინეს ფათქალი მას, იგი დაბლობით 40 წლისა იყო (ამჯერ უძვრი, მოგზაურობა... გვ. 148). ფ.-მ. ტანკუანის აზრით, 1807 წლის 15 დეკემბერს შეპი დაახლოებით 40-44 წლისა (J. M. Tancoigne, *op. cit.*, I, I, p. 168-169), ანუ დე გარდანის ცნობით კი 46 წლისა უნდა ყოფილიყო (Ange de Gardane, *op. cit.*, p. 50); 1808 წელს ინგლისელი დიპლომატის ჯემს მორიკის თანახმად, შეპი 45-იდე წლისა იქნებოდა (J. Morier, *Voyage en Perse*, I, I, p. 271). ალექსანდრ რომიე კრთადერთა ევროპელთა შორის, რომელიც ზუსტიად აღნიშვნას შეპი ასაკს – 35 წელს (CP, *Perse*, vol. 9, doc. 27, fol. 58v). თეიმურაზი მისი ჩასვლის დროისათვის, 1805 წლის სექტემბერში, 1771 წელს დაბადებული მონარქი მათოლაც 35 წლისა იყო. ევროპელთა აძგვარი შთაბეჭდილება გამოწეველი იყო მისი გარევალი შესახელამით, რაც მისი ცხოვრების წესით იყო განპირობებული.

ტოვებს უყურადღებოდ და დეტალურად აღწერს თავრიზში საფრანგეთის მისიის ჩასვლას, ჩამოთვლის იქ დამხვდურ ხანთა სახელებსა და საქმიანობას, აღწერს მათ მიღებას აბას მირზასთან, შეტიც, ტახტის მემკვიდრის ვეზირის ვაჟის – მირზა პასანის მაგალითზე მამისაღმი შეილის პატივისცემის გამოხატვის ამბავსაც კი ეხება⁶⁹. ობიექტურობის მიზნით უნდა აღინიშნოს, რომ თავად ანუ დე გარდანის “დღიური” მეტად საინტერესო და ანგარიშგასაწევი წყაროა XIX საუკუნის დასაწყისის ოსმალეთის იმპერიისა და ირანის ისტორიის შესასწავლად.

1770 წელს დაბადებული ალექსანდრე ბატონიშვილი 1807 წელს 37 წლისა იყო; მისი მიჩნევა 45 წლისად უფრო შესაძლებელია, ვიდრე მისი 25 წლის ძმისშვილის, თეიმურაზისა. იქნებ ანუ დე გარდანის ორივე ბატონიშვილი ერთდროულად გააცნეს, შემდეგ კი მას ისინი ერთმანეთში აერია?

თეიმურაზ ბატონიშვილის აღმსარებლობის შესახებ გ. შარაძე წერს: “შენიშვნის ღირსია ის გარემოება, რომ თეიმურაზს სარსეფში რჩული არ გამოუკვლია და მართლმადიდებელ ქრისტიანად დარჩა და მტკიცებ მისდევდა ქრისტიანულ კალუნდარს”⁷⁰. ამ ცნობის მოხმობის მიუხედავად, პატიცეცემულმა მკელევარმა, ჩანს, ეს ფაქტი თავად არ გაიზიარა ბოლომდე და მიზანშეწონილად მიიჩნია შემდეგი კომენტარის გაკეთება: ‘A. M. de Gardane-ის ცნობა თეიმურაზის კათოლიკობაზე (Voyage... p. 1) ან გაუგებრობა, ან შეიძლება თვით თეიმურაზმა უთხრა ან, ფრანგების გულის მოხავებად”⁷¹. ამ მოსაზრების პირველი ნაწილი, რომ “ცნობა თეიმურაზის კათოლიკობაზე გაუგებრობა”, სავსებით გასაზიარებელია. მისი მეორე ნაწილი – “ან შეიძლება თვით თეიმურაზმა უთხრა ან, ფრანგების გულის მოხავებად”, – გარკეეულ ეჭვს იწვევეს.

საუკუნეთა მანძილზე ბაგრატიოვანთა სამეფო ოჯახის წარმომადგენელთ იძულებით თუ პოლიტიკურ მოსაზრებათა გამო ფორმალურად

⁶⁹ Ange de Gardane, *op. cit.*, p. 35-40.

⁷⁰ გ. შარაძე. დასახ. ნაშრ., 1972, გვ. 36.

⁷¹ იქვე, გვ. 36.

მიუღიათ ისლამი. რაც შემდეგ უარუყვიათ. მაგრამ გაცილებით ძნელი წარმოსადგენია, რომ თეიმურაზ ბატონიშვილს, ურეკლე II-ის ანდერძის მიხედვით⁷² საქართველოს ტახტის თუნდაც თეორიულ პრეტენდენტს, გაეფიქრებინა თავისი სარწმუნოების წამიერი სიტვიერი უარყოფა და თავისი თავისათვის მხოლოდ იმის გამო დაებრალებინა კათოლიკობა, რომ მეტი ღირსება შემატებოდა ევროპელის, თუნდაც ფრანგი დიპლომატის თვალში⁷³.

თეიმურაზ ბატონიშვილის დამოკიდებულება მართლმადიდებლობისადმი კარგად ჩანს თავად ციციანოვისადმი მიწერილ 1805 წლით დათარიღებულ მის საპასუხო წერილში: “პირუკლ ჩუტი ამან მოვეიზიდა თქუმნდამო, ეინამდგან კონსტანტინუპოლისა მართლმადიდებელთა იმპერატორთა მიერ ჩუტულ იყო დამყარებული პირუცლითუა მათ მიერუე საღმრთოთა ვეირვეინითა შემყული ოჯახი ჩუტნი და ყოველთა ზედა ძარღატოვანთა წყალობანი მათ მიერნი უხუცებდნენ, როგორაათუა პანკრატ კურატ-პალატსა ზედა და სხუათუა, ვითარუა აკადედებენ ცხოვრებანი მოწმობითა სხუათა ენათა წერილთათა”⁷⁴. რწმენისადმი ბატონიშვილის დამოკიდებულების შესანიშნავი მაგალითია 1832 წელს მ. ბროსესადმი მიწერილი ერთ-ერთი წერილის ნაწყეტი. ერეკლე II-ის ბეჭდის წარწერის განმარტებით: “შეორე ტაჟაში ზმით სახელი გამოდის ე რ ე კ ლ ე და სწორეთ წაჟითხვით

⁷² “(...) ახერისხსა ძალითა მამდევრ ხელმოწერილთა მეფის ინაკლიადან თოხისა წინათ ხეკლილისა, თხოვისამბრი დათოლილისა, – ჯერ იყო, რათა ექვემდებარებული არმოსა ძესა მისსა კორონის, შეძლებ მისსა მისსა იჯორონს, შეძლებ ამისა ძისსა მორანს, ძერეთ კაბრანებსა, ძერეთ ალექსანდრებსა და ძერეთ ფარაონსა. შეძლეოდ ფარაონზისა მეფობითი სულლება გარდავიდოდა მეფის გიორგისა შეიღე დავით ზედ, ძერეთ თანე ზედ, ძარღატ ზედ, თეიმურაზ ზედ, მიხაილ და სხვა”. 3. ოსელიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 57-58.

⁷³ ამ საკითხის გამო მიზანშეწონლად მიგეაჩნია გენერალ გარდანის მისიის წევრის, დატოვენანტ ტერზელის, შემდეგი თეალსაზრისის მოყვანა: “XVI საუკრიან ამ XVIII საუკრის ძოლობელ საქართველოს მართვებრი კრის დინასტიის წარმომადგენერი მეუკედი სასახლითი მუსიკისტის ქვეშ... ეს მეუკედი იმულებული იუნენ მიკლოს მამათანობა, მეგრად ერთ იმარწევებდა თავის სარწმუნოებას, თავის შენ-ჩერებულებებს და თავის კანონის თავისუფლებულას”: ი. ტაბაღუა, ნაპოლეონ პირეკლის ემისარი საქართველოში, გვ. 157.

⁷⁴ Акты, т. II, д. 438, с. 184.

ე რ ი და ე კ ე ლ ე ს ი ა ვადიდე, (ესე ივი.) მე, მეუემან
ირაკლიმ, ქრისტეს მოციქულთა სჯულთა ერთი (ჩემი) და გაცლებია
დიდებულვყავ და ჭეშმარიტიც არის, რომელ მამამან ამისა მეფისა
ირაკლისამან მ ე ფ ე თ ე ი მ უ რ ა ზ მ ე თ რ ე მ ა ნ
და ძემან მისმან პაპამან ჩემმან მეუემან ირაკლი მეორემან. მართლ-
მორწმუნეთა ამათ მეუეთა და სახელოვანთა ძლიერთა გმირთა
უწინარეს მათხა შეიწრებული წარმართთა მიერ სხვათა და სხვათა
ერთ საქართველოთისა და უკადებისა აღადგინეს, ვანამტკიცეს და ვანა-
ლიერეს ყოველითურთ და სჯული ივი საღირმოთა ქრისტეს მოცი-
ქულთა უძეტეს აღაყვავილეს სრულიად საქართველოსა შინა”⁷⁵.

თავისი “წინათქმის” P.S.-ში ანუ დე გარდანი აღნიშნავს, რომ მან
აღმოსავლური ენები არ იცოდა. ამიტომ სავარაუდოა, რომ თარჯი-
მანმა თემურაზ ბატონიშვილი სპარსულ ყაიდაზე თიმურათ-მირზად
(Timurat-Mirza) ანუ მეფისწულად მოიხსენია⁷⁶. თემურაზ ბატო-
ნიშვილისა და Timurat-Mirza-ს იდენტიფიცირების თვალსაზრისით
გასათვალისწინებელია გ. იმედაშეილის შემდეგი მოსაზრება: “თემუ-
რაზის ახეთი მისწრაფება ლუქსიურლოვიური კულუკა-თებისადმი, ჩანს,
შემთხვევითი არ ყოფილა და არც ახალი. მას ეს მუშაობა გაცილებით
ადრეულ უნდა დაეწყო. თუ «Bibliographia Caucasica et Trans-
caucasica»-ს (СПБ., 1874-1876, том I, Отделы I и II, გვ. 344)
ბიბლიოგრაფიულ ცნობაში მოხსენებული «Timurat (Theimuraz)
Mirza, prince de Géorgie» ჩვენი თემურაზია. მაშინ მისი ლიტე-
რატურული მუშაობის პროფილი უფრო ფართოდ წარმოგვიდვება”⁷⁷.

ჩვენ საგანგებოდ დავინტერესდით გ. იმედაშეილის მიერ მითითე-
ბული «Bibliographia Caucasica et Transcaucasica»-თი. ამ ნაშრომის
ავტორი – არმის კავალერიის მაორი, რუსეთის სამპერატორო გეო-
გრაფიული საზოგადოების წევრი და მოსკოვის სამპერატორო უნი-

⁷⁵ თემურაზ ბაგრატიონის წერილები აკად. მ. ბროსესადმი, გვ. 17.

⁷⁶ სპარსული ტრადიციით, როდესაც მარშა საკუთარ სახელს მოსდევს, შემის ანუ
მეფის ძეს ნიშნავს. რაც შ. ხანთაძეს აღნიშული აქვს. შდრ.: შ. ხანთაძე, დასახ.
ნაზრ., 1950, № 39.

⁷⁷ გ. იმედაშეილი, დასახ. ნაშრ., გვ. 182-183.

ვერსიტეტის სამართლის ბაკალავრი მ. მიანსაროვი აზუსტებს, რომ “Journal d'un voyage dans la Turquie d'Asie et la Perse, fait en 1807 et 1808”-ის ავტორი იყო ანუ დე გარდანი, ელჩის ძმა და არა თავად ელჩი. როგორც ეს მანამდე ეგონათ. ჩევნთვის ყველაზე მნიშვნელოვანი აღნიშნულ ბიბლიოგრაფიაში ის არის, რომ მ. მიანსაროვი ეყრდნობა “მიძღვნის” ტექსტს. მაგრამ მისგან განსხვავებით, Timurat-სა და Mirza-ს შორის ფრჩხილებში კითხვის ნიშნით უმატებს მეცნიერი ბატონიშვილის მისთვის ცნობილ სახელს – Theïmuraç – თეიმურაზი. მ. მიანსაროვი წერს: “(...) vient ensuite un vocabulaire italien-persan-turk, composé par Timurat (Theïmuraç?) Mirza, prince de Géorgie”⁷⁸ – “(...) შეძლევ მოჟყედა vocabulaire italien-persan-turk, შედგენილი თომურათ (თეიმურაზ?) მირზას, საქართველოს პრინცის⁷⁹ მიერ”.

მ. მიანსაროვმა “Bibliographia”-ზე მუშაობა, რომელიც 4840 ერთეულს მოცავს, 1859 წლიდან დაიწყო, მის შესადგენ ძირითად წყაროებს შორის კი რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრთა ნაშრომებიცაა დასახელებული⁸⁰. ამიტომ სავარაუდოა, რომ მ. მიანსაროვი, თეიმურაზის თანამედროვე, იცნობდა ქართველი ბატონიშვილის – რუსეთის აკადემიის საპატიო წევრის (1837) მოღვაწეობასა და სამეცნიერო ინტერესებს. ამიტომ ჩანს, მან სახელი და ტიტული Timurat Mirza-ს ფორმით “Vocabulario”-ს შედგენასთან კავშირში,

⁷⁸ Bibliographia Caucasica et Transcaucasica. Опыт справочного систематического каталога печатных сочинений о Кавказе, Закавказии и плесмахъ, эти края населяющихъ. Составилъ М. Міансаровъ, состоялъ по армейской кавалеріи маіоръ, действительный членъ И. Русского Географического Общества, кандидатъ правъ И. Московского Университета. Томъ I, Отделы I и II. § 5, Путешествия 19 столетия, № 3000, СПб., 1874-1876, с. 344.

⁷⁹ ნაშროღინის მიერ ირანში წარგზაუნილი ფრანგები თავის ნაწერებში ირანის შაჰს, ფათ-ალის, სხვადასხვაგვარად მოიხსენიებდნენ: chah, prince, roi. სტეფა prince-ს კი ფრანგები ხშირად ფათ-ალი შაჰის ვაჟების მიმართაც ხმარობდნენ. ამიტომ, საზუსტო-საფინანსო ქართულ თარგმანშიც სტეფასტეფათ გაღმოგვაქს თეიმურაზის ტიტულის აღმნიშვნელი ფრანგული ტექსტი.

⁸⁰ მ. მიანსაროვი წერს: “4) Труды членовъ нашей Академии Наук, указанные въ Tableau g neral m thodique et alphab tique des mati res contenues dans les publications de l'Acad mie Imperiale des sciences de St.-P tersbourg, 1872”. M. Mіансаровъ, Bibliographia Caucasica et Transcaucasica, c. I-II.

პირველად, ბიბლიოგრაფიაზე მუშაობისას სწორედ ანუ დე გარდანის “დღიურში” აღმოჩნდა. შესაძლოა, ეს არის იმის მიზეზი, რომ მ. მიანსაროვმა მისი სახელი Theimuraz – თეიმურაზი, აღნიშნული “Vocabulario”-ს შემდგენლის სახელს – Timurat Mirza-ს – თიმურათ მირზა-ს დაბჯითებით ვერ დაუკავშირა.

“Vocabulario”-ს “მიძღვნა”. “Vocabulario Italiano, Persico et Turco”-ს წინ დართული აქვს იტალიურ ენაზე შესრულებული შემდეგი წარწერა – “მიძღვნა”:

VOCABULARIO
ITALIANO, PERSICO ET TURCO
COMPOSTO
Da Sua Altezza Serenissima TIMURAT MIRZA,
Principe di Giorgia:
DEDICATO
A M. de GARDANE, fratello della Sua Eccellenza
L' Ambasciatore di Francia apresso l' Imperatore
Di Persia⁸¹
ვოკაბულარი
იტალიური, საარსელი და თურქული
გელგელი
მისი უმაღლესობისა და უგანათლებულესობის
თიმურათ-მირზას,
საქართველოს მთავრის მიერ
გიძღვილი
ირანის იმპერატორის კარზე მისი ბრწყინვალება
საფრანგეთის ელჩის ძმის
ბ-ნი დე გარდანისადგი

აღნიშნავთ, რომ ნაპოლეონთან გენერალ კლოდ-მატიე დე გარდანისათვის გატანებულ 1809 წ. 30 მარტით დათარიღებულ წერილს თეიმურაზ ბატონიშვილი ასე აწერს ხელს: “საქართველოს მეფის ვიორგის მეათეამეტის ძე თეიმურაზ: ხელმოფა”⁸². ამიტომ ისმის კითხვა: ვინ არის “მიძღვნის” ავტორი – ანუ დე გარდანი თუ უა

⁸¹ წარწერის კრაფტული გამოსახულება ზუსტად გაღმოვიტანეთ.

⁸² CP, Persc, vol. 11, doc. 135, fol. 221r.

მოხი? თიმურათ-მირზა მოხსენიებულია როგორც Principe di Giorgia ანუ საქართველოს მთავარი. აქ გასათვალისწინებულია სიტყვა Principe-ს შესახებ ბ. გიორგაძის შემდეგი განმარტება: „აღსანიშნავია ფრიად დამახასიათებელი ერთი გარემოება ჩვენში ნამდები მისიონერების კონცეფციის ნათელსაყოფად: საკითხი შეეხება იმას, რომ XVII საუკუნის დახაციისიდან (და უფრო ადრეც) დაქუმაცებული საქართველოს ცალკეული კუთხის მმართველებს უცხოელები მეფეებს (il Re-b და la Regina-b) კი აღარ უწოდებდნენ, არამედ მთავრებს (Principe და Principessa)“⁸³. ამ თვალსაზრისით, მეტად მნიშვნელოვანია თავად თეიმურაზ ბატონიშვილის, ერთ-ერთი უძველესი, მაგრამ უკვე გვირგვინდაკარგული დინასტიის წევრის დამოკიდებულება ტიტულისადმი და მისთვის კუთვნილი მაღალი წოდებისადმი პატივისცემის გამოხატვის მოთხოვნა.

ცნობილი ფრანგი ქართველობრივის მარი ბროსესადმი⁸⁴ მიწერილ რამდენიმე წერილში მცნიერი ბატონიშვილი დაბეჯითებით მოითხოვს თავისი ტიტულის შესაბამის ასახვას. 1. წერილი № 16, 1834 წ.: ბატონიშვილი უთითებს, რომ გზაუნილზე მისი ტიტული ასე უნდა დაწერილიყო: “A Son Altesse Royale le prince Theimouraz (მის სამეფო უმაღლესობას მეფის ძეს თეიმურაზს) ანუ ესრეთ ივიჯ: A Son Altesse le prince Royale Theimouraz” (მის უმაღლესობას მეფის ძეს თეიმურაზს)“.

2. წერილი №36, 1835 წ.: “(...) ამისათვის ქირით მიჭირავს და აღრესი წიგნისა ასე მთაწერეთ: “შათს უვანათლებულებობას საქართველოს მეფის ძეს თეიმურაზს, სანუტებურგებს. გახილის ოხროები მესამე ლინიაზე სახლსა შინა განდაცესს № 15.

⁸³ დონ ჯუშეპე ჯუდინი მილანელი, წერილები საქართველოზე, XVII საუკუნე-იტალიური ტექსტი თარგმნა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო ბ. გიორგაძემ, თბილისი, 1964, გვ. 13.

⁸⁴ მარი ფერეიდისმატე ბროსე (1802-1880) – ფრანგი ორიენტალისტი, ქართველობრივი. შეისწავლა მარიზმი დაცული ქართული ხელნაწერები. გამოაქვეყნა რამდენიმე ქართველობრივი ნაშრომი. აგრეთვე ქართული ენის გრამატიკის სახელმძღვანელოები. ნ. თავავა, შ. ხანთაძე, ბროსე (Brossel). // ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 2, თბილისი, 1979, გვ. 535-536.

ბრწყინვალებით სსეათა თავადებსა სწერებ საქართველოსასა ტიტულს და არა მეფის მეილებსა. მეფის მეილებსა სწერებ უვანათლებულებობით ანუ უმაღლესობით. ეს საქართველოს მეფის მეილების ტიტულია ვაჟებისაცა, სძლებისაცა და ქალებისაცა. ყოველნივე ისე გვწერებ ყოველს ადგილიდამ. ამ ბოლოს კამბის თქვენს წიგნში რადგანაც მეუთომით იყო ტიტული ქართულში, მხოლოდ ამისათვის მოვასხენ და მომიტევე”.

3. წერილი №30, 1838 წ.: “დიპლომი აკადემია ნაუკისა, რომელიც მოუსა პოჩეზნი ჩლენს. მათს უვანათლებულებობას მეფის ძეს თეიმურამს წელსა 1838-სა

დიპლომი იმაში ღათინურის წერილით:

Principem Serenissimum

Georgiae Principem Regium Equitem virum.

თარგმანი ამინი ქართულად:

პრინც უვანათლებულებს საქართველოს მეფის ძეს და კაულერს. ბოლო ფარნციულად ასე ითარგმნება:

*A son Altesse le czarevitsch Theimuraz prince de Géorgie*⁸⁵.

ვუიქრობთ, მოხმობილი მასალა ნათლად აჩვენებს აღნიშნული საკითხისადმი თეიმურაზ ბატონიშვილის დამოკიდებულებას.

ანუ დე გარდანის P.S.-ზე დაყრდნობით, საღაც იგი წერს: “მე არ ვისი აღმოსავლერი ენები და არავითარი მონაწილეობა არ მიმიღია *Vocabulaire*-ის დაბეჭდვაში. მის მოწესრიგებაზე ბ-ნში მოხიმი იმზუნა”; შეიძლება დავუშვათ, რომ “*Vocabulario*”-ს თავფურცელი იტალიურ ენაზე მარსელელმა გამომცემელმა უან მოსიმ, ან მის მიერვე შერჩეულმა იტალიური, ბერძნული, სპარსული და თურქული ენების მცოდნე პირმა შეაღვინა⁸⁶, ანუ-დე გარდანის “a donné” – “მომცა” კი, შეცვალა სიტყვით “composto” – “შედგენილი”, შემდეგი პრინციპით: რადგან თეიმურაზმა გადასცა, იგულისხმება, რომ შეაღვინა კიდეც. შესაძლოა, უან მოსიმ ეს გამომცემლობისათვის მეტი

⁸⁵ თეიმურაზ ბატონიშვილის წერილები აკად. მ. ბროსესადმი. გვ. 50-52, 59-60, 82-83.

⁸⁶ ჩეკნ არ ვიცით, რა განათლება პერნა უან მოსიმ: მხოლოდ გამომცემელი იყო იგი თუ სწავლული-გამომცემელი.

ლიორեბეძის მისანიჭებლად გააკეთა, რაზეც ანუ დე გარდანმა უარი აღარ განაცხადა. — “Vocabulario” მას – პატ დე გარდანს – თავად მისმა უმაღლესობაშ და უგანათლებულესობამ, თიმურათ-მირზამ, საქართველოს მთავარმა მიუძღვნა! ამასთან, მინაწერით – “შის მოწესრიგებაზე ბ-ნმა მოსიმ იმრუნა,” – ანუ დე გარდანმა წინდა-წინვე დაიზღვია თავი ყოველგვარი გაუგებრობისაგან.

XIX საუკუნის პირველ მეოთხედში საფრანგეთში გამოცემულ ევროპელ ავტორთა “მოგბაურობებს” ხშირად თემატურად ახლო მდგრმი. სხვა ავტორის ნაკლები მოცულობის ნაშრომები ერთვოდა. ავტორთა უმრავლესობა დიდი ყურადღებითა და პასუხისმგებლობით ეკიდებოდა თავისი ნაშრომის წინასიტყვაობის წერას, რაც სამეცნიერო თვალსაზრისით მეტად ღირებულია, რადგან სწორედ მათი ანალიზის მიხედვითაა შესაძლებელი მრავალი მოელენის აღდგენა. მაგალითად მოვიყვანთ ამედე უობერის “მოგბაურობის” პირველი გამოცემის წინა-სიტყვაობას, სადაც ავტორი საგანგებოდ გამოყოფს იმ პირთ, ვინც მას ნაშრომზე მუშაობისას დაეხმარა, და აკონკრეტებს, თუ ვინ რა მასალის გამოქვეყნების წება მისცა⁸⁷.

იმ პერიოდში საფრანგეთში “მოგბაურობების” გამოცემასთან დაკავშირებით სხვაგვარი შემთხვევაც შეიძლება აღვნიშნოთ. მაგ., პარიზში 1818 წელს გამოცემული ინგლისელი დიპლომატის, ჯ. მორიერის პირველი “მოგბაურობის” ფრანგული თარგმანის მესამე ტომს ქმნის სკოტ-ვარინგის ნაშრომის⁸⁸ ფრანგული თარგმანი, რომელსაც სხვა დამატებებთან ერთად ერთვის ანონიმი ავტორის ნაშრომი “L'itinéraire inedit d'un voyage en Perse par Constantinople et l'Asie

⁸⁷ მაგალითისათვის მოვიყვანთ ნაწყეტს: “ერთ-ერთმა მათგანმა (ერენასლ დე გარდანის მისის წერის), ამტორმა ჰოლუინერმა ტრეშელმა წემა დამრითო გამომუშებულებისა მის ძირის იურიანში გაკეთებული ჩანაწერები თუ მდგრად საინტერესო პრივატულ გარემონტის რომელიც დაუცალ ნაკლებადაც ცნობილია. ბ-ნმა სკოტიურ, სიმებამ მანანულებულების, (...) ასეზე ასკორა ცნობები მომარილა სასახლეობის სობიექტი მოსახლეობისა და იუბილების ცეკვის შესაბამის... ა. ფობერი, მოგზაურობა... გვ. 44-46.”

⁸⁸ Scotte-Waring, Voyage de l'Inde à Shyraz, t. III, // J. Morier, Voyage en Perse, en Arménie, en Asie-Mineur et Constantinople, fait dans les années 1808 et 1809, t. I-II, Paris, 1813.

Mineur, fait en 1805”⁸⁹. ეს ნაშრომი შეტანილია “Bibliographia Caucasica et Transcaucasica”-ში, სადაც მ. მიანსაროვი აღნიშნავდა, რომ გამომცემელი არ უთითებდა ამ “Itinéraire”-ის არც წყაროსა და არც აკტორს⁹⁰. მ. ა. პოლიეგეტოვის ნაშრომშიც, მისი სპეციფიკურ გამომძინარე, შეტანილია ჯ. მორიერის ნაშრომთა ბიბლიოგრაფია, სადაც “Itinéraire”-ი აგრეთვე ანონიმ აკტორს მიეწერება⁹¹.

აღნიშნული პერიოდის ფრანგი და ინგლისელი აკტორების “მოგბაურობების” შესწავლის შედეგად დაეადგინეთ, რომ ამ ანონიმური ნაშრომის აკტორი სწორედ გენერალ გარდანის მისის თარჯიმანი, უ. მ. ტანკუანია. იგი თავისი “წერილების” წინასიტყვაობაში⁹² წერს, რომ ერთ სანდო პირს, რომელსაც არ დაასახელებს, მის მიერ 1807 წელს კონსტანტინოპოლიდან თეირანამდე გავლილი მარშრუტის ჩანაწერები ათხოვა. გარკვეული ღროის შემდეგ უ.-მ. ტანკუანს ეს ჩანაწერები დაუბრუნეს, მაგრამ რაოდენ დიდი ყოფილა მისი გაოცება, როდესაც ჯ. მორიერის ნაშრომის ფრანგული თარგმანის მესამე ტომის დანართში მან შეიცნო ნაწყვეტები საკუთარი ხელნაწერიდან, რის გამოც სამართლიანი აღშფოთება გამოთქვა. უ.-მ. ტანკუანის თანახმად, განსაკუთრებით აღსანიშნავი ის იყო, რომ 1805 წელს ანონიმ მოგზაურს სწორედ ის მხარეები ქეონდა გავლილი, რომლებიც მან 1807 წლის შემოღომაზე გენერალ გარდანის საელჩოს წევრებთან ერთად გაიარა. ამასთან, ანონიმი მოგზაური რატომლაც ზუსტად იმ ღროს და იმ ადგილებში ჩერდებოდა, სადაც საელჩოს წევრები⁹³.

⁸⁹ M. Miancarovъ, Bibliographia... §5, Путешествия 19 столетия, № 2999, с. 343-344.

⁹⁰ მ. მიანსაროვი წერს: “L’éditeur de cet itinéraire n’en a indiqué ni la source, ni l’auteur”. *idem*.

⁹¹ М. А. Полиевктов, Европейские путешественники по Кавказу, 1800-1830 гг., Тбилиси, 1946, с. 128.

⁹² J. M. Tancoigne, *op. cit.*, p. ix-xj. დაუაზუსტებთ, რომ უ.-მ. ტანკუანის “წერილები” “Bibliographia”-ში შეტანილი არაა. ის არც მ. ა. პოლიეგეტოვის ნაშრომშია შეტანილი, რადგან კონკრეტულად არ პასუხობდა ამ ნაშრომის – “Европейские путешественники по Кавказу, 1800-1830 гг.” – მიზანს.

⁹³ ი. ნაჭევაძია, ამედე უბერის ნაშრომი “მოგბაურობა სომხეთსა და საკარსეთში 1805-1806 წწ.”, როგორც წყარო XIX საუკუნის დასაწყისს მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნების ისტორიისათვის, საღისეულაციო ნაშრომი ისტ. მუკნ. კანონდატის სამკანიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი, 1990, გვ. 24, (ხელნაწერი).

“Vocabulario”-ს ავტორის საკითხისათვის. “Vocabulario Italiano, Persico et Turco”-ს განმარტების მიზნით წამდლვარებული აქვს მოკლე შესავალი სათაურით:

“შიმართვა მეითხველს

თქმლია ფრანგულ ანბანში მოძებნო [ისეთი] ასოები, რომელთა გამოიქმაუ მუსტად მექსაბაშება მოვიერთ არაბულ, სასრულ და თურქულ ასოს. რამაც გვათქმულა სან თრმავი ასოების გამოყენება, სან ერთი ასოს მეორესთვის მისატება მათი განსხვავებული წარმოთქმის გაღმოსაყემად; თუმცა ეს სისტემა შორს უნდა იყოს აღმოსაყლური ენების ძნელი და მძიმე გამოითქმის მანერის მუსტი წარმოდგენისაგან, მაინც მესამღებულია მოვიერთი აღნიშვნის მეშეობით ნაწილობრივ მაინც დავძლოთ ეს უხერხელობა. მეითხველს ვაფრთხილებთ, ეს მიმართვა ყურადღებით წაიკითხოს და ნამრობის კითხვის დაწყებამდე შეძლევი დაკვირვებები გაითვალისწინოს. 1. *Hha*: ეს ასო მეტად ღრმად ჩაისუნთქმა. 2. *Kha*: ამ ასოს კარგად წარმოსათქმელად უნდა წარმოდგინო, რომ ნახველია ამოსაღები, ენა კი ნაგად უხედა რბილ სასას. 3. *Chain*: ის გამოითქმება როგორუ პარიზელების ან პროვანსალელების გრასირებული *R.* 4. *Kaf*: ამ ასოს გამოითქმა მეტად უახლოებება სიტყვა *Quoi que*-ში ფრანგული *Q* გამოითქმას. 5. *Wau*: ის გამოითქმება როგორუ მარყევალი იუ სიტყვა იუ-ში. 6. *Hé*: როგორუ ფშეინიერი *H* სიტყვებში *hardi, hè!* ამგვარია ის უკლილებები, რომელთა მეტანაც ამ პატარა კოკაბულარში ჩვენს მოვალეობად მიჰიჩნიეთ. სასრული პრინცი, ამ ნამრობის აკტორი, სარგებლობდა ბერძნული და ოტალიური ასოებით და ამიტომ ჩვენ ისინი ფრანგულით [ასოებით] გამოვსახეთ. რამდენიმე სიტყვა თავად ნამრობმე. აკტორი მას სამ ნაწილად ჰყოფს: პირველი უალეკელ სიტყვებს, მეორე – მოვიერთ მამრობით და მდედრობით სახელთა მრავებას მხოლობითსა და მრავლობითში, მესამე კი მრავალი მეტად საჭირო და გამოსაღვევი მმნის უღლებას მოიყავს”⁹⁴.

ინფორმაცია “Vocabulario”-ს ზოგად აღწერილობაზე პირველმა პ. ხანთაძემ გამოაქვეყნა. მისივე აზრით, ლექსიკონის წინასიტყვაობა

⁹⁴ Ange de Gardane, *op. cit.*, // Vocabulario Italiano, Persico et Turco, Avis au lecteur, pp. 3-4. “Vocabulario”-ს საკუთარი პაგინაცია აქვს – 1-52 გვ.

მარსელელ გამომცემელ მოსის ექუთვნოდა⁹⁵ და არა თავად “დღიურის” აკტორის ანუ-მატიუ და გარდაცხვა⁹⁶.

“მიმართვის” ანონიმი აკტორი “Vocabulario”-ს აკტორად სპარსელ პრინცის მიჩნევს, რაც ბაღებს ეჭვს, რომ “შიძლვნისა” და “მიმართვის” აკტორები სხვადასხვა პირები არიან. ამ თვალსაზრისით შეიძლება დავუშვათ, რომ “მიძღვის” შემდგენელმა უან მოსიმ “Vocabulario”-ს ბერძნული ასოებით დაწერილი სპარსელი და თურქული ნაწილების გაფრანგულება სხვა პირს დაავალა. “მიმართვის” ანონიმი აკტორისათვის ირანში გაგზავნილ მისიასთან კავშირში⁹⁷ ცნობილი იქნებოდა გვარი და გარდანი და ნაშრომის აკტორად სასრული პრინცი დასახელდა, რადგან ანონიმ აკტორს ეცოდანებოდა ლექსიკონის შემდგენლის სოციალური მდგომარეობა – Principe, მის ცნობიერებაში კი ის იდენტიფიცირებული იყო ლექსიკონის მეორე ენასთან – სპარსელთან და შესაბამისად იმ ქვეყნის პრინცითან, სადაც მისია იყო წარგზავნილი.

გაუგებრობას იწევეს ერთი ფაქტი: რიგ ქართველ აკტორთა⁹⁸ მიერ “Vocabulario”-ს აკტორად მიჩნეულ თეიმურაზ ბატონიშვილს რატომ უნდა ესარგებლა ბერძნული დამწერლობით სიტყვების სპარსელ და თურქულ ენებზე გადმოსაცემად. ანუ და გარდანის ნათევამი – “a donneé” – “მომცა” და, სავარაუდოდ, უან მოსისეული წარწერა – “composto” – “შედგენილი”⁹⁹ დღეს ქართულად განსხვავებულად იქნა ინტერპრეტირებული: ერთი ვერსიით “თეიმურაზ ბატონიშვილმა ირანში მყოფ ხაფუანვეთის ქლჩის ძმას, გარდანს, ბამენული”,¹⁰⁰ სხვა ვერსიით კი “ირანში ქლჩად მყოფ ფრანგ გენერალ გარდანს იტა-

⁹⁵ შ. ხანთაძე, დასახ. ნაშრ., 1950, № 39.

⁹⁶ შდრ.: გ. შარაძე, დასახ. ნაშრ., 1974, გვ. 241.

⁹⁷ ინფორმაცია ირანში გრძელად გარდნის მისაზე გამოქვეყნებული იყო გაზეთ “მონიტორში”. Moniteur, № 61, 1 03 1808; № 76, 16 03 1808.

⁹⁸ შ. ხანთაძე, დასახ. სტატია, 1950; ა. აბრამიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 76; გ. შარაძე, დასახ. ნაშრ.-ები: 1972, გვ. 32-38, 152; 1974, გვ. 240-242; 1979, გვ. 11., 175-194; ი. ტაბაღლავა, დასახ., ნაშრ.. 1974, გვ. 13-14.

⁹⁹ ქ. ხარაძე აგრეთვე წერს, რომ თეიმურაზ ბატონიშვილმა “სასრულოვანი შეადგინა უფლისუ-სასრულ-თურქულ ლექსიკონი”. ქ. ხარაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 56.

¹⁰⁰ ა. აბრამიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 76.

ლოურ-სარსეულ-თურქული ლექსიკონი შეუღვინა”¹⁰¹. აյ ჩნდება კითხვა: რა მიზნით ან როდის უნდა შეეღვინა სხვა ქვეყანაში გადახვეწილ, პოლიტიკურ ინტრიგებსა და ომში ჩაბმულ საქართველოს უკანასკნელი მეფის ძებ, თეიმურაზ ბატონიშვილი, თუნდაც ნაპოლეონის მიერ წარგზავნილი ერთ-ერთი და გარდანისათვის მის-თვის არამშობლიურ - იტალიურ, სპარსულ და თურქულ ენებზე ლექსიკონი? სამწუხაროდ, ყურადღების მიღმა დარჩა ჯერ კიდევ 1949 წელს გ. იმედაშვილის მიერ გამოთქმული მეტად მნიშვნელოვანი კარაული: “(...) საფიქრებელია, რომ ამ ლექსიკონს, თუ ის მართლა თეიმურაზისა, დართული ჰქონდეს ქართული შესატყვისობაც, რაც ძიბლიოვრაფიულ აღწერილობაში აღნიშნული არ არის”¹⁰².

ჩანს, რომ შ. ხანთაძისათვის 1950 წელს ცნობილი არ იყო¹⁰³ გ. იმედაშვილის ზემოთ აღნიშნული მოსაზრება, და თუმცა თავად მთლიანად არ უარყოფდა თეიმურაზის ავტორობას, საკითხს მაინც მეტად კრიტიკულად მიუღა: “ისმის კითხვა: რისთვის დასჭირდებოდა თეიმურაზს ძერძნული აღფაეფიტი? ბომ არ შეიძლება დაუშვათ, რომ მას წარმოდგენილი სიტყვების გვერდით მიწერილი ჰქონდა მათი ძერძნული მნიშვნელობა, ხოლო ელჩმა არ ჩათვალა საჭიროდ და ამოავდო. ამ კითხვაზე გადამჭრელი პასუხის გაცემა ჯერჯერობით არ შევიძლოა. ღიად რჩება მეორე, თავისთვად მეტად საინტერესო სა-კითხიც: ჰქონდა თუ არა ლექსიკონს ქართული ნაწილი? როგორდაც ძელი დასაჯერებელია, რომ ბატონიშვილი წარმოდგენილ სიტყვებს მათ ქართულ მნიშვნელობას არ მიაწერდა”¹⁰⁴.

ამიტომ. მიზანშეწონილად მივიჩნიეთ თეიმურაზ ბატონიშვილის მიერ ენების ცოდნის შესახებ ქართველ მკვლევართა შეხედულებების მოხმობა. შ. მესხიას აზრით, “თეიმურაზის ირანში ყოფნას მისი მოძაკლი მეცნიერული მუშაობისათვის უაღრესად დიდ მნიშვნელობა ჰქონის”¹⁰⁵.

¹⁰¹ ი. ტამარეა. დასახ. ნაშრ.. 1974, გვ. 13-14.

¹⁰² გ. იმედაშვილი. დასახ. ნაშრ., გვ. 182-183.

¹⁰³ შ. ხანთაძე. დასახ. სტატია, 1950, № 39, აღნიშნავს, რომ ამ ლექსიკონის შესახებ დღემდე არაეითარი ცნობა არ ყოფილა გამოქვეყნებულით.

¹⁰⁴ იქვე.

და, მან აქ ყოფნისას შეითუისა სპარსული ენა და ძროხეს აზრით, თურქულიც". თეიმურაზის რუსეთში მოღვაწეობაზე საუბრისას, შ. მესხია აღნიშნავს: "თარგმანების განხილვიდან იწყება, რომ თეიმურაზს, გარდა სპარსულისა, თურქულისა და რუსულისა, სკოლნია ფრანგული, აგრეთვე ლათინური, როგორც ეს თეიმურაზის მიერ თარგმნილ «რომაული სჯული»-დან იწყება, ბოლო ბერძნული კი – არა"¹⁰⁵. ი. მეგრელიძე აღნიშნავს: "თ. ბაგრატიონმა პეტერბურგში გაიღორმავა თავისი ცოდნა საერთოდ და ქართული, სპარსული, რუსული, ფრანგული, სომხური და ბერძნული ენებისა და ნაწილობრივ არაბული ენის ცოდნა კარგად გამოიყენა"¹⁰⁶. ამ შემთხვევაში დასადგენია, მეცნიერმა ბატონიშვილმა რომელი ენები რომელ წლებში ისწავლა.

მ. ბერძნიშვილი წერს: "პეტერბურგში თეიმურაზი სწავლობს ბერძნულისა და ლათინურ ენებს და სამეცნიერო მოღვაწეობას ეწევა"¹⁰⁷. სხვა ცნობების თანახმად, თეიმურაზმა ირანში ყოფნისას საკმაოდ კარგად იცოდა სპარსული და თურქული ენები: ს. იორდანიშვილის შეფასებით, "ეს დოკუმენტი (თეიმურაზ ბატონიშვილის მიერ თურქულად და სპარსულად თარგმნილი "დავითი") ცხადად მოწმობს, რომ თეიმურაზ ბატონიშვილი თავისი დროისათვის კოფილა ერთი საუკუთხესო მცოდნეთავაზო თურქული და სპარსული ენებისა არა მარტო საქართველოში, არამედ თეთრ რუსეთშიც"¹⁰⁸. თ. ენუქიძის აზრით, თეიმურაზ ბაგრატიონს ირანში ყოფნის შეიდი წელი უქმად არ გაუტარებია, შეისწავლა სპარსული ენა და გაეცნო სპარსულ ლიტერატურას¹⁰⁹.

¹⁰⁵ შ. მესხია, თეიმურაზ ბატონიშვილი (ცხოვრება და მოღვაწეობა), მასლები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, თბილისი, 1982. გვ. 17, 20.

¹⁰⁶ ი. მეგრელიძე, თეიმურაზ ბაგრატიონი როგორც რუსთველოლოგი, // ა. პანიძის დაბადების 80 წლისთავისადმი მიძღვნილი ქრისტი, "ორიონი", თბილისი, 1967. გვ. 232.

¹⁰⁷ მ. ბერძნიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 36.

¹⁰⁸ თეიმურაზ ბატონიშვილის წიგნთსაცავის კატალოგი. დაამზადა გამოსაცემად, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაუკრით ს. იორდანიშვილმა, თბილისი, 1948. გვ. VII.

¹⁰⁹ თეიმურაზ ბაგრატიონი, დაუით ბაგრატიონის ისტორია, გვ. 5.

ირანში თეიმურაზ ბატონიშვილის “სამწერლო-კულტურული საქ-
მანობის” განხილვისას, გ. შარაძე წერს: “თეიმურაზმა აქ (ირანში)
შეიხწავლა ხარხული, თურქული, ფრანგული და იტალიური
ენები”¹¹⁰. კერძოდ, ბატონიშვილს სპარსულიდან უთარგმნია “ათინი
გეორგვინნი, ქმნილნი ანუშირვან სპარსთა მეფისაგან”¹¹¹...

თეიმურაზ ბატონიშვილმა რომ ნამდვილად კარგად იცოდა სპარსუ-
ლი ენა, მოწმობს პროფ. მაგალი თოღუას შემდეგი დასკვნა: “შთელი
ხელნაწერი (“ფსალმუნი”) თბზულება თეიმურაზის ბელითა კადა-
წერილი მშენებერი ნასხით”¹¹². მ. თოღუა აღნიშნავს, რომ “ფსალ-
მუნი”-ს თარგმანში ქართული ორიგინალის გავლენა მაინც იგრძნობა,
მაგრამ მისი დასკვნა – “თეიმურაზი შედმიწევნით ფლობს ხარხულ
ენას”¹¹³ – კომენტარს არ საჭიროებს.

ამ ცნობებიდან ჩანს, რომ თეიმურაზმა ირანში კი არ დაიწყო
სპარსულის შესწავლა, არამედ იქ ჩასულმა უკეე ისეთ დონეზე იცოდა
ენა, რომ მნიშვნელოვან მთარგმნელობით მოღვაწეობასაც ეწეოდა.
ასეთ შემთხვევაში კანონზომიერად ისმის კითხვა: თუკი თეიმურაზ
ბატონიშვილი სპარსული ენიდან თარგმნიდა, რატომ დაწერა ბერძ-
ნული ასოებით სპარსული და თურქული სიტყვები?

ალექსანდრე და თეიმურაზ ბატონიშვილების მოღვაწეობა ირანში
რესეთ-ირანის პირველი ომის (1804-1813 წწ.) დროს ევროპული წყა-
როების საფუძველზე ჯერჯერობით შესწავლილი არ არის, მაგრამ ის
კი უდავოა, რომ თეიმურაზ ბატონიშვილს ფრანგებთან ურთიერთობა
ნამდვილად ჰქონდა. აქ მოვიხმობთ თეიმურაზ ბატონიშვილის წერილს
მ. ბროსესადმი, რომელიც გ. შარაძეს, ი. ტაბაღუასა და ზ. შარაშენი-
ძეს¹¹⁴ ციტირებული აქვთ თავიანთ ნაშრომებში, როგორც ნაპოლეონის
ემისრებთან ბატონიშვილის ურთიერთობის საბუთი: “(...) კარგი არის
თუ ამ ხელად შეიძლებოდეს ჩემი წამოსელა, დიახ, კიცი, რომ მე

¹¹⁰ გ. შარაძე, დასახ. ნაშრ., 1972, გვ. 35.

¹¹¹ იქვე გვ. 36.

¹¹² გ. თოღუა, ქართულ-სპარსული ეტიულები. II, თბილისი, 1975, გვ. 222.

¹¹³ იქვე გვ. 223.

¹¹⁴ გ. შარაძე, დასახ. ნაშრ., 1972, გვ. 32; ი. ტაბაღუა, დასახ. ნაშრ., 1974, გვ. 13;
ზ. შარაშენიძე, დასახ. ნაშრ., 1984, გვ. 153.

თქვენის ქვეყანის წარჩინებულთაგანაც და საზოგადოდაც ყოველთაგან, კითარეთ თვით ნამდვილს მეფის შეიღოს, თვის მეუკის ისე პატივს მომაპყრობებ, ამისთვის უფრო, რომ მცირე ბანი არ არის ჩემგან მაგ ქვეყნის ცნობა. მე ისევ მაშინ საარსეთში ვციცლორემდო, როდონაც ნაამოღეონის დროს დიახ ჩინებული გვამნი, კითარეთ დანერალ გარდან, უკრეთე სხვანი და სხვანი, ყოველთანაცე ცნობა და მევობრობა მქონია. ახლა რომ მეაზიელებ საზოგადოობაში კარ წევრთაგანი და მიწერ-მიწერაცა გვაძეს...”¹¹⁵.

ჩვენ მიერ ამ ნაწყვეტის მოხმობის მიზანი სხვაა, კერძოდ: 1. თეო-მურაზ ბატონიშვილი “სპარსეთის ხელმწიფის კარს მოხულ ჩინებულ გვამთა” შორის, ვისთანაც “ცნობა და მევობრობა” პქონდა¹¹⁶, მხოლოდ “დანერალ გარდანს” ასახელებს და არ ახსენებს მის ძმას – ანუ დე გარდანს, რომელსაც “Vocabulario” გადასცა; 2. “შეაზიელებ საზოგადოობის წევრთაგანი” ბატონიშვილი არ კითხულობს ბ-ნ დე გარდანის, მისი ბრწყინვალება საფრანგეთის ელჩის ძმისადმი ირანის იმპერატორის კარზე მიძღვნილ “Vocabulario Italiano, Persico et Turco”-ს და არ ინტერესდება ნაშრომის შემდგომი ბედით, თუმცა მ. ბროსესადმი მისი წერილების შესწავლიდან ნათლად ჩანს, რომ ბატონიშვილი ზედმიწენით პედანტური პიროვნება იყო¹¹⁷; 3. გასაოცარია “შინი უძლილესობისა და უკანათლებულების თითურათ-მიზანს” დუმილი მის გამო, რომ იგი მოხსენიებულია საქართველოს მთავრად და არა “თვით ნამდვილი მეფის შვილად”; რისი მაგალითებიც ზემოთ მოვიყვანეთ. 4. იცოდა კი თეომურაზ ბატონიშვილმა ანუ დე გარდანის “დღიურის” გამოცემის შესახებ და პქონდა კი მას თავად ეს წიგნი, რომელიც არ იხსენიება თეომურაზ

¹¹⁵ თეომურაზ ბაგრატიონის წერილები აკად. მ. ბროსესადმი, გვ. 57.

¹¹⁶ ეათ შორის კი აუცილებლად უნდა ეიგულისხმოთ უკალიქს ლაქარი და უოზეუ-მარი ჟუანენი, რომელთაგან პირველი 1808 წელს, მეორე კი 1809 წელს იყო აბას მირზას კარზე. XIX საუკუნის 30-იან წლებში კი ორივე უკა მეტად ცნობილი აღმოსავალითმოდნე იყო.

¹¹⁷ თეომურაზ ბაგრატიონის წერილები აკად. მ. ბროსესადმი, გვ. 7-102.

ბატონიშვილის ბიბლიოგრაფიული მემკვიდრეობის შემსწავლელ არც ერთ ნაშრომში?¹¹⁸

აქ კვლავ გასათვალისწინებელია ისიც, რომ მარი ბროსემ თეიმურაზ ბატონიშვილის ნეკროლოგში მის ნაშრომთა შორის "Vocabulario Italiano, Persico et Turco" არ ახსენა¹¹⁹. გაუგებარია, თუკი "Vocabulario" თეიმურაზ ბაგრატიონს ეკუთვნის, რატომ აიღო მან მის საფუძვლად იტალიური და არა ქართული ენა, რაც, ბატონიშვილის მთელ სამეცნიერო მოღვაწეობას თუ გავითვალისწინებთ, უფრო გასაგები იქნებოდა, ან თუნდაც მისთვის უკეთესად ცნობილი სპარსული ენა?

"Vocabulario"-ს სტრუქტურა. წყაროს შესასწავლად გადამწყვეტი მნიშვნელობა წყაროს ინფორმაციას ენიჭება¹²⁰. ამ ნიზნით "Vocabulario"-ს შეფასებისათვის მიემართეთ იტალიური, სპარსული და თურქული ენების სპეციალისტებს და მათი დახმარებით სამიერე ენიდან ეთარგმნეთ ყოველი სიტყვა¹²¹. სიტყვები ანბანზე არ არის დალაგებული. ისინი ყოველდღიური ცხოვრების შემდეგ თხუთმეტამდე თემას მოიცავს. ესენია: რელიგია, ბუნების მოვლენები, ჰავა, ღრო – საათი და კვირის დღეები, წელიწადის დროები, საკეები, ჯამ-ჭურჭელი, ფრინველები და ცხოველები, ცხიმი და საკმაზი, ხილ-ბოსტნეული, ნათესაობა, სხეულის ნაწილები, გრძნობათა ორგანოები, საწერი მოწ-

¹¹⁸ А. Цагарели, Сведения о памятниках грузинской письменности, т. I, вып. II, СПб., 1894; ხ. თორჩანიშვილი, დასახ. ნაშრ., 1948; გ. შარაძე, თეიმურაზ ბაგრატიონი – ბიბლიოგრაფი და კოლექციონერი, გამოცემება და ტექსტი, თბილისი, 1974.

¹¹⁹ M. Brocse, Грузинский царевич Теймураз, «Кавказ», № 47, 1846. თეიმურაზ ბატონიშვილის მეგობრობასა და თანამშრომლობას მარი ბროსესთან აღნიშვნას ცნობილი ინგლისელი ქართველობრივი, ისტორიკოსი და ლიტერატურისტის უკიდურესი D. M. Lang. A Modern History of Georgia, London, 1962, p. 90.

¹²⁰ გ. ალასანია, რ. კიქაძე, წყაროთმცოდნეობის თეორიული პრობლემები, თბილისი, 1988, გვ. 85.

¹²¹ ესაკებლობ შემთხვევით, მაღლობა გადაეხსახო "Vocabulario"-ს თურქული და სპარსული ნაწილების შესწავლაში დახმარებისათვის ჩემს კოლეგებს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკად. გ. წერეთლის სახ. აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელებს პროფ. მარიკა ჯიქიას, მარინე შონიას და მერი ჩიქაძეს; ხოლო იტალიური ნაწილის თარგმანში დახმარებისათვის – სოფიო ქარცივაძეს.

ყობილობა და სახლ-კარი. ამას მოჰყება ზმნათა ინფინიტივის ფორმები. სიტყვათა და ზმნათა ამგეარი თემატიკა მისი შემდგენლის ცოდნისა და ინტერესების მაჩვენებელია.

“Vocabulario”-ს მეორე ნაწილი ეთმობა სახელთა ბრუნებას, შესაძე კი – ზმნათა უღლებას. აღსანიშნავია, რომ საწყისი იტალიური ენიდან სიტყვათა სპარსული და თურქული შესატყვეისობანი ზოგ შემთხვევაში ზუსტი არ არის, ამასთან მისი სპარსული და თურქული ტრანსკრიბირებული ნაწილები საქმაოდ რთულია წასაკითხად, მითუმეტეს ამ აღმოსავლური ენების არმცოლებათვის.

